# საერთო გაზეთი

№45 (174) ● 16-22.XI, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი




## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II:

„დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს თუ არა? უნდა იყოს, რადგან ის ქართველია!

მე ვფიქრობ, ყველა ქართველი ადამიანი, ვინც სულით და ხორცით ქართველია, საქართველოში დაიბადა ის თუ უცხოეთში, საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი პრეზიდენტი გაითვალისწინებს ამას და მიანიჭებს ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას“.



# saqarTvelos eklesia, saqarTvelos moqalaqeebi moiTxoven: _ daubrundes saqarTvelos moqalaqeoba saqarTvelosTvis Tavdadebul qarTvels _ biZina ivaniSvils!



## რედაქტორის სვეტი



ოცი წელია მშვიდობა არ არის საქართველოში.

ოცი წელია ქართველი ხალხი თავგამოდებული ებრძვის სიდუხჭირეს, სიღარიბეს, უიმედობას და უპერსპექტივობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას თურმე ღირსების გრძნობა რა დაუკარგავს, არ დაძაბუნებულა, არ დაჩაჩანაკებულა და მონობას და ძალადობას არ შეჰგუებია.

ამის დასტურია თუნდაც ის რაც ბოლო ხანებში „ქართუ ბანკის“ ოფისებში ხდება — მოდიან ადამიანები და ხუთი ლარით, ათი ლარით, პენსიიდან შავი დღისთვის გადანახული მცირეოდენი თანხით ანაბრებს ხსნიან.

ეს არ არის ანაბარი იმ მნიშვნელობით და იმ გაგებით, როგორც აქამდე გვესმოდა.

ეს არის თავგანწირვისთვის მზადყოფნის დასტური, გნებავთ, პროტესტის ხმამაღლა და უშიშრად გამოხატვის თავისებური ფორმა.

ბოლო ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ქართველი ხალხი დიდი ხალხია და მისი გატეხვა და დამარცხება ადვილი საქმე არ არის, როგორც ეს ვიღაც-ვიღაცებს წარმოუდგენიათ.

არადა, ქართველ ხალხს რამდენჯერმე უკადრისი სიტყვა აკადრეს ე.წ. პოლიტიკოსებმა — ზოგმა საქონელი უწოდა, ზოგმა პოლიტიკურ სახრჩობელაზე აყვანა მიუსაჯა — როგორ ბედავთ და ჩვენ, ასეთ დიდ პიროვნებებს, მხარს არ გვიჭერთ და ჩვენს ერთ დაძახილზე გარეთ არ გამოცვივდებითო.

ნარცისიზმით შეპყრობილი, პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებული ამ საბრალო არსებების დრო დამთავრდა...

როგორც ვთქვით, ოცი წელია მშვიდობა არ არის საქართველოში, მაგრამ ამ ტრაგიზმით, შეცდომებით, იმედგაცრუებით სავსე ოცმა წელმა იმდენად დიდი გამოცდილება შესძინა ქართველ ხალხს, იმდენი ტანჯვა-წამება არგუნა, ახლა მისი მოტყუება და მისი შეშინება შეუძლებელია.

შეეშალა ჩვენს ძვირფას ხელისუფლებას, როცა პრიმიტიულად, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო პოეტის ფრაზა: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

შიში სიყვარულს კი არა, აგრესიას და სიძულვილს შობს, რომელიც, დრო მოვა და აუცილებლად ამოხეთქავს შურისძიებად.

# საქართველოში მოღვაწე მომღერლებისა და ანსამბლების განცხადება

თავიდანვე გვსურს განვაცხადოთ, რომ ამ განცხადებაზე ხელის მოწერა არ ნიშნავს რომელიმე პოლიტიკური ძალისადმი მხარდაჭერას. ყველა ხელმომწერი თავისუფალია საკუთარ არჩევანში, ანუ არჩევნების დროს ვის დაუჭერს მხარს, ოპოზიციას თუ სახელისუფლებო პარტიას, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ნებაა.

ასეთი შესავლით იმის თქმა გვსურს, რომ ეს განცხადება შორსაა პოლიტიკური ამბიციებისაგან და ეს ხელოვანთათვის გარკვეულ ეტაპზე ალბათ ბუნებრივიცაა, მაგრამ:

ვითვალისწინებთ რა ბატონ ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების განვლილ გზას,

იმას, რომ იგი დაიბადა , გაიზარდა, ისწავლა და გააზრებული ცხოვრება დაიწყო საქართველოში!

იმას, რომ შემდგომში სრულად მარტოდმარტომ ანუ დახმარების გარეშე შეძლო უზარმაზარი კაპიტალის დაგროვება!

იმას, რომ მიუხედავად პრაქტიკულად შეუზღუდავი არჩევანისა თავის ოჯახთან ერთად მშვიდად ეცხოვრა დედამიწის ნებისმიერ წერტილში, მან სამშობლოში, კერძოდ საკუთარ სოფელში დაბრუნება არჩია.

იმას, რომ ჯერ არნახული და არგაგონილი ქველმოქმედება დაიწყო საკუთარ ქვეყანაში, რომლის მასშტაბები საქართველოში დღემდე მხოლოდ ყურმოკვრით თუ იციან და მის მიერ რეალურად ნაკეთები საქმეები თავისივე ხასიათის გამო ჯერაც სათანადოდ აღნუსხული არაა!

იმას, რომ ადამიანი აბსოლუტური გულწრფელობით გვიცხადებს: "ჭორვილაა ჩემი სამშობლო, ყველაფერი მიყვარს მისი, სულ მესიზმრებოდა. სამი წელიწადია გარეთ არ გავსულვარ, ისე მეძნელებოდა მისი დატოვება."!

იმას, რომ მას გვერდით უდგას ჭეშმარიტად ქართული ტრადიციების მქონე შესანიშნავი ოჯახი!

ვითვალისწინებთ რა მის მიერ ჩვენი ქვეყნისათვის გადადგმულ სხვა უამრავ ღირებულ და სასიკეთო ნაბიჯებს, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, გვსურს განვაცხადოთ შემდეგი:

ბატონ ბიძინა ივანიშვილისათვის, თუნდაც კანონის უზენაესობის საბაბით საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა, რბილად, რომ ვთქვათ, უხერხულია.

ამიტომ, ვითხოვთ სასწრაფოდ გამოვიდეთ მთელი ერისათვის ამ საჩოთირო სიტუაციიდან და კანონით გათვალისწინებული რიტუალების დაცვით, მაქსიმალურად შესაძლო მოკლე ვადაში, აღვუდგინოთ საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს!

დავუბრუნოთ ის, რაც ბუნებრივად ეკუთვნის, ის რაც მას ჯერ მისმა დაბადებამ მიანიჭა და შემდგომ მისი ცხოვრების წესმა დაამტკიცა.



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◘ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# vin amoSala qarTveli eri msoflios xalxTa siidan?

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ კვირის ქადაგებისას ისტორიული მნიშვნელობის სიტყვები ბრძანა: „დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს თუ არა? უნდა იყოს, რადგან ის ქართველია!*

*მე ვფიქრობ, ყველა ქართველი ადამიანი, ვინც სულით და ხორცით ქართველია, საქართველოში დაიბადა ის თუ უცხოეთში, საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს“.*

*ილია II-მ ამ სიტყვებით პირდაპირ მიანიშნა იმ ხარვეზზე, რაც მოქალაქეობასთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში არსებობს, რაც საფუძველი გახდა ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისა.*

*რა თქმა უნდა, ნონსენსია, როცა ერთ კაცს, ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს, ერთპიროვნულად საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია ვიღაცას მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა და ვიღაცას წაართვას.*

*ცხადია, ვინც სულით და ხორცით ქართველია, მიუხედავად იმისა, სად დაიბადა იგი, საქართველოს მოქალაქეა, ანუ საქართველოს მოქალაქეობისთვის უალტერნატივო პირობა უნდა იყოს ის, არის თუ არა ესა თუ ის ადამიანი ეროვნებით ქართველი და, აი, აქ მივადექით ახალ დაბრკოლებას: პიროვნების საიდინტიფიკაციო ქართულ დოკუმენტში ანუ პასპორტსა და პირადობის მოწმობაში ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა საერთოდ ამოღებულია.*

*სწორედ ამაზეა ეს წერილი, რომელსაც ხელმეორედ ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.*

**საპასპორტო მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ხელისუფლების სიბრძნისა და გამჭრიახობის წყალობით, საქართველოში უკვე რამდენიმე წელია არცერთი სომეხი, არცერთი აზერბაიჯანელი, არცერთი რუსი, არცერთი ქურთი და სხვათაშორის, არცერთი ქართველი არ ცხოვრობს.**

— ეს როგორ, კაცოო, — გაიკვირვებენ მავანნი და მავანნი — — როგორ თუ საქართველოში არც სომხები ცხოვრობენ, არც აზერბაიჯანელები, არც რუსები, არც ქურთები და არც ქართველები. აბა, ესენი ვინ არიან, ვინც აქ დაჟრიამულებენ?

ვინ არიან და საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ეროვნება არ აქვთ, აქვთ უბრალოდ სტატუსი — საქართველოს მოქალაქე და მორჩა.

რა იყო, რა გაიოცეთ? არ გჯერათ, რასაც გეუბნებით?

ამოიღეთ, ბატონო, თქვენი პირადობის მოწმობა და ნახეთ, იქ სადმე ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა არის?

არ არის!

**საქართველოში ქართველი, როგორც ასეთი, რამდენიმე წელია არ არსებობს, ანუ ოფიციალურად საპასპორტო მონაცემების მიხედვით, ქართველი ერი თითქოს საბოლოოდ გადაშენდა და შესაბამისად, ის გულდაგულ ამოფხიკეს და ამოშალეს მსოფლიოს ხალხთა სიიდან.**

სულ ტყუილად ვიბრახუნებთ მჯიღს მკერდზე: — რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართო.

არ გიწერიათ პასპორტში ეს ქართველი, არ ხართ პატივცემული, არ არსებობთ ოფიციალურად და ისე, პატიოსან სიტყვაზე უნდა დაგიჯეროთ?

ეროვნება არ გიწერია, მამის სახელი არ გიწერია და საიდან მიმტკიცებ, რომ ქართველი ხარ? იქნებ უცხოპლანეტელი ხარ და მატყუებ, რომ ჩვენს აყვავებულ ქვეყანაში შემოიპარო და აქ დამკვიდრდე?

— რატომ ჰქენით ეს, რატომ დაგვღუპეთ, რატომ ამოგვიშალეთ ეროვნება, რატომ ამოგვფხიკეთ მსოფლიოს ხალხთა სიიდან? — ვკითხე ერთხელ ერთ საკმაოდ გავლენიან ნაცელს.

იმან კიდევ, სანამ პასუხს გამცემდა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა — არიქა, ვინმე არ გვისმენდესო და ყურში საიდუმლოდ მითხრა:

— ჭკვიანი კაცი მგონიხარ და რა გჭირს, რა დაგემართა? რით ვერ მიხვდი, რომ ქართველების წინააღმდეგ კი არა, საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წინააღმდეგ გავაკეთეთ ის, რაც გავაკეთეთ. ამ ჩვენი დიდი პატრიოტული და ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებების შედეგად საქართველოში მცხოვრები სხვა ერების სახსენებელი გავაქრეთ. შენ კიდევ მადლობის ნაცვლად — გვსაყვედურობ?

აბა, დაფიქრდი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიდან ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა რომ ამოვიღეთ, ამით ხომ სომეხს, რუსს, აზერბაიჯანელს, ქურთს, აფხაზს, ოსს და საერთოდ ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრობს, თავის ეროვნებაზე უარი ვათქმევინეთ და საქართველოს რიგით მოქალაქედ ვაქციეთ. პატარა საქმეა ეს? — მითხრა გავლენიანმა ნაცელმა და მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი — ახლა ხომ გაიგე, რა პატრიოტული საქმე გაგვიკეთებიაო.

ერთი შეხედვით, მართლაც პატრიოტული საქმეა, რომელზეც ადვილად შეიძლება გულუბრყვილო და მიმნდობი კაცი წამოეგოს, სინამდვილეში კი ყოველივე ამის იქით ქართველთათვის უაღრესად სახიფათო და შემზარავი რეალობა იმალება.

**საქმე ის არის, რომ ეს სომეხი, რომელსაც ვითომცდა ეროვნება წავართვით და უეროვნებო მოქალაქედ ვაქციეთ, გადავა აგერ ორ ნაბიჯზე თავის სასომხეთში და ისევ სომხად იქცევა, ასევე რიგითი მოქალაქე აზერბაიჯანელი თავის აზერბაიჯანში გადაირბენს და კვლავ აზერბაიჯანელია. იგივე შეუძლიათ გააკეთონ სხვებმაც, რადგან ყველა მათგანს აქვს თავისი მეორე (თუ პირველი) სამშობლო, თავისი სახელმწიფო, სადაც სომეხი სომეხია, რუსი-რუსი, აზერბაიჯანელი-აზერბაიჯანელი და ა.შ.**

ჩვენ, ქართველები, სად გავიქცეთ, თორემ იმათ რა უჭირთ — ყველა მათგანს აქვს თავისი სახელმწიფო, შესაბამისად, აქვთ თავიანთი ეროვნულობა, რომლის ამოშლაც და ამოფხეკაც არავის მოსვლია აზრად.

ჩვენ, ქართველები, სად წავიდეთ? ჩვენ ხომ სომხებივით თუ აზერბაიჯანელებივით სხვა სათადარიგო და სამარქაფო სამშობლო არ გვაქვს, გარდა ერთისა და იმ ერთადერთ სამშობლოში, საქართველოშიც, ქართველობიდან ამოგვწერეს და ამოგვშალეს.

გამოდის, რომ ჩვენ, ქართველები, ფაქტობრივად, არ ვარსებობთ, როგორც ერი.

არ ვარსებობთ ოფიციალურად, არ ვარსებობთ დოკუმენტურად, ვარსებობთ მხოლოდ ზეპირსიტყვიერად, გადმოცემით და ხსოვნით.

**არსებობს ქურთი, მაგრამ არ არსებობს ქართველი!**

**არსებობს ოსი, მაგრამ არ არსებობს ქართველი!**

**არსებობს სომეხი, მაგრამ არ არსებობს ქართველი!**

**არსებობს ბერძენი, მაგრამ არ არსებობს ქართველი!**

**გესმით თქვენ, ქართველებო, რა უბედურება გვჭირს?**

**გესმით თქვენ, ქართველებო, რა მზაკვრულად გაგვაქრეს და აგვაორთქლეს დედამიწის ზურგიდან?**

ყოველივე ამის შემდეგ კურიოზია, როცა კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული ენა გვიწერია.



თუ არ ვარსებობთ, ეს ენა საიდან შემოგვრჩა და უფრო მეტიც, ამ არარსებული ერის ენა, ქართული ენა, რატომ არის სახელმწიფო ენა სხვა მოქალაქეებისთვის?

ვფიქრობ, ძალიან შორს არ არის ის დრო, როცა ეს ვითომ ეროვნებაწართმეული საქართველოს არაქართული წარმოშობის მოქალაქეები აუცილებლად მოითხოვენ თავიანთი მშობლიური ენის ერთ-ერთ სახელმწიფო ენად დაკანონებას.

აკი, მოითხოვეს უკვე სამცხე-ჯავახეთში სომხური ენისთვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭების უფლება.

მადლობა აზერბაიჯანლებს, რომ ჯერჯერობით აზერბაიჯანული ენის სტატუსის განსაზღვრა და დადგენა არ მოუთხოვიათ, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით — ყველაფერი წინ არის!

საქართველო კურიოზების ქვეყანაა, სადაც ერთ სახელმწიფოში რამდენიმე მინისახელმწიფოა ჩადგმული, ოღონდ არალეგალურად, არაოფიციალურად.

**საქართველო კურიოზების ქვეყანაა, რომელიც ეკუთვნის ყველას და არ ეკუთვნის არავის, მათ შორის არ ეკუთვნის ქართველებს, რომლის სახელწოდებისგანაც წარმოდგება ქვეყნის სახელი — სა-ქართველ-ო.**

სახელწოდება საქართველ-ოც კურიოზულად ჟღერს დღეს, რადგან ის ქართველების კი არა, უეროვნებო მოქალაქეთა ჭრელი მასის კუთვნილებაა, რომელიც არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ქვეყნის ბედ-იღბალზე.

საქართველოს დამფუძნებლები, ქართველები, „ადმინისტრატორმა“ თვითნებურად ამოწერა მშობლიური სახლიდან!

* * *

„საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?...“ — კითხულობს პოეტი.

სად არის და არსად არ არის...

იყო და არ არის...

ვიყავით და არ ვართ...

ძნელია ამ აზრთან შეგუება, მაგრამ ეს სიმართლეა, რომელმაც ბოლოსდაბოლოს უნდა გამოგვაფხიზლოს და არყოფნიდან შინ დაბრუნების სურვილი უნდა გაგვიჩინოს.

**ვახტანგ ხარჩილავა**








# კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა საპატრიარქოში

— ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება, - ეს განცხადება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღეს, საპატრიარქოში, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილთან გამართული ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

„მოხარულები ვართ, რომ დღეს ბატონი ბიძინა ივანიშვილი მობრძანდა საპატრიარქოში. ჩვენ ვისაუბრეთ ბევრ საკითხზე, განსაკუთრებით საქართველოს მომავალსა და დღევანდელ დღეზე. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება“, - ბრძანა პატრიარქმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით კი, დღეს იყო ერთ-ერთი ბედნიერი დღე მის ცხოვრებაში. “რამდენჯერმე ვარ შეხვედრილი უწმინდესთან. დღეს იყო საინტერესო შეხვედრა, მივიღე ბევრი რჩევა მისგან, რომლებსაც გავითვალისწინებ და რომლებიც დამეხმარება ჩემს მომავალ მოღვაწეობაში”, - აღნიშნა ივანიშვილმა.

# xe l isu f l ebam gadawyvita, saqa r Tve l o cixeebis qveynad aqcios

*გვესაუბრება „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე* ***თეა წულუკიანი.***

**— ქალბატონო თეა, რამდენად შეიძლება ჩვენს ქვეყანას სამართლებრივი სახელმწიფო ეწოდოს, იმ ფონზე როგორადაც ვითარდება ბოლო წლებია მოვლენები?**

— დღეს არსებული ვითარება ცხადჰყოფს, რომ ხელისუფლებას სწორი სამართლებრივი პოლიტიკა საერთოდ არ გააჩნია, რომელიც არა რომელიმე ერთი პოლიტიკური კლანის, არამედ საზოგადოებრივ ინტერესს მოემსახურებოდა. აბსოლუტურად ყველა დასავლური ტიპის ქვეყანას სამართლებრივი პოლიტიკა გააჩნია, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება. პატიმრების შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესი მათ გამოსწორებასა და რესოციალიზაციას გულისხმობს. ჩვენ არ გვაქვს ამ კუთხით სამართლებრივი პოლიტიკა, არამედ გვაქვს ერთი სამართლებრივი მიზანი, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა დაგვისახა — ყველა განურჩევლად იმისა, თუ რა კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა და როგორი წარსული აქვს, ციხეში უნდა ჩაჯდეს. უფრო მეტიც, ციხეში სვამენ მათაც, ვისაც დანაშაულის ჩადენა არ უმტკიცდებათ, მათი ციხეში გამწესება ან რაიმე პოლიტიკურ მიზანს ან უბრალოდ სტატისტიკური მაჩვენებლის გაზრდას ემსახურება. დღევანდელი ხელისუფლების მიდგომა აბსოლუტურად ანტიჰუმანური და ანტიდასავლურია. მათი გაგებით, რაც მეტი ადამიანია ციხეში, თურმე მით უფრო კარგად ებრძვის სახელმწიფო დანაშაულს. ერთი რამ ცხადია — დღეს ქართული ციხეები გადატენილია პატიმრებით. როგორც ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა დაადგინა ყოველი მეორასე ქართველი ციხეშია, რაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ეროვნული ტრაგედიის ტოლფასია. ისეთი დემოგრაფიულად დაბალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს, პრაქტიკულად გენოფონდის განადგურებას ნიშნავს.

**— თქვენი საუბრიდან აშკარაა, რომ სახელმწიფოს მთავარი პრობლემა სწორედ ადამიანების უფლებების ტოტალური შელახვაა. ხელისუფლების მიერ დაწერილი კანონი, რეალურად შერჩევითია — დიდი დამნაშავეები გარეთ არიან, 5 ლარის ქურდი კი ციხეში სასტიკ წამებას განიცდის. რა გამოდის სამართალზე კი არა ძალადობაზე დაფუძნებული სახელმწიფო გვაქვს?**

— როცა სამართალზე ვსაუბრობთ დიაგნოზი დასმულია, დავაც ზედმეტია იმაზე, რომ ჩვენ შერჩევითი სამართალი გვაქვს, საქართველოში არ არის კანონის უზენაესობა, რაც ყველა დასავლური ტიპის სახელმწიფოს ახასიათებს. ამიტომაც ვართ ანტიდასავლური სახელმწიფო. ამის კარგი მაგალითია გირგვლიანის საქმე. რეალური დამნაშავეები, ვინც შარდენ ბარში იმყოფებოდნენ დღემდე არ არიან პასუხისგებაში მიცემულნი, რადგან ეს ხელისუფლების ინტერესში არ იყო. ვინც დაისაჯა, სასჯელი მათთვის მსუბუქი ფორმის იყო, რადგან არ შექნილიყო საფრთხე მათი ალაპარაკების. სტრასბურგის სასამართლომ ამ სასჯელს ზედმეტად გულმოწყალე უწოდა, პრეზიდენტმა კი სასჯელი გაუნახევრა და შეიწყალა ისინი. მეორე მხრივ, საქმე გვაქვს სისხლის სამართლის ისეთ საქმეებთან, როგორიცაა ჩაკვეტაძე საქართველოს წინააღმდეგ. ეს ადამიანი ციხეში იჯდა ტრანსპორტში მგზავრისთვის 1 ევრონახევრის ექვივალენტი ლარის ამოღებისთვის. იგი სტრასბურგის სასამართლოს გირაოს შეფარდებას სთხოვდა. ჩვენი სასამართლოს მიერ მას შეფარდებული ჰქონდა გირაო 30 ათასი ლარი. ასეთი მოსამართლე, ბუნებრივია პროკურორის ჭკუაზე დადის. გირაო არ შეიძლება იყოს იმდენი, რასაც მოქალაქე ვერ გადაიხდის, მაშინ გირაოს არსებობა ჰკარგავს აზრს. იუსტიციის სამინისტრომ აღიარა, რომ



ეს არასამართლებრივი იყო. ამგვარ დანაშულზე არცერთ დასავლურ ქვეყანაში წინასწარი პატიმრობა, როგორც ზომა არ გამოიყენება. ამის ფონზე კი გვაქვს გირგვლიანის საქმე, სადაც კაცის მკვლელს სასაცილო სასჯელს უსჯიან. რა თქმა უნდა, ამგვარი სახელმწიფო სამართლებრივად ვერ ჩაითვლება. ეს არის სახელმწიფო, რომელიც პოლიციაზე, ძალმომრეობაზე, უშიშროების სამსახურზე აფუძნებს თავის რეჟიმს. დღეს სახელმწიფოს, ხელისუფლებას პოლიტიკური პოლიცია ჰყავს, ასევე სადამსჯელო ბრიგადები, რაც რეგიონებში კარგად ჩანს. ასევე, უაღრესად უსამართლო კანონის საფუძველზე, რომელსაც სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპი ჰქვია, ათასობით ახალგაზრდას 25-30 წელი აქვს მისჯილი. ზის ციხეში.

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მუშაობს ხელისუფლების მიერ გამოგონილი დანაშაულებრივი სქემა, რითაც ადამიანებს ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლოდ იჭერენ.**

— დანაშაულებრივი სქემა, რომელიც ხელისუფლებამ შეიმუშავა და ნებისმიერ ადამიანს არგებენ, სხვადასხვაგვარია. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საშუალებაა საპროცესო შეთანხმებით იმ ადამიანების ციხეში ჩასმა მათი საბოლოოდ დაღუპვა. იმ ჯაშუშომანიის ფარგლებში, რითაც ეს ხელისუფლებაა დაავადებული რამდენიმე კვირის წინ საკუთარ ბინაზე თავდაცვის სამინისტრომ სრულიად უდანაშაულო ადამიანი სერგო თეთრაძე დააკავა, ერთ კვირაში კი ოჯახს მისი გარდაცვალება აცნობეს.

**— დღეს, ძალიან ბევრი ვითომ აგენტი გვყავს. რა ქვეყნაში ვცხოვრობთ, რა ჰქვია ამას — დესპოტიზმი თუ კიდევ უარესი?**

— შეგვიძლია გავიხსენოთ კადრები, რომელიც „კინორეჟისორ“ ნიკა გვარამიას მიერ 7 ნოემბრის დღეებში გავრცელდა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ აბსურდული კადრების ფონზე ბრალი დასდო ქართველ პოლიტიკოსებს, თითქოს ისინი სხვა ქვეყნის ინტრესების გატარებას ცდილობდენ საქართველოში. შედეგად მივიღეთ აბსოლუტურად აბსურდული, უკანონო რეჟიმისთვის დამახასიათებელი შედეგი. ცოტნე გამსახურდია, სწორედ ამ კადრების საფუძველზე დააკავეს აეროპორტში. მისი ძმა, რომელიც მაშინ ხელისუფლებისგან სამართლებრივ დევნას განიცდიდა, დღეს საქართველოს პატივდებული წარმომადგენელი გახლავთ საზღვარგარეთ. რაც შეეხება ნათელაშვილს, მას თავად პრეზიდენტმა მოუწოდა, ამოდი სარდაფიდან, არაფერს დაგიშავებო. თუნდაც ეს მაგალითი ღიმილის მომგვრელია. ვერ გეტყვით, ეს უკვე არის ავტორიტარული რეჟიმი თუ მისი გარდაქმნის გზაზე მდგომი რეჟიმი, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მნიშვნელოვანია ერთი რამ — ეს რეჟიმი დგას უსამართლობაზე, უკანონობაზე და ძალაუფლებას მთლიანად ძალმომრეობისა და უსაფრთხოების სამსახურების მეშვეობით ინარჩუნებს. გამომდინარე აქედან, ჩემთვის ხელისუფლება კანონგარეშეა. ეს გაცილებით უფრო მძიმე დიაგნოზია, ვიდრე ის, რომ მმართველს ავტორიტარი, დიქტატორი უწოდო. როდესაც რეჟიმი ხალხის ნდობის სანაცვლოდ მათ საწინააღმდეგო ქმედებებს იწყებს და ამას



ხალხს უპირისპირებს, ეს უკვე კანონგარეშე რეჟიმია.

**— ხელისუფლება სამართლებრივ ბერკეტებს არ ცნობს. ისევ ბიძინა ივანიშვილს დავუბრუნდები და გკითხავთ, როგორ ფიქრობთ რამდენად შესაძლებელი იქნება სამართლიანი მეთოდებით კანონგარეშე ხელისუფლებასთან დაპირისპირება?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ მხოლოდ სამართლებრივი ბერკეტი გაგვაჩნია. სამართლიანი ბერკეტი, თანაც ძალიან ძლიერი გაგვაჩნია იმისთვის, რომ ეკატერინე ხვედელიძეს აღუდგეს უსამართლოდ, უკანონოდ ჩამორთმეული მოქალაქეობა. არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ამ ქალბატონს პრეზიდენტმა შეუწყვიტა მოქალაქეობა, არამედ მან ხვედელიძეს ჩამოართვა მოქალაქეობა, რაც კონსტიტუციით იკრძალება. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პრეზიდენტის უკანონო განკარგულებასთან, რომელმაც საკუთარ ინტერესს მოარგო მოქალაქეობის შესახებ კანონი. კანონში არსად წერია, რომ ნატურალიზებული ქართველი, რომელსაც პრეზიდენტმა თავისივე გადაწყვეტილებით მიანიჭა მოქალაქეობა, თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს პრეზიდენტი უფლებამოსილია უკან წაიღოს სიტყვა და მოქალაქეობა ჩამორთვას. მუხლი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გამოიყენეს, შეიძლება ვინმემ ჩემს წინააღმდეგ გამოიყენოს, რომელიც დაბადებით ქართული პასპორტის მქონე ვარ. თუ ხვალ საფრანგეთის მოქალაქე გავხდები, შეიძლება შემიწყვიტონ საქართველოს მოქალაქეობა, ეს წერია კანონში. ბიძინა ივანიშვილი ვერ გათვლიდა იმას, რომ პრეზიდენტი, რომელმაც მისი ნატურალიზება მოახდინა, თავად გადაწყვეტდა საქართველოში ვინ უნდა იყოს ქართველი და ვინ არა.

**— ბოლოს პატიმრების თემაზე მინდა გკითხოთ. ხელისუფლება, ასაიდუმლოებს მათ რიცხვს. თანაც პატიმრებს ციხეში ისე ექცევიან, როგორც საკონცენტრაციო ბანაკში. რას ემსახურება ეს პოლიტიკა?**

— ხელისუფლებამ გადაწყვიტა ციხეების ქვეყანად ვექციეთ. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ციხეების გამალებული მშენებლობა წარიმართა — ეს პირდაპირ გამორიცხავს, რომ ქვეყანა დასავლური განვითარების გზაზეა. დღევანდელი ციხეები ანტიადამიანური დაწესებულებებია, სადაც ჯანსაღი ადამიანი არამხოლოდ ფიზიკურად ავადდება, არამედ მენტალურადაც. რაც შეეხება პატიმრების რიცხვს, ისე როგორც ყველა ავტოკრატულ ქვეყანაში, აქაც რეალურ ციფრს მალავენ. სასჯელაღსრულების სამინისტროს ვებ-გვერდზე ვერსად მოიძიებთ ციფრს, თუ რამდენი პატიმარი ჰყავს ამ უწყებას, რაც გაუგონარია. ბოლო ოფიციალური მონაცემებით, რაც მათ ევროსაბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში გაამჟღავნეს, ეს იყო 25 ათასი პატიმარი, რასაც გამოვრიცხავ. მათი რიცხვი გაცილებით მეტია და თუ რამდენია ეს მხოლოდ ხელისუფლებამ იცის. ციხე არ უნდა იყოს ჩაკეტილი სამყარო, სადაც თავდაცვის, შსს-ს სამინისტროს ჯალათის მეტი ვერავინ შედის.

**თამარ შველიძე**

# hamlet WipaSvili: me vambob, rom saqarTvelo natoSi ver Seva!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტოლოგი **ჰამლეტ ჭიპაშვილი**.

**— ბატონო ჰამლეტ, ნატოს გენერალური მდივანი გვსტუმრობდა ახლახან, რას მივაწეროთ ეს პატივი?**

— რასმუსენის ვიზიტი, ჩემი აზრით, არ იყო მნიშვნელოვნად სიახლის შემცველი, მან იგივე გაიმეორა, რასაც წლების განმავლობაში ლაპარაკობენ. მისი რიტორიკა აპატურაის სიტყვების გაგრძელება იყო თითქმის. ერთი სიტყვით, საკითხი ასე დგას — საქართველო ვერ გაწევრიანდება ნატოში, ვიდრე არ შეასრულებს იმ დავალებებს, რაც მიცემული აქვს. ეკონომიკის განვითარება, სასამართლო სისტემის სამართლიანობა, არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარება და ა.შ. ეს არის, ასე ვთქვათ, ზოგადი საკითხები, მაგრამ არსებობს უფრო კონკრეტული და პრინციპული საკითხებიც, მაგალითად, როგორიცაა მეზობლებთან ურთიერთობა, საზღვრების დემარკაცია — დელიმიტაცია.

საქართველოს მძიმე ურთიერთობა აქვს რუსეთთან და საერთოდ არა აქვს არავითარი პოზიცია ახლადშექნილ ქვეყნებთან. ცხადია, აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ვგულისხმობ. გვინდა თუ არ გვინდა, ეს წარმონაქმნები არსებობს და საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან თუ არა, მათთან რაიმე სახის ურთიერთობა უნდა არსებობდეს. სწორედ ამაზე ისაუბრა რასმუსენმა და განაცხადა, რომ განდეგილ რეგიონებთან ურთიერთობა უნდა არსებობდეს.

**— მან ხაზი გაუსვა, აგრეთვე, საქართველოს თანხმობას რუსეთის გაწევრიანებაზე მსო-ში.**

— დიახ, და ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ნატო მიესალმება რუსეთ-საქართველოს შორის მოლაპარაკებებსა და დიალოგს.

ყველა კომპლიმენტი, რაც რასმუსენმა საქართველოს მისამართით თქვა, ეს იყო უბრალო დიპლომატიური ეტიკეტი, თორემ ყველა კარგად ხედავს, რა ხდება საქართველოში. რა ვითარებაც იყო ბედკრული შევარდნაძის დროს დემოკრატიის კუთხით, ისიც კიდევ უფრო გაუარესდა.




**— ბატონო ჰამლეტ, ბოლოს და ბოლოს, როდის შეიძლება საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრი გახდეს, საერთოდ, პერსპექტივა თუ გვაქვს?!**

— ნატოს დიდი სურვილია საქართველო მიიღოს ალიანსში, მაგრამ საქართველოს იმდენი პრობლემა დაუგროვდა ამ ხელისუფლების წყალობანი, რომ ასეთ პრობლემიან ქვეყანას ვერ მიიღებენ. მას მოუწევს ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რაც საქართველოს აწევს მხრებზე.

**ბატონ სააკაშვილს ფეხებზე ჰკიდია დემოკრატია, ქვეყნის განვითარება, მისი ამბიციები საკმაოდ სცილდება ყოველგვარ დემოკრატიულს და მკვეთრად უახლოვდება დიქტატორულს, ყველა ვხედავთ, რომ პარლამენტი არაფრის მაქნისია, ამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ორი მესამედი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებით არის გადაჭედილი, რის გამოც სააკაშვილის ყველა ახირება უყოყმანოდ არის გაზიარებული. პარლამენტი და მთავრობა საქართველოში არის სუროგატი, ვითომ მთავრობა, ვითომ პარლამენტი, სინამდვილეში ერთი ადამიანის ჭკუაზეა ყველაფერი. ჩვენი ხვალინდელი დღე იმაზეა დამოკიდებული, როგორ ხასიათზე გაიღვიძებს დილით სააკაშვილი. ასეთ სიტუაციაში ზედმეტია ლაპარაკი დემოკრატიაზე.**



**— რეფერენდუმზე ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება ნატოს მიმართ. მოსახლეობის 70 პროცენტი მხარს უჭერს ალიანსში ინტეგრაციას, ნატოც მოხარულია, რომ საქართველო იყოს ალიანსის წევრი. რა გამოდის, ერთადერთი დაბრკოლება სააკაშვილია?**

— სააკაშვილი არის სერიოზული დაბრკოლება ამ გზაზე, მაგრამ მე მინდა ერთ გარემოებას მკვეთრად გავუსვათ ხაზი. რეფერენდუმზე, რომელიც თქვენ ახსენეთ, ალიანსში გაწევრიანების თემა იყო ერთ-ერთ საკითხად, დანარჩენი მაჩვენებლები იმ რეფერენდუმის დროს გაყალბებულად ჩაითვალა. ამბობენ, რომ 70 პროცენტი თანახმა იყო ალიანსის წევრობაზე, მაშინ რატომ იყო წინასწარი მონაცემებით 60 პროცენტი? ე.ი. მოხდა მიწერა, არა? მე, პირადად, ეჭვი მეპარება, რომ მოსახლეობის 70 პროცენტი, თუნდაც 50 პროცენტი მხარს უჭერდეს ნატოში გაწევრიანებას, რეალობა კი ის არის, რომ მოსახლეობის 30 პროცენტი არის გაწევრიანების მომხრე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ვისაც ვიცნობ, ყველა წინააღმდეგია ამ ინტეგრაციის, რეგიონებშიც და დედაქალაქშიც.

**— გამოდის, რომ მიშაც წინააღმდეგია, რადგან მისი მოქმედებებით პირდაპირ უშლის ხელს ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას.**

— არა, სააკაშვილს ძალიანაც უნდა ეს, მაგრამ დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. იმ ქმედებებით, რასაც ჩადის, პირდაპირი, ყოველდღიური სარგებელი აქვს, ნატო კი მომავლის პერსპექტივად მიაჩნია.

მოდით, ასე ვიმსჯელოთ, 2008 წლის მოვლენების გამო საქართველო პირდაპირ არის აღიარებული აგრესორ ქვეყნად. თანაც, საქართველოს ხელისუფლება იმდენად არაპროგნოზირებადია, რომ ვერ გაიგებ, რა შეიძლება მოიმოქმედოს. გაუწონასწორებელი ხელისუფლება გვყავს, ძნელად გამოსაცნობია მათი მოქმედების გეგმები.

თანაც იცით, რაშია საქმე? საქართველოს მოსახლეობას, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა სურს, ბარიერად ნატო ესახება.

**— გამოდის, რომ „აისაფის“ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობა წყლის ნაყვა ყოფილა.**

— ჩვენი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ჯარისკაცები იქ გადიან საუკეთესო წვრთნას. მაგრამ რაში გვჭირდება გაწვრთნილი ჯარისკაცი? კარგი, ბატონო, გაიწვრთნა ჯარისკაცი, მაგრამ რა გააკეთეს, ვნახეთ 2008 წელს. მას შემდეგ, რაც რუსის ტანკი გამოჩნდა, ყველამ ერთად მიატოვა ბრძოლის ველი და გამოიქცნენ უკან პირველივე შეტაკების შემდეგ. კარგი, მაგრამ, ოდესმე ხომ მორჩება ომი იქ, მერე რას აპირებენ, საინტერესო არაა? არადა, ამ ბრიყვულ წინადადებას ალასანია და რესპუბლიკელებიც ტაშს უკრავენ.

**— ბატონო ჰამლეტ, ახლო ხანებში არეულობები არის მოსალოდნელიო, სააკაშვილი რაზმებს წვრთნისო, შეიძლება არჩევნების ვადამ აქეთ გადმოიწიოსო, თქვენ რას იტყვით სიმართლის შემცველია ეს ხმები?**

— ახლა, ცხადია, რომ მიშა ძალიან შეშფოთებულია ივანიშვილის გამოჩენით, მაგრამ არჩევნები ნაადრევად, არა მგონია, რომ ჩაატაროს. დღეს რომ არჩევნები გაიმართოს, პირწმინდად მოიგებს ივანიშვილი, ან ის, ვისაც ის თავის კანდიდატად წარმოადგენს, მაგრამ არავინ იცის, რა იქნება ერთი წლის შემდეგ. რაც მეტად გადის დრო, მით მეტი კითხვები ჩნდება ივანიშვილის მისამართით. მან თავის გუნდში თავი მოუყარა ისეთ ადამიანებს, რომლებიც ამ საზოგადოებას არ მოსწონს. არ მოსწონს ხალხს რესპუბლიკელები, ბესელია, ბევრი სხვაც, მაგრამ ყველა ერიდება მისთვის ამის თქმას — არიქა, არ ეწყინოს ბატონ ბიძინასო და ა.შ. ახლა თანდათან გაისმის უკვე უკმაყოფილებები იმის შესახებ, რომ საზოგადოებას არ მოსწონს ბატონი ივანიშვილის ფრთებქვეშ შესეული ზოგიერთი რეპუტაციაშელახული ადამიანი, ახლა ბურჯანაძესაც დაველაპარაკებითო, მოკლედ, რაც დრო გავა, მეშინია, ასეთი რამეები კიდევ არ დაემატოს ერთმანეთს. ბიძინა ივანიშვილმა უნდა გაითვალისწინოს ყველაფერი.

ჩვენ უნდა შევძლოთ სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, ხალხს არ მოსწონს ივანიშვილის გარემოცვა. მით უფრო, რომ ბიძინა ივანიშვილი, მსოფლიოში, ჩემი აზრით, უნიკალური ადამიანია, მე არ მსმენია სხვა მილიარდერი, რომელიც წლების განმავლობაში უანგაროდ გასცემდეს ფულს უცნობი ადამიანების დასახმარებლად. არც გეიტსია ასეთი და არც სხვა ვინმე.

**სადაა მისი მრჩევლები? რას ურჩევენ? ივანიშვილი დღეს აღარ არის ბიზნესმენი. დამთავრდა ბიზნესმენობა, რაღაც ეტაპზე, ახლა ბატონი ბიძინა არის პოლიტიკოსი და პოლიტიკა ბიზნესისგან რადიკალურად განსხვავებული რამეა.**

**რატომ არ ურჩია მრჩეველთაგან არავინ, რომ მისი მოქალაქეობის აღდგენის სასამართლო განხილვა არასახარბიელოდ დამთავრდებოდა?! ეს სასამართლო არ გამოიტანს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, კანონი კი ამ ხელისუფლების მხარესაა.**

**ბესელია აცხადებს, რომ ბატონი ივანიშვილი ყოფილა ერთ-ერთი ქვეყნის საპატიო კონსული, კონსულები იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, სადაც არის საკონსულო, ანუ საქართველოს მოქალაქეა, ამ მოქალაქეს კი არავითარი იმუნიტეტი არ იცავს. ეს არის უბრალო ანბანი, ხოლო გუნდს უნდა ჰქონდეს უდიდესი პასუხიმგებლობა. ბრძოლა, ბატონებო, იქნება ძალიან სერიოზული.**



**— სასწორზე რომ სააკაშვილი და ივანიშვილი იდგეს, საჭირო დროს დასავლეთი კვლავ დახუჭავს თვალს ყველაფერზე და კვლავ დაუჭერს მხარს არადემოკრატ სააკაშვილს?**

— სააკაშვილი კი გამოდის და აცხადებს, რომ მას არ ხიბლავს პრემიერ-მინისტრობის პერსპექტივა, მაგრამ არავინ იცის, ერთი წლის შემდეგ რა მოუვა თავში ამ არანორმალურს. ახლა რასაც ის ამბობს, ეს არ ნიშნავს, რას მოიმოქმედებს ერთი წლის შემდეგ. ჯერჯერობით მისი მთავარი ამოცანა არის საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით მოსვლა. ნაციონალები ყველაფერს გააკეთებენ ამისთვის.

**ირანდა კალანდაძე**

# Cveni nacionaluri biujeti: saTxilamuro kurortis mosawyobad aRebuli 41-milioniani sesxi, moSvebuli qamrebi da inflaciiT Sevsebuli xazina



ისედაც რეალობა-არეული ქართული საზოგადოება, ბოლო დროს, სულ დაიბნა და ვეღარ გაურკვევია, რომელია ნამდვილი ბიუჯეტი: ივანიშვილის, რომელიც ბიზნესმენმა საკუთარი შრომით შექმნა, თუ სააკაშვილის, რომელიც ჩვენი ჯიბეებიდან ამოღებული თანხით არის შეკოწიწებული. სააკაშვილის, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა რიგით მოქალაქეებს ისედაც მივიწყებული აქვთ, რადგან მისგან დიდი ვერაფერი ხეირია. სამაგიეროდ, ივანიშვილის ფულები გახდა ისეთი აქტუალური და ადვილად დასათვლელი, რომ მთელი ქვეყანა მეორე კვირაა, ამაზე ლაპარაკობს. რაღა თქმა უნდა, ძირითადად ისინი, ვისაც არ ეზარება და მოცლილადაც არის. მოცლილები კი, თუ ძვირფასი პრეზიდენტის განცხადებას დავეყრდნობით, სრულწლოვანი მოსახლეობის ნახევარზე მეტია.

საზოგადოებისთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ რაც ბოლო წლებში ქვეყანაში რამე კარგი გაკეთებულა, თურმე ყველაფერი ივანიშვილის ქველმოქმედების წყალობით. ამიტომ ძალიან ბუნებრივია, რომ თბილისში ახალი ჭორი აგორდა: ბიზნესმენმა ოპერის თეატრის და სახელმწიფო უნივერსიტეტის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის დაფინანსება შეწყვიტაო. ქვეტექსტი ასეთია: ბიძინამ უთხრა მიშას, თუ ბიჭი ხარ, მიდი და დაამთავრე ეს საშვილიშვილო საქმეები, თუ არა, მოგეჭრა საქვეყნოდ თავი. როგორც „ქართუ ჯგუფის“ პრესამსახურში აცხადებენ, ამ ობიექტების დაფინანსება არ შეწყვეტილა. უნივერსიტეტი ფაქტობრივად, დასრულებულია, ხოლო ოპერის თეატრის კაპიტალური შეკეთება გეგმის მიხედვით გრძელდება. როგორც ჩანს, ივანიშვილი ის კაცი არ არის, ქველმოქმედებაში პარტიული განწყობები გამოურიოს. რეალობაარეული საზოგადებისათვის ეს მიდგომა ხშირად გაუგებარია და ალბათ, ბიზნესმენის ბიუჯეტის განაწილებაზე დიდი სჯა-ბაასი კიდევ დიდხანს არ დასრულდება.

### სხვისი ფულით შევსებული ბიუჯეტი

სამაგიეროდ, ექსპერტების გარდა, ცოტას თუ ახსენდება, რომ პარლამენტმა დეკემბრის ბოლომდე უნდა დაამტკიცოს მიშას ბიუჯეტი, რომელიც უმრავლესობის მტკიცებით, ცაში ვარსკვლავებს წყვეტს, სინამდვილეში კი იმაზე უარესია, რა დოკუმენტიც წელს გვქონდა. უარესია ჩვენთვის, თორემ ნაცებმა იმდენი ფულის საშოვნელი ხვრელი ჩადეს ბიუჯეტში, რომ ბარე ათ არჩევნებს მოიგებენ.

შეიძლება ითქვას, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის სოლიდური ნაწილი ვალებზეა აგებული და ხშირად ძალიან ძნელია, იმის გარკვევა, თუ რაში უნდა დაიხარჯოს სესხად აღებული ფული. ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტისთვის განკუთვნილი კრედიტის ზრდის ტენდენცია ასეთია: 2010 წელს – 484 მილიონი, 2011 წელს – 680 მილიონი, 2012 – 855 მილიონი. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გამოყოფილი 129 მილიონი ლარიდან 94 მილიონი კრედიტია. რეგიონული განვითარების სამინისტროს 920 მილიონიდან – 557 მილიონი, ენერგეტიკის სამინისტროს 290 მილიონიდან – 204 მილიონი. თითქმის მთლიანად კრედიტით აპირებს ხელისუფლება სვანეთში სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამ საქმისათვის ბიუჯეტიდან 49 მილიონია გამოყოფილი, საიდანაც 41 მილიონი კრედიტია. ცალკე თემაა, რა სახელმწიფო ბიუჯეტის საქმეა სათხილამურო კურორტების მოწყობა და ისიც სვანეთში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მთავრობა ღიად ლობირებს ხუდონჰესის მშენებლობას, რაც კიდევ უფრო შეცვლის სვანეთის კლიმატს და სათხილამურო სრიალისთვის უვარგისს გახდის ამ მხარეს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 49 მილიონი ჰაერში იქნება გასროლილი. დამშვიდების საბაბს მხოლოდ ის ფაქტი იძლევა, რომ აქედან ნახევარი მაინც ნაციონალების ჯიბეში მოხვდება და კარგადაც შეირგებენ.

ანალოგიური სიტუაციაა რეგიონული განვითარების სამინისტროს პროექტებშიც. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები დაფინანსებულია 494 მილიონი ლარით, საიდანაც 282 მილიონი კრედიტია. წყალმომარაგების რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი 161 მილიონიდან 125 მილიონი კრედიტია. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის 72-მილიონიანი პროექტის 52 მილიონი უცხოური გრანტია. ჩვენი რაღაა? ჩვენი, ანუ მიშასია, „სხვა მუხლები“ და სპეციალური ფონდები, რომელთა შემმოწმებელი და ამბის მკითხველი არავინ არის. აქაც დამშვიდების საბაბს ის ფაქტი იძლევა, რომ აქედანაც ნახევარი მაინც ნაციონალების ჯიბეში მოხვდება და კარგადაც შეირგებენ.

როგორც ვთქვით, 2012წლის ბიუჯეტში ისევ აქტუალურია მუხლი – „სხვა ხარჯები“. მართალია, წლევანდელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ არის შემცირებული, მაგრამ მაინც კატასტროფულად დიდი რიცხვია – 836 482 მილიონი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 12,8%-ია. მკითხველმა უკვე იცის, ლაპარაკია ძალიან ზოგად კატეგორიაზე, რომელიც კონკრეტულად არავის არაფერს ავალდებულებს და ამ სხვა ხარჯებს, როგორც მოეპრიანებათ, ისე იყენებენ.

### ქამრების მოშვების პოლიტიკა

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ ბიუჯეტის ახალი პროექტის განხილვისას გამოჰყო რამდენიმე მსხვილი პრობლემა და პარლამენტს მოუწოდა, ბიუჯეტის განხილვისას ეს შენიშვნები გაითვალისწინონ. ამგვარი მოწოდებები რომ მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს, ყველას მოეხსენება, მაგრამ წესია ასეთი და ასოციაციამაც ამ წესს ვერ გადაუხვია.

მცირდება ბიუჯეტის შემოსულობები: 2012 წლის პროექტით, შემოსავლების ზრდა 4,7%-ით არის გათვალისწინებული და თანხობრივად 6 606 025 მილიონ ლარს შეადგენს. ამ მაჩვენებლის დიდი ნაწილი საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, რომელიც 2012 წელს 450 მილიონი ლარით იზრდება. მართალია, ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება, მაგრამ მთლიანი შემოსულობები მცირდება. აქ იგულისხმება, რომ ყველა ის შემოსავალი, რომელსაც სახელმწიფო სხვადასხვა წყაროდან იღებს, მცირდება. 2011 წელს ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობები განსაზღვრული იყო 8 360 962 მილიონი ლარით, 2012 წელს კი ეს ციფრი 7 673 700 მილიონი ლარი იქნება, ანუ შემოსულობების მოცულობა 687 მილიონი ლარით მცირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა იმ გადასახდელისთვის, რომელიც სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს 2012 წელს, თითქმის 700 მილიონი ლარით ნაკლები იქნება გამოყოფილი.

ახალი ბიუჯეტი ქამრების მოშვების პოლიტიკას ადგას. საზოგადოებას კარგად ახსოვს, 2008 წლის საომარი მოქმედებების და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად, თუ რა აქტუალური გახდა, ეგრეთ წოდებული, ქამრების შემოჭერის პოლიტიკა. მაშინ და დღესაც აუცილებელი იყო ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და ეს პროცესი, პირველ რიგში, სახელისუფლებო უწყებების ზედა რგოლებს უნდა შეხებოდა. მიმდინარე წელთან შედარებით, 2012 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რიცხვი 100 130 კაციდან 99 538 კაცამდე მცირდება. ამ ფონზე, შრომის ანაზღაურებისთვის გამოყოფილი თანხების მოცულობა კი 47 მილიონ 930 ათასი ლარით იზრდება და 1 080 143.0 მილიონი ლარის ნაცვლად, მომავალ წელს იგი 1 128 073.0 მილიონი ლარი იქნება. მოცემულ ციფრებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვთვალოთ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მაჩვენებელი. 2011 წელს იგი შეადგენდა 10 787 ლარს, 2012 წელს კი ეს ციფრი 11 333 ლარი იქნება.



„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ შემოსავლების ზრდის მიზეზი არის ინფლაცია. 2012 წელს საგადასახადო შემოსავლები 6 100 000.0 მილიონი ლარი იქნება, რაც წინა წელთან შედარებით, 7,9%-ით მეტია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფლაცია ბიუჯეტის შემოსავლებს ზრდის. შესაბამისად, შემოსავლების 4,7%-იანი ზრდა 6%-იანი ინფლაციის ფონზე რეალურად არა ზრდას, არამედ, 1,3%-იან კლებას ნიშნავს. მდგომარეობას ის ფაქტიც ამძიმებს, რომ საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი იმ გადასახადებზე მოდის (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი და ა.შ.), რომლებიც პირდაპირპროპორციულ კავშირში არიან ფასების დონის ცვლილებასთან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საგადასახადო შემოსავლების უდიდეს ნაწილს (დაახლოებით 85%-ს) უზრუნველყოფენ ფიზიკური პირები, ანუ ბიუჯეტს, ფაქტობრივად, თითოეული მოქალაქე ავსებს საკუთარი ჯიბიდან და კორპორაციები და იურიდიული პირები ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მხოლოდ 15%-ს ავსებენ.

### საარჩევნო ბიუჯეტი, რომელიც ნაციონალების გამარჯვებას ემსახურება

„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე მიიჩნევს, რომ „2012 წლის ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტი მოუმზადებლი და ტენდენციურია. მისი განცხადებით, ეს ბიუჯეტი ცალსახად მმართველი გუნდის გამოკვეთილი პარტიული მიზნების გათვალისწინებით არის შედგენილი და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებას ემსახურება.

მისი თქმით, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, მთავრობის დაჟინებული მტკიცებისა და არაერთი განცხადების მიუხედავად, არ წარმოადგენს პროგრამულ ბიუჯეტს. ისევე როგორც გასულ წლებში, მთავრობა კვლავ აგრძელებს ერთგვარ „ტრადიციას“: ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში გაწერილია მხოლოდ პრიორიტეტები და არა კონკრეტული პროგრამები. ამ პროგრამებისთვის განკუთვნილი კონკრეტული თანხები კვლავ არაკლასიფიცირებულია, ხოლო მოსალოდნელი ფინანსური შედეგები კი, ბუნდოვანი. ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ აქაც შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, რადგან ამ ხვრელებიდან წამორებული თანხები ნაცების ჯიბეებს არ ასცდება.

**– საყურადრებოა, რომ 2012 წელი საარჩევნო წელია და ბუნებრივია, ეჭვები მმართველი გუნდის მიერ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ამ ე.წ. გაუშიფრავი 836 მილიონი ლარის სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ, სავსებით გამართლებული და არც თუ უსაფუძვლოა,** – აცხადებს ლევან კალანდაძე. – **2012 წლის ბიუჯეტის პროექტში აქტუალურია ხელფასების თემა. 2011 წელთან შედარებით, 48 მილიონი ლარით იზრდება სახელმწიფო აპარატის ხელფასებისთვის გამოყოფილი თანხები. მაშინ როცა, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნება მცირდება. დღეს მთელს მსოფლიოში განვითარებული, ეკონომიკურად სტაბილური და მდგრადი სახელმწიფოებიც კი სამთავრობო და ადმინისტრაცული ხარჯების მკვეთრ შემცირებაზე არიან ორიენტირებულნი. საქართველოში კი, საწინააღმდეგო ტენდენციას აქვს ადგილი. აღნიშნული მიდგომა აშკარად წინააღმდეგობაში მოდის მთავრობის მიერ დეკლარირებულ ე.წ. ქამრების შემოჭერის" სამთავრობო ხარჯების შემცირების და ოპტიმიზაციის პოლიტიკასთან.**

მნიშვნელოვანი დეტალია სახელმწიფო პრიორიტეტების თემა, რომლებიც 2012 წლის ბიუჯეტის პროექტში არასწორადაა განსაზღვრული და აღრეულია. მაგალითად, შემცირებულია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ხარჯები მაშინ, როცა მნიშვნელოვნად იზრდება თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების ასიგნებანი. ხოლო პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდების ოდენობა გასული წლის მსგავსად კვლავაც 50-50 მილიონი ლარით არის განსაზღვრული.

**მანანა გეგიძე**


## axali Jurnali `kompiuteris TviTmaswavlebeli~




პრესის გავრცელების ობიექტების სტელაჟებზე უკვე გამოჩნდა ახალი ჟურნალი – „კომპიუტერის თვითმასწავლებელი“, რომელიც თავის ფურცლებზე გვთავაზობს კომპიუტერის პროგრამების შემსწავლელ გაკვეთილებს, ხოლო თანდართულ კომპაქტდისკებზე დეტალურად და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ვიდეომასალას. დისკი თან ერთვის ჟურნალის თითოეულ ნომერს.

როგორც ჟურნალის დამფუძნებლები: რედაქტორი - კობა ბედოიძე და გამომცემელი გოჩა ღვინიაშვილი აღნიშნავენ, ჟურნალის მიზანია, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს ის კომპიუტერული პროგრამები, რომელთა ცოდნაც არათუ სასურველი, აუცილებელიც არის ნებისმიერი თანამედროვე ადამიანისთვის.

ამჯერად, ჟურნალის პირველ ნომერში დაწვრილებით განიხილება ყველაზე მეტად გავრცელებული საოფისე პროგრამა „ვორდი“, დამფუძნებელთა ინფორმაციით, ახლო მომავალში დაინტერესებულ მკითხველს წარუდგენენ კომპიუტერის მართვისა და ორი მეტად პოპულარული პროგრამის, „ექსელისა“ და „ფოტოშოპის“ გაკვეთილებს.

# ra sqemas amuSavebs xelisufleba biZina ivaniSvilis winaaRmdeg?

ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მოქმედების რამდენიმე ვარიანტს ამუშავებს, რომლებიც შეიძლება ცალ-ცალკე, შეიძლება ერთად, კომპლექსურად იქნეს მოყვანილი მოქმედებაში.

გეგმის პრელუდია ანუ შესავალი ნაწილი ხელისუფლებამ უკვე განახორციელა — ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა შეუჩერა და „ქართუ ბანკში“ „ეროვნული ბანკის „დამკვირვებლები“ შეუშვა, რომლებიც, ნოდარ ჯავახიშვილის



თქმით, უფლება-მოვალეობებს აჭარბებენ და უხეშად ერევიან ბანკის შიდა საქმეებში.

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა პოლიტიკაში ძალზე მოულოდნელად მოხდა, ხელისუფლებას, როგორც ჩანს, მაინც ჰქონდა რაღაც ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლას აპირებდა და, აქედან გამომდინარე, მის გასანეიტრალებლად გარკვეული გეგმა წინასწარვე ჰქონდა დამუშავებული და ეს არც არის გასაკვირი — მას შემდეგ, რაც სააკაშვილს ინაუგურაციის შემდეგ ივანიშვილმა დაურეკა და პირდაპირ უთხრა, რომ მათი გზები უნდა გაყოფილიყო, ხელისუფლება უკვე არ ენდობოდა ივანიშვილს და მის ყველა ნაბიჯს ყურადღებით აკვირდებოდა.

გახსოვთ, ალბათ, პრესით რამდენჯერმე გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილმა ხელისუფლებასთან კონფლიქტის გამო საქართველო დატოვა.

ამ ჭორებს, ეტყობა, ხელისუფლება სპეციალურად თხზავდა და თავის კონტროლს დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებებით ავრცელებდა.

ეს იყო ერთგვარი მესიჯი, რომელსაც ხელისუფლება ივანიშვილს საგანგებოდ უგზავნიდა და რომლის მიზანი იყო „მიეხვედრებინათ“ განაწყენებული ბიზნესმენი, რომ დროზე გასცლოდა საქართველოს, თუმცა, როცა მოსახდენი მაინც მოხდა და ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის განცხადება გააკეთა, ხელისუფლებამ მის სიურპრიზს თავისი სიუპრიზი შეაგება — ივანიშვილს მოქალაქეობა შეუწყვიტა.

ეს იყო ივანიშვილის პროვოცირების მიზანმიმართული, კარგად გათვლილი და აწონილ-დაწონილი ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან, რომ ივანიშვილის საპასუხო რეაქცია იმ კალაპოტში მი-



ეშვათ, რომელიც ხელისუფლებას საშუალებას მისცემდა გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა მისთვის.

კერძოდ, თუ ივანიშვილის დასაცავად ხალხის დიდი მასა სპონტანურად გამოვიდოდა ქუჩაში და ამ საპროტესტო ტალღას მკვეთრად რადიკალური ხასიათი მიეცემოდა (რისი პროვოცირებაც ხელისუფლებას მასაში შეგზავნილი თავისი აგენტების საშუალებით არ გაუჭირდებოდა), ჩნდებოდა შანსი, რომ ყოველივე ეს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებად გაფორმებულიყო, ხოლო ივანიშვილს ამ ამბოხების ორგანიზატორად გამოაცხადებდნენ და ამ ქვეყნიდან გააძევებდნენ ან, უარეს შემთხვევაში, დაიჭერდნენ.

ხელისუფლების ეს გეგმა ჩაიშალა — ივანიშვილმა განაცხადა, რომ კატეგორიული წინააღმდეგი იყო ყოველგვარი აქციის, მიტინგის, მითუმეტეს, რევოლუციის და ბრძოლას მხოლოდ სამართლებრივი გზით მხოლოდ კანონიერების ფარგლებში გააგრძელებდა.





ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ივანიშვილს ადრე თუ გვიან მაინც გამოიტყუებს გარეთ, ქუჩაში და იქ, მისთვის კარგად ნაცნობ გარემოში, თავის მოედანზე, ივანიშვილს მწარედ დაამარცხებს.

სწორედ ამ სცენარის რეალობაში განხორციელების იმედით უნდა ავხსნათ ხელისუფლების ქმედებები ახალი ზონდერ-ჯგუფების შესაქმნელად.

როგორც ამბობენ, ამ ზონ-



დერჯგუფებს რეგიონებში მცხოვრები ადამიანებით აკომპლექტებენ და არა თბილისელებით, რაც იმით აიხსნება, რომ მომავალ ბატალიებში რეგიონებიდან ჩამოსული უცნობი ადამიანების ჩართვა დემონსტრაციების თუ სხვა სახის აქციებით არ გამოხატა?

ცხადია, ხელისუფლების გათვლა ლოგიკურია — სამოქალაქო მოძრაობა, რომელშიც ხალხის დიდი მასა უნდა გაერთიანდეს, და ჩანერგვა უფრო მოხერხებულია, ვიდრე თბილისელებისთვის კარგად ნაცნობი ადგილობრივი „შპანისა“.

ეტყობა, ხელისუფლება ფიქრობს, რომ ჯერჯერობით ყველაფერი მაინც მის წისქვილზე ასხამს წყალს და იმ სცენარის სიუჟეტურ ქარგაში ჯდება, რომელიც წინასწარ არის შემუშავებული მის მიერ.

ამგვარი ფიქრის საფუძველს ხელისუფლებას შეიძლება ის აძლევს, რომ ახლო ხანებში ჩამოყალიბდება ახალი სამოქალაქო მოძრაობა „ქართული ოცნება“, რომელსაც უშუალოდ ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს, მოძრაობა კი რისი მოძრაობაა, თუ ის ქუჩაში არ გამოვიდა და თავისი მოთხოვნები მიტინგების, კაბინეტებში ვერ ჩაიკეტება და მისი მთავარი ასპარეზი ქუჩაა, სადაც ხელისუფლება ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში.

მართალია, ივანიშვილმა კი ბრძანა, რომ მისი მთავარი ამოცანაა დაარეგულიროს ხალხის საპროტესტო განწყობა, ის კონტროლიდან არ გამოვიდეს, მაგრამ ამის გაკეთება შეიძლება გართულდეს, თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლება ყველანაირად ეცდება აქტიურად იმოქმედოს ამ მოძრაობის შიგნით და ტემპერატურა იმ ნიშნულამდე ასწიოს, როცა მისი გაკონტროლება და ნორმის ფარგლებში დაბრუნება შეუძლებელი ხდება.

არც ის არის გამორიცხული, რომ ივანიშვილის მხრიდან მუდმივად თავშეკავებისკენ და მოთმინებისკენ მოწოდება მისი დისკრედიტაციისთვის იქნას გამოყენებული და მას ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებაში დასდონ ბრალი.

არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც ხელისუფლებას არაერთხელ გამოუყენებია წარმატებით.

ეს არის სპეციალური დავალებით და სათანადო ინსტრუქციით აღჭურვილი პირის შეგზავნა ივანიშვილის გარემოცვაში.



მსგავსი ხერხი ხელისუფლებამ სულ ბოლოს ნინო ბურჯანაძესთან მიმართებაში გამოიყენა, როცა გენერალი უჩავა, რომელიც „შეფიცულთა“ „საბრძოლო მომზადებას“ ხელმძღვანელობდა, დაკავების შემდეგ აღიარებითი ჩვენებით წარსდგა საზოგადოების წინაშე და ნინო ბურჯანაძე და მისი გუნდი, ფაქტობრივად, ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების დამხობის მცდელობაში „ამხილა“.

უჩავებს რა გამოლევს, თითო უჩავა ყოველთვის ჰყავს ამ ხელისუფლებას შავი დღისთვის შემონახული.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

## დარიალის ხეობა მდინარე თერგის გარეშე დარჩება



დარიალის ხეობაში „დარიალი ჰესის“ მშენებლობა და ოპერირება ხეობას და მის ეკოსისტემას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. ეს დასკვნა არასამთავრობო ორგანიზაციებმა -„მწვანე ალტერნატივამ“ და „სტეფანწმიდამ“ „დარიალი ჰესის“ პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშის განხილვის შემდეგ გააკეთეს.

„პროექტი ითვალისწინებს 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის (90 პროცენტის) სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდებას. სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე მდინარეში დარჩება მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 პროცენტი. პროექტი აბსოლუტურად შეცვლის დარიალის ხეობის ლანდშაფტს, რის გამოც ის დაკარგავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ - ეთნოგრაფიულ და ტურისტულ ფასეულობას. პროექტს ასევე ექნება ძალზე მნიშვნელოვანი შეუქცევადი ზეგავლენა „წითელ წიგნში“ შეტანილ სახეობაზე, ნაკადულის კალმახზე და მდინარე თერგში ამ პოპულაციის გაქრობას გამოიწვევს,“ - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციებში.

110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დარიალიჰესი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რუსეთ-საქართველოს საზღვართან, მდინარე თერგის მარჯვენა ფერდზე, მდინარე ყუროს და ხდის წყალს შორის შენდება. ჰესს შპს „დარიალ ენერჯი“ აშენებს. ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში 120 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა ჩაიდოს. ჰესი ექსპლუატაციაში 2014 წელს უნდა შევიდეს.

დარიალიჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას ზამთარში საქართველო მოიხმარს, ზაფხულში კი ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში განხორციელდება.

# `benduqiZe, iuda!~

`benduqiZe, iuda!~




რა გაძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ მე შეიძლება რაიმე საშინელება ჩავიდინო საქართველოს წინააღმდეგ? უფრო კარგი მაგალითები გაგაჩნიათ – ბენდუქიძე, რომელიც საკმაოდ მდიდარია, შეიძლება იმდენი არ აქვს, რამდენიც მე, მაგრამ მულტიმილიონერია, პირდაპირ წამოსული რუსეთიდან მინისტრად დაისვა სააკაშვილმა, რატომ აქ არ გაჩნდა ეს კითხვები?! – სვამს კითხვას ბიძინა ივანიშვილი

ეს კითხვები დიდი ხანია დაისვა საქართველოში, თუმცა არც ხელისუფლება და არც თავად ბენდუქიძე ამაზე პასუხს არ გვცემს. კახა ბენდუქიძე რუსეთის საქმიანი წრეების თავლსაჩინო და კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა. მან 90-იანი წლების გარიჟრაჟზე პარტნიორებთან ერთად ურალმაშის ბაზაზე შექმნა წარმატებული ბიზნესი. თუმცა სხვადასხვა დროს ინტერესები ჰქონდა ნავთობის სფეროში. ერთი პერიოდი ფლობდა ,,ატომსტროიექსპორტის“ საკონტროლო პაკეტს, რომელიც ირანში და არა მარტო იქ აშენებდა ატომურ ელექტროსადგურს და ატომურ წყალქვეშა ნავებს. ,,ენტევეს“ განადგურების შემდეგ მცირე ხნით **TV6** -ის პარტნიორებს შორისაც იყო, თუ ჩვენი წყარო არ ცდება კისილიოვთან ერთად, თუმცა მალე იგრძნო ზურგში ხელისუფლების მწველი მზერა და ამ საქმიდან ერთ-ერთი პირველი გავიდა. ირკვევა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების იდეოლოგიის ლიბერალური საწყისების ფუძემდებელი ბენდუქიძე იგივე სააკაშვილის შეფასებით ჯაშუშების მესვეურის და ოკუპანტი ქვეყნის ყოფილი და ფაქტობრივი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის 1999 წლის წიანსაარჩევნო კამპანიასაც აფინანსებდა და ელცინთან ერთად მის ხელისუფლებაში მოსვლას ლობირებდა.

საქართველოში მოღვაწეობის გაგრძელების მერე, როგორც თავად ამბობს, სწორედ დასავლური ბიუროკრატია გახდა ბენდუქიძისთვის ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორი როგორც საქართველოსთვის, ისე რუსეთისა და დასავლეთისთვის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული ობიექტის- მილსადენის გაყიდვაში. თუმცა მილსადენამდე ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს ომზ-ს (გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნები) გაყიდვის თემასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ამ მეგაკორპორაციაში ბატონი კახას კუთვნილი წილი გარკვეული ეკვილიბრისტული სლალომის შედაგად გაზპრომბანკის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. ხოლო ეს პერიოდი ქრონოლოგიურად ძალზედ საეჭვოდ დაემთხვა საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის თემის აქტუალიზაციასა და ამ საკითხის დაუფარავ და აგრესიულ ლობირებას საქართველოს მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის მხრიდან. ვინაიდან სრულიად აშკარაა, რომ ამ გაზსადენის მყიდველთა შორის უპირველესი გაზპრომი იყო, იბადება ლეგიტიმური შეკითხვა: ხომ არ აისახა რუსეთის მოქალაქე, ფიზიკური პირის კახა ბენდუქიძისთვის ომზ-ს აქციების 25% -ში გადახდილ ფასზე ის პრეფერენციები, რომელსაც საქართველოს მთავრობის წევრი, მინისტრი კახა ბენდუქიძე სთავაზობდა გაზპრომის სტრუქტურებს მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვის სახით. რაც საბოლოო ჯამში, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ს ადმინისტრაციის კატეგორიული ჩარევით იქნა თავიდან აცილებული.

ვარდების რევოლუციიდან ერთ დღეში აშშ-ს ადმინისტრაცია ზეინო ბარანის პირით აცხადებს, რომ საქართველო რეგიონში მილსადენის ერთერთი მთავარი გასაღებია. მალევე ამერიკული მხარე, იგრძნო რა მილსადენის გასხვისების საშიშროება, აცხადებს, რომ გაზპორომი პირდაპირ კრემლის კონტროლის ქვეშაა და მისთვის ენერგეტიკული რესურსების მიყიდვა პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება. ბენდუქიძეს იმდენად აღიზიანებდა წინააღმდეგობა, რომელსაც ამერიკელების მხრიდან ხვდბოდა, რომ ის საქართველოს ხელისუფლების ერთერთი ლობისტის მეთიუ ბრაიზას მეუღლის, ზეინო ბარანის პირდაპირ ლანძღვასაც კი არ ერიდებოდა.

ბენდუქიძისა და რუსული სპეცსამსახურების კავშირზე ზეპირად ბევრი საუბრობს, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ დაახლოებით ასეთი სქემით ,,aword-capital vostok-citycapital management-east capital“ გავდივართ საბჭოთა უშიშროების ხელმძღვანელზე, უშიშროების საბჭოს წევრზე ვადიმ ბაგატინზე. რომელსაც რუსულ წყაროებში სუკის ნოვატორულ ძალად მოიხსენიებენ. ბენდუქიძის და ბაგატინის გზები 1993 წლიდან რამდენჯერმე იკვეთება. 1993 წელს - ფონდი“პოლიტიკის“ ეგიდით რუსეთში შეიქმნა ,,კლუბი-93“, რომლის პოლიტიკასაც ბენდუქიძე ბაგატინთან ერთად ხელმძღვანელობდა. 1994 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგკომიტეტში ბაგატინი ბენდუქიძის ბიზნესპარტნიორთან ივანე ქიმელიდთან ერთად მოღვაწეობდა, რომელიც დასახელებულ ორგანოში სწორედ კახა ბენდუქიძის ინტერესების გამტარებელი იყო. ეს ის ქიმელიდია, რომლის მკვლელობასთან დაკავშირებით ახლაც უამრავი შეკითხვა ისმის. გარდა ამისა, ბენდუქიძეს ურალმაშის დირექტირთა საბჭოში ვადიმ ბაგატინის შვილი დიმიტრი ბაგატინიც კი ჰყავს შეყვანილი.

რუსული დაზვერვის კიდევ ერთი დამსახურებული ჯაშუშის ვიტალი შლიკოვის და ბენდუქიძის გზების თანხვედრაზე საუბრობენ პოლიტიკოსები, რომელიც დოკუმენტურად დასტურდება. შლიკოვი 2001წლიდან 2003 წლის ნოემბრამდე ომზ-ს გენერალური დირექტორის მრჩეველი იყო. 2003-2004წწ - ატომსტროის გენერალური დირექტორის მრჩეველი ერთი შეხედვით ყოფილი ჯაშუშის ეს თანამდებობები არაფრისმთქმელი იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი. დასახელებულ საწარმოში გენერალური დირექტორი სწორედ კახა ბენდუქიძე გახლდათ.

2000 წელს კახა ბენდუქიძე ინიშნება ურალმაშის გენერალურ დირექტორად. ამ თანამდებობაზე ბენდუქიძე ინიშნება ორიოდე კვირით ადრე საეჭვო ვითარებაში ოლეგ ბელოლენკოს მკვლელობამდე. მკვლელობები ბენდუქიძის ბიზნესბიოგრაფიას თან სდევს. 1993 წელს ,,კომერსანტი“ წერდა, რომ ბენდუქიძის ჯგუფი ნახსენები იყო ჩეჩენი მაღალჩინოსნების რუსალ ოციევის, მისი ძმის ნაზარბევ ოციევის და გენადი სანკოს მკვლელობებთან. მოკლულებთაგან ერთ-ერთი ჯოჰარ დუდაევის მრჩეველი, ხოლო მეორე ვიცე-პრემიერის მოადგილე იყო. საქმე ჩეჩნეთიდან ნავთობპროდუქტების არალეგალურ გატანას უკავშირდებოდა, სადაც, რუსული გამოცემის ცნობით, ბენდუქიძის ჯგუფი იყო გარეული.

ურალმაშის დირექტორად დანიშვნიდან მალევე ბენდუქიძე ხდება ქართველედა. უნდა ითქვას, რომ ზემოთხსენებულ საწარმოებში ახლადშექმნილი თუ არა, ალბათ გარემონტებული ტანკი მაინც მონაწილეობდა 2008 წლის კონფლიქტში.

კახა ბენდუქიძემ ჩვენთვის კარგად ნაცნობ ზატულინთან ურთიერთობა ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს დაამყარა. მაშინ როცა ზატულინი აფხაზებისთვის იარაღის და ტექნიკის მობილიზებით იყო დაკავებული. ირკვევა, რომ ამ რესურსის მობილიზაცია ბენდუქიძის კუთვნილი ორგანიზაციებიდანც ხდებოდა. 1992 წელს ბენდუქიძე ერთიანდება მრეწველთა პოლიტიკურ ორგანიზაციაში-1992, ზატულინი ამ გაერთიანების თავმჯდომარე იყო. გარდა ამისა იგი ზატულინთან ერთად საგარეო და თავდაცვით საბჭოში მოღვაწეობს, სადაც წევრებად გვევლინებიან ლავროვი, კარასინი, კოსაჩოვი, მარკოვი, პავლოვსკი, პრიმაკოვი, მათ წარდგენა არ სჭირდებათ. 1995 წელს ბენდუქიძე მორიგი ანტიქართული გაერთიანების ,,არჩევანის უფლების“ წევრი ხდება, რომელსაც მიგრანიანი ხელმძღვანელობს.

რუსეთის სპეცსამსახურებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობის ფონზე ბენდუქიძის იმპერიას საძირკველი ერყევა, რასაც ის 2003 წელს ,,ატომსტროიექსპორტის“ მიერთებით ამყარებს და მისი გენდირექტორი ხდება. ატომსტროი ირანში სკანდალურად ცნობილი სადგურის ,,ბუშერის“ მშენებლობასაც იწყებს



ბის წინააღმდეგ განწყობილი არკადი ვოლსკის ,,მეწარმეთა და მრეწველთა საბჭოს“ თავმჯდომარე, რომელიც თავის მხრივ რუსულ გენერალიტეტთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. საერთოდ მის პოლიტიკურ მოღვაწეობას რუსეთში სულ გასდევდა იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომელიც განსაკუთრებული ანტიქართული აგრესიით გამოირჩეოდნენ. ბენდუქიძე ამავდროულად რჩება ომზ-ე მეპატრონედ, რომლის შემადგენლობაში ტანკებისა და სტრატეგიული რაკეტების კომპონენტების მწარმოებელი ქარხნებიც არის. სწორედ ამ პერიოდში გახდა შლიკოვი მისი მრჩეველი. ფაქტია, რომ სამხედრო ტექნიკის დამამზადებელ საწარმოებს ბენდუქიძე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს და სპეცსამსახურების გარეშე ვერ შეიძენდა. შლიკოვის ბიოგრაფიიდან კი ირკვევა, რომ ის თავის დროზე აშშ-ს წინააღმდეგ ეკონომიკური ხასიათის ჯაშუშურ საქმიანობას აწარმოებდა და გრუს მაღალჩინოსანი შლიკოვი უკვე აქ ინიშნება ბენდუქიძის მრჩევლად. რუსული სახლემწიფო ინდუსტრიის საკრალურ სფეროში- ატომური ენერგეტიკაბენდუქიძე იყო ერთადერთი კერძო მსხვილი ბიზნესმენი, რომელსაც ჰქონდა ექსკლუზიური უფლება, ეწარმოებინა ბირთვული რეაქტორები და მოეხდინა მათი ექსპორტი.

მალე საქართველოში ხელისუფლება იცვლება და ბენდუქიძეც ატომსტროიში 2004 წლამდე რჩება. ამის მერე ის საქართველოში ბრუნდება, ხოლო შლიკოვის კვალი 2007 წლამდე იკარგება. ამბობენ რომ შლიკოვი საქართველოში ბენდუქიძის ჩრდილოვანი მრჩევლის სტატუსით სარგებლობდა.

სუკის კიდევ ერთი ყოფილი თანამშრომლის ოთარ არშბას საქართველოში გამოჩენას ასევე უკავშირებენ კახა ბენდუქიძეს. არშბა ამჟამად დუმის დეპუტატია. 70-იან წლებში სუკის მე5 განყოფილების თანამშრომელი იყო.

და მაინც, ვინ არის კახა ბენდუქიძე და რა კავშირშია მასთან მეხუთე კოლონა. ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ ბატონი კახა იმდენად ღია, აშკარა ფიგურაა, რომ როცა საუბარი რუსულ კვალზე მიდის, მაშინვე მისკენ გაიშვერენ თითს, მაშინ როცა, შეიძლება საქმეს მის ზურგს ამოფარებული უფრო ნაკლებად საეჭვო პირები ასრულებენ.

**წერილი მომზადებულია კახა ბენდუქიძის შესახებ ,,მაესტროზე“ გასული გადაცემის მიხედვით.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# qarTveli xalxis zonderebs sxvagan nu eZebT _ isini Cvens cxvirwin, pirdapir saqarTvelos parlamentSi sxedan



ამ წერილში იმ დეპუტატთა სიას წარმოგიდგენთ, რომლებმაც მონური მორჩილებისა თუ თავიანთი დანაშაულებრივი წარსულის გამო, ვერ გაბედეს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობისთვის ხმის მიცემა. ზოგს, სჩანს, წინასწარ შეატყობინეს და სხდომას საერთოდ არ დაესწრო. ზოგმაც ტყავის გადარჩენის გამო მისცა ხმა. ნაციონალებს რომ "წყალი საბოლოოდ შეყენებული აქვთ", ეს ალბათ, ჩვენზე კარგად იციან. თუმცა იმდღევანდელი არდასწრება ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვა დროს არანაკლებ დანაშაულებრივი კანონებისთვის აქვთ მიცემული ხმა. აი, ეს ე.წ. "დეპუტატ-კანონმდებელებიც": **1. ანჯაფარიძე კახაბერი. 2. ასანიძე გიორგი. 3. ალავიძე ანდრო. 4. ბადაგაძე კობა. 5. ბალავძე ვახტანგი. 6. ბობოხიძე აკაკი. 7. ბოლქვაძე ანზორი. 8. ბჟალავა რომანოზი. 9. ბუცხრიკიძე ბეჟანი.10. გაბაშვილი გიორგი 11. გამცემლიძე ზაალი. 12. გეგენავა არჩილი. 13. გელაშვილი ემზარი. 14. გეწაძე კახა. 15. გოგატიშვილი მამუკა. 16. გოდაბრელიძე გიორგი. 17. გულიკაშვილი ზაზა. 18. დამენია ლაშა. 19. დავითაშვილი ვასილი. 20. ენუქიძე გოჩა. 21. თავდგირიძე ასლანი. 22. თაქთაქიშვილი ჩიორა. 23. თოდუა ფრიდონ. 24. თოიძე ოთარი. 25. თორდია ლაშა. 26. იმნაძე გიორგი. 27. კაკალაშვილი გურამ. 28. კანდელაკი გიორგი (ამას რაღა გაუჭირდა?) 29. კენჭოშვილი ირაკლი. 30. კვერნაძე ელდარი. 31. კვიციანი კანდიდი. 32. კუკულავა კორნელი. 33. კურდღელაშვილი კობა. 34. კიკალეიშვილი ზურაბი. 35. კუკავა ზვიადი. 36. ლონდარიძე გელა. 37. მალაშხია შოთა. 38. მარტოლეკი ვახტანგი. 39. მაღლაკელიძე ჯაბა. 40. მაჭავარიანი მიხეილი. 41. მახნიაშვილი დავითი. 42. მელაძე გიორგი. 43. მელიქიშვილი ზურაბი. 44. მინაშვილი აკაკი. 45. მკოიანი ენზელი. 46. ნადაშვილი დავითი. 47. ოჩიაური ხათუნა. 48. სამყურაშვილი რატი. 49. სანებლიძე მამუკა. 50. სტურუა ავთანდილი. 51. სულეიმანოვი აზერი. 52. სუხიშვილი კახაბერი. 53. სხირტლაძე თენგიზი. 54. ტალახაძე გიორგი. 55. ქავთარაძე ირაკლი.56. ქუთათელაძე სამსონი. 57. შერვაშიძე იაშა. 58. ჩარკვიანი თეიმურაზი. 59. ცისკარიშვილი პეტრე. (წინა პარლამენტში "საფერფლეების ტყორცნის ჩემპიონი", თუმცა საფერფლე მოხვედრილის-"რჩეულიშვილების კლანის" ოჯახის წევრის სპიკერობის ქვეშ მუშაობისთვის ამას ხელი არ შეუშლია. არც ამერიკაში, მინეაპოლისში სწავლისას, ცისკარიშვილის კოკაინის რეალიზაციაზე დაკავებას შეუშლია ხელი პეტრე ცისკარიშვილის გუბერნატორობისა და ბადაგონის ღვინის საქვეყნოდ გადაღვრისთვის. „ნაციონალური მონაა" და იმიტომ.) 60. წერეთელი გიორგი. (ჯერ მისცა ხმა, მერე ეტყობა, "დაფიქრდა" და ხელითაა ჩასწორებული "წინააღმდეგი") 61. წიკლაური ნუგზარი. (პარლამენტარიზმისა და ფილოსოფიური აზრების ფრქვევის მეტრი) 62. წურწუმია თეიმურაზი. 63. ჭავჭანიძე დავითი. 64. ჭელიძე გიორგი. 65. ხინიკაძე ოთარი. 66. ხურციძე ბეჟანი. 67. ხახნელიძე გიორგი. 68. ჯაბუა გურანდა. 69. ჯავახაძე ელენე. 70. ჯალაღონია ედიშერი. 71. ჯანაშია ნაული. 72. ჰოვჰანესიანი ჰარუთიუნი.**

ძვირფასო თანამემამულენო, ამ სიაში, ზოგმა, შესაძლოა, კარის მეზობელი, ზოგმაც ოჯახის წევრიც ამოიცნოს. იცოდეთ, რომ ეს 72 ადამიანი ქართველი ხალხის „საპარლამენტო ზონდერები" არიან და ხალხის დახოცვასა და არაადამიანური დარბევების დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილებას ხმა არ მისცეს. ნუ ეძებთ მიშას ზონდერებს სხვაგან. ახალაიების, ბასიშვილისა და მერაბიშვილის ზონდერებთან ერთად, ქართველი ხალხის სისხლში ამ ე.წ "დეპუტატებსაც" გასვრილი აქვთ ხელები. ამ სისხლიანი ფულით ყიდულობენ ისინი თავიანთი შვილებისთვის კანფეტებს, მეუღლეებისთვის ფრანგულ სუნამოებს და ამ სისხლიანი თითებით აჭერენ ყოველ ჯერზე პულტებს ხელს საქართველოს დასაქცევი კანონების მისაღებად.

**„ესენი" არიან ის ადამიანები, რომლებიც, გნებავთ, სამარცხვინო დაფაზე, გნებავთ, "წითელ წიგნში" არიან შესაყვანი, რადგან ასეთ ურცხვ, გაქსუებულ და მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე მზრუნველ ადამიანებს ვერც ერთი ქვეყნის პარლამენტში ვერ იხილავთ. მით უფრო იმ "ევროპული და დემოკრატიული" ქვეყნებისაში, "რომელთა ფასეულობითაც" დღედაღამ გვიჭედავენ ყურებს. მათი სურათები ქუჩის ყველა ბოძზე უნდა გაიკრას.**

საქართველოს ყველა მოქალაქემ სახეზე უნდა გაიცნოს ის ჯალათები, რომლებიც სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ზონდერებთან ერთად ქართველ ხალხის სულიერი და ფიზიკური განადგურების კანონებს აწერენ ხელს.

**საქმე ეხება „2011 წლის მაისის, 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციებისა და "იმედთან" დაკავშირებულ ფაქტებზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილებაზე" პარლამენტში გამართულ კენჭისყრას.**

კვორუმი არ შედგა, რადგან ამ 72 ე.წ. "მუქთამჭამელმა დეპუტატებმა" ასეთი კომისიის შექმნას არ მისცეს ხმა. გაიხსენეთ, რამდენი ადამიანი დაიწამლა, რამდენი დაშავდა თუნდაც შვიდ ნოემბერს. ეს "ვითომ დეპუტატები" ამ სამარცხვინო დარბევის გამოძიებაზე ამბობენ უარს. სამაგიეროდ, იგივე დეპუტატები სასწრაფო წესით აძლევენ ხმასა და თანხმობას ქვეყნის ისტორიული რელიგიის დაკნინებისა და სხვა კონფესიების მხარდამჭერ კანონს. თუ მეუფეებისა და სასულიერო პირების ფოტოების დაბეჭდვა და მათი ლანძღვა-გინებაა "დემოკრატიულად ღირებული", ამ ე.წ დეპუტატების ფოტოების დაბეჭდვა და გავრცელება საზოგადოებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ქვემძრომთა ეს კატეგორია ისეთივე წარმატებით გადაბარგდება ახალი ხელისუფლების მეხოტბეთა რიგებში, როგორც "მოქკავშირიდან" და "ზვიადისტური ფრთიდან" "ნაციონალურში" გადაბარგდნენ. ასეთია მათი ზნე და იმიტომ. ამ ე.წ. დეპუტატებმა ხმა არ მისცეს იმ შვიდი ნოემბრის, "იმედისა" და 26 მაისის დარბევის საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელმაც შვიდი ნოემბრის შემდეგ სააკაშვილი ისევ ხელისუფლებაში დატოვა. მაშინ ობიექტური და მართლაც ყველაზე სამართლიანი "იმედის" ტელევიზია სამი თვის განმავლობაში იავარქმნეს და ის შემოქმედებითი ჯგუფი მოიყვანეს, რომელიც დილიდან საღამომდე ან "მოდელირებულ ტყუილებს" გადასცემს, ან არველაძის დირექტივებით გარყვნილების პროპაგანდას ეწევა.

**ამ ე.წ. დეპუტატებმა ხმა არ მისცეს 26 მაისის უბრალო ქართველი ხალხის სამაგალითო სადამსჯელო ოპერაციის საგამოძიებო კომისიის შექმნას. ბურჯანაძის ფაქტორსაც ტყუილად ნუ გამოიყენებენ სალაპარაკოდ. მისი მომხრე ბევრი არ ყოფილა, მაგრამ ამ მართლა ნამუსგარეცხილებმა ის არ იციან, რომ იქ სრულიად უდანაშაულო ხალხი დაშავდა და დაიხოცა?!**

ბურჯანაძის საკითხი ცალკე თემაა და კომისიის შექმნასთან კავშირი არა აქვს. სააკაშვილის ზონდერებმა სისხლის გუბეები რომ დააყენეს რუსთაველზე, ამ დეპუტატებს ნამუსის ძარღვი მაინც რომ გააჩნდეთ, სააკაშვილის უმრავლესობაში კი არა, რუსთაველის გამზირზე შერცხვებოდათ გავლა?!

იმ ბურჯანაძესთან ერთად არ იყო, ბევრმა მათგანამა საკანონმდებლო ორგანოში ამაყად რომ შეაბოტა რევოლუციის დროს და მაგიდებზე "ჭენაობა" რომ გამართა? თუ იმ ბურჯანაძის დროს არ იყო, მიწის რეფორმის ქვეყნისთვის დამანგრეველ და განათლების სისტემის გამანადგურებელ კანონს რომ მისცეს ხმა? რომელი და რითი სჯობია ნინო ბურჯანაძეს, ან ნებისმიერ მოქალაქეს? არა თავიანთი ოჯახებისთვის და ახლობლებისთვის, ქვეყნისთვის რომელს რა გაუკეთებია ღირებული? წლების განმავლობაში რატომ უნდა აიტანოს და არჩინოს ისინი ქართველმა ხალხმა? ბევრნი ხართ „ნაციონალებო" და გგონიათ, თქვენი მომრევი არავინაა? "ბოლშევიკებსაც" ასე ეგონათ და სწორედ მათი ღირსეული მემკვიდრეები ხართ.

**რისი დათმობა არ გემეტებათ ასე, რა „ცოდვების ჯაჭვითა" ხართ დამძიმებლნი და გადაბმულნი ნაციონალებთან ასე, რომ ადამიანთა სიკვდილის დასჯის, დასახიჩრებისა და გაუბედურების მიზეზების საგამოძიებო კომისიის შექმნის გეშინიათ?! დღეს ასე რომ გეშინიათ, „ხვალ" რას აპირებთ? მიშა თავის 200 მილიონიან ბოინგში ყველას არ ჩაგსვამთ. ჯერ თვითონ უნდა გაასწროს. ჯერ თავი აქვს გადასარჩენი და თქვენთვის მითუმეტეს აღარ ეცლება. რომელიმეს ის ძველი დრო ხომ არ გგონიათ, კაცობა და ღირსება რომ ფასობდა? თავად, თქვენს ბელადთან ერთად დაანგრიეთ, ხელი შეუწყვეთ ჩაშვებებსა და დაბეზღებებს. ჰოდა, თქვენზე დაბეზღებები და ენების მიტანები მერე ნახეთ. მე თქვენ გეტყვით და ცოტა გაქვთ გაკეთებული დასაბეზღებელი და ჩასაშვები? ვისი, ან რისი იმედი გაქვთ?**

თბილისელობა და უბნელობაც, თქვენი დიდი დამსახურებით რომ აღარ გაჭრის, ესეც ხომ იცით. ყველა გზა და ხიდი თავად მოიჭერით და დაანგრიეთ. მოსწავლეთა სასახლისთვის, მისი გაყიდვის მიზნით, სტატუსის შეცვლაც "თქვენს კისერზე" იქნება. ყველაფერი რომ გაყიდა და გააჟერანა ამ თქვენმა ბუშტებით მორბენალმა "ლენინმა", თქვენ კი, სკამების შესანარჩუნებლად, შვიდი წელია "პირში წყალს რომ იგუბებდით", ზუსტად ისეთივე თანამონაწილენი გამოდიხართ ყველაფრის, როგორც თქვენი „ლენინია" – სახელად მიშა. რამდენი ზონდერიც არ უნდა ჩაიყენოთ სამსახურში და რა რაოდენობის დაქირავებული სპეცრაზმებიც არ უნდა ჩამოიყვანოთ, უკვე აღარაფერი გიშველით, ხალხი ისეა გამწარებული. ჯერ კიდევ გაქვთ დრო დაყაროთ ქართველი ხალხის სისხლში გასვრილი ეგ თქვენი სადეპუტატო მანდატები, თორემ როგორც 26 მაისის სასაკლაოს მეორე დღეს "კისერწაგრძელებულ ვითომ ინტელიგენციას" არ დაუვიწყებს ხალხი ამ საქციელს, ისე ყოველ თქვენგანს, მართლა დემოკრატიული სასამართლო პროცესებით მოგიწევთ საბრალდებო სკამებზე დაჯდომა.

წილი ნაყარია და თქვენც, რომაელ ჯარისკაცთა მსაგავსად, რომელთაც ქრისტეს კვართზე ყარეს წილი, სააკაშვილთან ერთად, საქართველოს დაქცევაში გაქვთ წილი ნაყარი. ახლა გინდა ოლიმპიელი ჩემპიონობა მოიშველიეთ, გინდ მსახიობობა, გინდათ მწერლობა და საზოგადო მოღვაწეობა. "ხალხის სისხლში თანამონაწილეს შთამომავლის" დამღის ტარება, სააკაშვილის მოდგმასთან ერთად, თქვენს საგვარეულოსა და შვილებსაც მოუწევთ.

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# nacionalebi ivaniSvilTan gadasabargeblad emzadebian?

***პარტია „კანონი და სამართლიანობის“ თავმჯდომარე შალვა ხაჭაპურიძე ქვეყანაში შექმნილ ახალ პოლიტიკურ ვითარებაზე საუბრობს და წინასაარჩევნოდ ნაციონალების სახეცვლილებებზე ამახვილებს ყურადღებას:***

— ახლა ბევრს საუბრობენ, განსაკუთრებით კი, სახელისუფლებო წრეებში, რომ ივანიშვილმა პოლიტიკაში გამოჩენისთანავე წყალგამყოფი გაავლოო. კრიტიკა იოლია, საკუთარ შეცდომებზე ხომ არაფერს ამბობენ? არადა, სწორედ ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლით გაღატაკდა საზოგადოება. მათ პირობებში მხოლოდ 3% იქცა მილიონერად, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა გაღატაკებული,



გამათხოვრებული, ქუჩაში უმოწყალოდ დაყრილი, ან კიდევ უცხოეთში ლუკმა-პურის საშოვარზეა გადახვეწილი.

მოვიდნენ ხელისუფლებაში და მილიონები აღარ ჰყოფნით. რამდენიმე პარტიას დაარქვეს ოპოზიციური, მოისვეს გვერდში, კარგად ასმევენ-აჭმევენ და არიან განცხრომაში.

წყალგამყოფი არ იყო, როცა ჰააგაში სარჩელი შემქონდა და ოპოზიციაში მხარდამჭერი ვერ ვნახე? მხოლოდ მამუკა გიორგაძის პარტიამ მომიწერა ხელი სარჩივარზე. წარმოიდგინეთ, ე.წ. ოპოზიციური ტელევიზიებშიც არ მითმობენ ეთერს. „კავკასიაში“ მხოლოდ ერთხელ მიმიწვიეს, ხოლო „მაესტროზე“ არასოდეს. 80 ათასამდე ხელმოწერა შევაგროვე ჰააგის სარჩელისთვის და ეს ფაქტი, „ოპოზიციურ“ ტელევიზიებს არც კი გაუშუქებიათ.

**— ბატონო შალვა, ახლა სხვა განწყობებია, ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით მნიშვნელოვანი ძვრები და ცვლილებებია მოსალოდნელი, პირადად როგორ შეაფასებთ ახალ რეალობას?-**

— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სპექტრში გამოჩენამ ოპოზიცია გამოაცოცხლა. ამ ტირანიის პირობებში ფაქტობრივად, აღარ არსებობდა განსხვავებული აზრი და ნაციონალები, როგორც თევზები წყალში, ისე გრძნობდნენ თავს.

ქველმოქმედი ბიზნესმენი პოლიტიკაში შემოსვლისთანავე კატეგორიული გახდა და პირდაპირ მოსთხოვა ოპოზიციას გამიჯვნა-

დროა წყალგამყოფი გაივლოს, ვინ არის რეჟიმისკენ და ვინ არაო.

საქართველოში 200-დე პარტიაა, აქედან მხოლოდ 20-ია აქტიური. მათ მიუწვდებათ ხელი პრესასთან ურთიერთობაზე, თორემ სააკაშვილის პირობებში ფინანსების დეფიციტი მაინც აქვთ. ჩვენგან განსხვავებით ევროპაში 4-5 მიმართულების პარტიებია: სოციალურ-დემოკრატიული, ლიბერალურ-დემოკრატიული, კონსერვატიული და ლეიბორისტული, ანუ მუშათა პარტია. აი, საქართველოში კი 20-ვე აქტიურ პარტიას პრეტენზია აქვს ლიბერალ-დემოკრატობაზე. ერთი მიმართულების ამდენი პარტია სრულიად ზედმეტია, სჯობს ოპოზიციურ სპექტრში ერთკაციან და ორკაციან პარტიების გადაჯგუფებები დაიწყოს. რასაკვირველია, პარტიების გამსხვილება დადებითად იმოქმედებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ასე რომ, ივანიშვილის გამოჩენით პოლიტიკურ ცხოვრებაში წესრიგი და კონსტიტუციური აზროვნება დამკვიდრდება.

**— თუმცა ივანიშვილს ხომ პოლიტიკოსობას უწუნებენ და დილეტანტობას საყვედურობენ...—**

— მაპატიოს ბევრმა პოლიტიკოსმა, მაგრამ

**20 წელი პოლიტიკაში რომ იქნები და 3%ბარიერსაც ვერ გადალახავ, დაანებე იმ პოლიტიკას თავი. კრივი ხომ არ არის, რომ ცხვირიდან სისხლი წამოგივიდეს? დიახ, რესპუბლიკელებზე ვამბობ. სასაცილოა, როცა ამ პარტიის წევრებისგან ვისმენთ: ჩვენ და ივანიშვილი ერთად გადავწყვეტთ...ჩვენ კოორდინაციაში დავრჩებით. როგორც ჩანს, ვერ შეუსწავლიათ ახალი „პარტნიორის“ ფსიქო-პათი და თავი ქუდში ჰგონიათ, არიქა, გვეშველა და დამფინანსებელი მოგვევლინაო. ჩემი აზრით, ბატონი ბიძინა ჯერჯერობით აკვირდება ოპოზიციურ სპექტრს და ამის შემდეგ გადაწყვეტს ვისთან იქონიოს ურთიერთობები და ვისთან არა.**

„რესპუბლიკელებს“ დაავიწყდათ რამდენიმე თვის წინ როგორ შეიტანეს ეჭვი ივანიშვილის ფინანსებში, სწორედ ამ პარტიის ერთ-ერთმა წევრმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, უნდა გაირკვეს საიდან აქვს ფინანსები ივანიშვილსო. ახლახან სხვაგვარად ალაპარაკდა: არა, ბატონო, არ მითქვამს, პრესამ მოიგონაო. რა ვიცი, რასაც ვამბობ, სიტყვასიტყვით ბეჭდავენ პრესაში, და მაინც და მაინც ბერძენიშვილის ჯავრი ჰქონდათ? როგორც დასჭირდება, ისე იტყვის ეს ბერძენიშვილი, რა ენაღვლება? ესენი უკვე ღიად აღარც იმას იმეორებენ, ქვეყნის კონფედერაციის მომხრე ვართო, არადა, ბევრი „რესპუბლიკელისგან“ მომისმენია ეს ე.წ. იდეა. ეს კონფედერაცია კი, მოგეხსენებათ, აფხაზეთის და



ცხინვალის დამოუკიდებლობის საფუძველზე გამოცხადდება მხოლოდ. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილი თავისი განაცხადით ეროვნულ ძალად მიმაჩნია. „რესპუბლიკელებს“ არც აქვთ პრეტენზია ეროვნულ მიმართულებაზე. ახლა ბევრს უკვირს, სად „ქართული ოცნება“ და სად „რესპუბლიკელებიო“... ცხადია, ბატონი ბიძინას არჩევანს პატივი უნდა ვცეთ, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არავის ეგონოს, მასთან პარტნიორობა უკვე ოფიციალურად აქვთ გაფორმებული. წლების განმავლობაში ვუყურებთ, როგორ იქცნენ პოლიტიკოსები აგიტატორებად, ტელევიზიებში პოზირებისა და უსაგნო ლაქლაქის მეტს არაფერს აკეთებენ, ახლა, იმედი ნულარ ექნებათ, უძვლო ენისათვის ბიძინა ივანიშვილი არავის დააფინანსებს.

**— ივანიშვილის კაპიტალზე ლაპარაკობენ და თვითონ ამ ხელისუფლების დაგროვილ მილონებზე რას იტყვით?**

— დიახ და ვინც ამ თემას არ ეშვება, მოდი, თავის თავს მიხედოს. ჩვენს კისრებზე, ჩვენს სისხლზე და უბედურებაზე რომ გამდიდრდნენ.

ჟანგიანი ტყვიები რომ იყიდეს, და ეს ტყვიები რომ არ ისროდა და მერე, ამ გაუსროლელი ტყვიების გამო ქართველი ბიჭების სისხლი რომ დაიღვარა, ვინმეს დაავიწყდა? ახალი მოსულები იყვნენ ეს ნაციონალები სათავეში და კიდევ ერთი უბედურება, მოკლე გზით ცხინვალთან ომი რომ გადაგვიწყვიტეს, აი, ამ ამბებს შევახსენებ. პრივატიზაციის ნაცვლად „პრიხვატიზაციას“ რომ მიჰყვეს ხელი. ნარკო-ბიზნესში ჩაერვთნენ, წარმოიდგინეთ, უაქციზო სიგარეტი ხომ არაფერია, თითქოსდა, ამითაც მილიონები იშოვეს. ახლა სხვებს აკრიტიკებენ და პატრიოტობაზე დებენ თავს.

**ახლა, რომ უხარიათ პენსიები 125 ლარამდე გავზარდეთო და ეს მაშინ, როცა კონკრეტულ მაგალითზე გეტყვით, იმერეთის გამგებელის ხელფასი 20 ათასი დოლარია. ასეთი შეუსაბამობა მიუღებელია გაეროს 101-ე კონვენციის თანახმად. გაეროს პრინციპით, საქართველოს პირობებში, ჩინოვნიკის და მით უფრო, ჩინოვნიკის ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს 700-800 ლარს.**

ძალიან იოლია დაიჭირო ხალხი, ზოგი თანხის გადახდის სანაცვლოდ გამოუშვა, ნაწილი კი ციხეებში ჩაყარო. გაეროს კონვენციით დადგენილია, 5 მლნ-იან ქვეყანაში პატიმარი 5-7 ათასზე მეტი არ უნდა იყოს. ჩვენ 45 ათასი პატიმარი გვყავს. პოლიცია პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა. ის კი არ არის ნიჭიერება, ხალხი დააშინო და ციხეში გამოამწყდიო, არამედ დემოკრატიულ ქვეყანაში სამართლებრივ პრინციპებზე მართვაა ნიჭიერება. ახლა იმდენი პოლიტპატიმარი გვყავს, რომ ეროვნულ ყრილობას თავისუფლად ჩაატარებენ ციხეებში.

თანაც კანონში ცვლილებებიც შედის: პატიმრები არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას და სულ მალე 45 ათასიდან 80 ათას პატიმარს მივიღებთ, ამას დავუმატოთ მათი ოჯახის წევრები. ასე რომ, ხელისუფლება წინასაარჩევნო ბერკეტებთან ერთად, ანუ იმ 40%-თან ერთად, რაც ხატოვნად რომ ვთქვათ, ჯიბეში უდევს, დამატებით ამ კანონითაც იხეირებს. ამათ ხარჯზეც მიიღებს ხმებს.

**— ბატონო შალვა, წინასაარჩევნოდ მაინც რა გადაჯგუფებებია მოსალოდნელი და რა ცვლილების მომსწრე გავხდებით?**

— ვინმეს ხომ არ ჰგონია ის ე.წ. რეპრესიული ღონისძიებები, რაც ხელისუფლებამ ივანიშვილის წინააღმდეგ გაატარა, ბიზნესმენის დასაშინებლად გაკეთდა? ეს უბრალოდ, სასაცილოა, არც ისეთი დებილები არიან და თავადაც იციან, ბიძინა ივანიშვილს ვერაფერს დააკლებენ. ამით ხელისუფლებამ საკუთარი გუნდის წევრები „მოსვა“ პრინციპით—ამ სახლში ჯერჯერობით მე ვარ უფროსიო. როგორც ლაუაზიე შენიშნავდა, არასოდეს არაფერი იშლება, არამედ გარდაიქმნება. ამ პრინციპით, სააკაშვილის გუნდი შეეცდება გარდასახვას. დავიშალოთ იმისათვის, რომ თავიდან შევიკრიბოთო, ასე რომ, შეეცდებიან ე.წ. ტრანსფორმაცია მოახდინონ და ისევ ხელისუფლებაში მოგვევლინონ, ძალიან კი გაუჭირდებათ. თუმცა არ გამოვრიცხავ, წინასაარჩევნოდ საინტერესო სანახაობის მომსწრე გავხდეთ და ნაციონალთა რიგებიდან ვიღაცები ივანიშვილის გუნდში ვიხილოთ.

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# demien makginesi:

# miliarderma magnatma qarTuli politika SeZra

მას ხან დრაკულას, ხან კეთილ ჯადოქარს და ხანაც ბეტმენის მდიდარ, ფილანტროპ ალტერ-ეგო ბრიუს ვეინსაც კი ადარებენ.

მილიარდერი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი ახლა უკვე ერთ წელიწადში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაზე და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის ხელისუფლებიდან მოშორებაზე ფიქრობს.

მაგრამ ხომ არ ცდილობს მთავრობა მარათონიდან მის ჩამოშორებას?

გასულ თვემდე ის გასაიდუმლოებული ფიგურა იყო, გადამალული თავის ჯეიმს ბონდის სტილის მოდერნისტულ მინისა და ლითონის სასახლეში, რომელიც ვერტმფრენის მოედნით სრულდება და ფერდობიდან საქართველოს დედაქალაქს გადაჰყურებს.

არასდროს იძლეოდა ინტერვიუებს, ძალიან იშვიათად ჩანდა საზოგადოებაში და დიდწილად ცნობილი იყო იმით, რომ ხელოვნების დარგს და ისეთ საჯარო



შენობებს აფინანსებდა, როგორიცაა თბილისის უზარმაზარი მართლმადიდებლური კათედრალი.

მის შესახებ ცნობილი ბევრი არაფერი იყო. გარდა იმისა, რომ ხელოვნების ნიმუშთა გრანდიოზული კოლექცია აქვს, მათ შორის პიკასოს, ლიჰტენშტეინისა და ჰენრი მურის ნამუშევრები; რომ ფული რუსეთის რკინის საბადოების წარმოებაში 1990-იან წლებში იშოვა; და მისი ქონება 5,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული (3.46 მილიარდი ევრო) , რაც ქართული ეკონომიკის მთლიანი ღირებულების დაახლოებით ნახევარია.

თუმცა საიდუმლოების ნისლი ნელ-ნელა იფანტება. ოქტომბერში ივანიშვილი მოულოდნელად ყურადღების ცენტრში მოექცა, განაცხადა რა, რომ მომავალი წლის არჩევნებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიას დაამარცხებს.

**„მე პოლიტიკაში ჩემი ქვეყნის გადასარჩენად მოვედი და არა სააკაშვილის გამოწვევისთვის“,**

– უთხრა მან **BBC**-ს ინტერვიუს დროს თავის მდიდრულ შტაბ-ბინაში თბილისში, როდესაც თავის მრავალმილიონიან კოლექციას გვათვალიერებინებდა.

## „დიქტატორული მეთოდები“

ხელისუფლებამ ივანიშვილის განცხადებას საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევით უპასუხა, რითაც მას პოლიტიკური თანამდებობისთვის ბრძოლა კანონით აეკრძალა.

ბ-ნ ივანიშვილს რუსული და ფრანგული პასპორტებიც აქვს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პრეზიდენტის თანხმობის გარეშე ორმაგი მოქალაქეობა აკრძალულია. დღემდე ბ-ნ სააკაშვილს ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

პოლიციამ ივანიშვილის ბანკის თანამშრომლები დააკავა და ფულის გათეთრების ბრალდებით ბანკის კუთვნილი ავტომანქანიდან 2 მილიონი დოლარისა და ერთი მილიონი ევროს კონფისკაცია მოახდინა.

ბ-ნი ივანიშვილი აცხადებს, რომ მთავრობა ცდილობს აღკვეთოს მისი ჩართვა პოლიტიკურ პროცესში.

**„ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სულ უფრო და უფრო ავტორიტარული მთავრობის პირობებში, სადაც სააკაშვილს შეუძლია კანონზე მაღლა იდგეს. სინამდვილეში, კანონი ის არის. ჩვენ უკვე ვგრძნობთ მზარდი დიქტატორული რეჟიმის სურნელს“.**

მმართველი პარტია უარყოფს ბრალდებას, თითქოს ივანიშვილს დევნიან. მმართველი პარტიის დეპუტატის და პარლამენტის ვიცე-სპიკერის გიგი წერეთლის თქმით, ხელისუფლება უბრალოდ, ქართული კანონმდებლობის თანახმად მოქმედებს.

„მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ მან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად გაუუქმდა“, – განმარტავს ბ-ნი წერეთელი და დასძენს, რომ ბ-ნი ივანიშვილის ბანკის ფულის კონფისკაცია გამოძიების შედეგი იყო.

„ბანკის განმარტებით, ეს ფული ხელფასებისთვის იყო განკუთვნილი, რაც ძალიან საეჭვოა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხელფასები მხოლოდ ქართულ ვალუტაში უნდა გაიცეს“.

## „კრემლის პაიკი“

მმართველი პარტია ასევე დარწმუნებულია, რომ ბ-ნი ივანიშვილი, რომლის ბიზნესიც დიდწილად რუსეთშია, კრემლის გავლენის ქვეშ უნდა იყოს. არგუმენტი ის არის, რომ ნებისმიერს, ვინც რუსეთში პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის პირობებში ქონებას ინარჩუნებს, მოსკოვის მხარდაჭერა აქვს.

„მისი ქონება რუსეთშია, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთს მასზე ზემოქმედების ძლიერი ბერკეტები აქვს. მას ძალიან ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს პუტინთან და ეს შეიძლება გამოყენებული იქნას ზემოქმედების ბერკეტად“, – ამბობს ბ-ნი წერეთელი.

ზოგიერთი ნაციონალი დეპუტატი მმართველი პარტიიდან კიდევ უფრო შორს მიდის. ისინი ივანიშვილს ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი პაიკია კრემლის მიერ მხარდაჭერილ შეთქმულებაში, რომლის მიზანიც საქართველოს მთავრობის შერყევა და პუტინის მტრის, სააკაშვილის დამხობაა.

ისინი ივანიშვილს იმაში ადანაშაულებენ, რომ მას „რუსული ფულით საქართველოს მომავლის ყიდვა“ უნდა.

მაგრამ მთავრობის კრიტიკოსები ამბობენ, რომ ივანიშვილის პრორუსად წარმოჩენა ხელისუფლების მხრიდან ამომრჩევლების თვალში მისი დისკრედიტაციის მარტივი ტაქტიკაა.

ზოგიერთ უფლებადამცველს მიაჩნია, რომ ეს სააკაშვილის ადმინისტრაციის მხრიდან ძალაუფლების მონოპოლიზების უახლესი მაგალითია. საქართველოს მთავარი ნაციონალური ტელეარხები ცალსახად პროსამთავრობოა. სასამართლოც მთავრობის კონტროლისგან საკმარისად თავისუფალს არ გავს.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის გიორგი ხუციშვილის თქმით, ივანიშვილის საქმე ცხადყოფს, რომ მთავრობა ყველა შესაძლო მეთოდს გამოიყენებს პოლიტიკური ოპოზიციის გასანადგურებლად:

„მათი გზავნილის თანახმად, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მთავრობის გუნდს არ განეკუთვნება, განადგურდება, და ეს გაკეთდება ისეთი მეთოდებით, რომლებსაც კანონთან კავშირი არა აქვს. ხელისუფლებაში მოსვლის ნებისმიერ მცდელობას მოჰყვება სასტიკი საპასუხო დარტყმა – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანი, რომელსაც უამრავი ფული აქვს ამ ფულის გამოყენებას მთავრობის წინააღმდეგ შეეცდება“.

## ცვალებადი პოლიტიკა

ივანიშვილმა, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთიან სოფელში ცხოვრობდა, სიღარიბეს თავი დააღწია, რეგიონის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად იქცა და დღეს საკმარისი ფული



აქვს იმისთვის, რომ გავლენა ჰქონდეს. მაგრამ ქართული პოლიტიკა არაპროგნოზირებადია.

ბ-ნი ივანიშვილის პირველი პრესკონფერენცია ქაოსში გადაიზარდა, რადგან ჟურნალისტები გაჰყვიროდნენ და მიკროფონს ერთმანეთს ხელიდან აცლიდნენ.

მაშ ასე, ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო, და სხვა საკითხია, რამდენად შეძლებს ეს მშვიდად მოსაუბრე, ხელოვნებაზე შეყვარებული ადამიანი იმ ბრძოლასთან გამკლავებას, რომელიც უდაოდ უფრო ხმაურიანი გახდება.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## biZina ivaniSvili:

# `arasodes damikargavs pativi da Rirseba, yovelTvis sindisis karnaxiT vcxovrobdi~



## gazeT `vedomostSi~ gamoqveynebuli intervius kvaldakval

*ადამიანს ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ მას არ შეუძლია ერთი რამ — მოიტყუოს უკანა რიცხვით.*

*2005 წელს გაზეთ „ვედომოსტისთვის“ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ მიცემული ინტერვიუ, რომლის სრული ტექსტი „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა, მრავალმხრივ არის საინტერესო, პირველ ყოვლისა კი იმით, რომ ეს ინტერვიუ დოკუმენტურად ადასტურებს პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილის სიმართლეს, ანუ რასაც პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი დღეს, 2011 წელს, ამბობს, იგივეს ამბობდა ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი 6 წლის წინათ, 2005 წელს ანუ მაშინ, როცა იგი პოლიტიკაში მოსვლაზე საერთოდ არ ფიქრობდა.*

*ეს ინტერვიუ კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ტყუოდა, როცა ამბობდა, რომ მან რუსეთი დიდი ხანია დატოვა და წლებია იქ არ ჩასულა:*

„— რომელი ქვეყნის მოქალაქე ხართ?

— რუსეთისა და საქართველოსი.

— ახლა სად ცხოვრობთ?

— მომენატრა საქართველო და ერთი წლის წინ ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავედი იმ სოფელში, სადაც ბავშვობა გავატარე, ოჯახი ჩემთვის უპირველესია. მამაჩემი ახლახან გარდაიცვალა, დედა ხანშიშესულია, მომინდა, მის გვერდით ყოფნა. ახალი საცხოვრებელი იმ სახლის გვერდით ავაშენე, სადაც მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი. ვფიქრობ, იქ კარგა ხნით დავსახლდები.“

*როცა ჟურნალისტი როჟკოვა ამ ინტერვიუს იწერს, 2005 წლის 7 აპრილია, ივანიშვილი კი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ სად ცხოვრობს ამჟამად, პასუხობს, რომ უკვე ერთი წელია ჭორვილაშია, ანუ ბიძინა ივანიშვილი 2004 წლიდან მამისეული სახლის გვერდით აშენებულ ახალ სახლში ცხოვრობს ჭორვილაში, ჭორვილა კი, მოგეხსენებათ, არც საფრანგეთშია, არც რუსეთშია — საქართველოშია, იმ საქართველოში, რომლის მოქალაქეობასაც საქართველოს ხელისუფლება ასე თვითნებურად ართმევს ივანიშვილს.*

*როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, შეუძლებელია ადამიანმა უკანა რიცხვით, ამ შემთხვევაში ექვსი წლით ადრე მოიტყუოს იმის შიშით, რომ, არიქა, სააკაშვილს ექვსი წლის შემდეგ რაიმე არ წამოეფეთოს და მოქალაქეობა არ წამართვასო.*

*მის მიმართ დღეს წაყენებულ „ბრალდებებს“, თითქოს ივანიშვილს რაღაც ურთიერთობები ჰქონდა კვანტრიშვილთან და კრიმინალურ სამყაროსთან დაკავშირებულ სხვა პირებთან, ივანიშვილი ექვსი წლის წინათ პასუხობს:*

**— არ ნანობთ, რომ ადრე ინტერვიუს არ იძლეოდით? ნუთუ გულგრილად უყურებდით იმას, რასაც თქვენზე წერდნენ?**

— რასაკვირველია, არა. რუსეთის მასმედიისგან განსხვავებით, ქართველ ჟურნალისტთა მუდმივი ყურადღების ცენტრში ვიყავი. ზოგიერთი მათგანი დასაბეჭდად იყენებდა მასალას ინტერნეტიდან, სადაც კარგა ხნის განმავლობაში განთავსებული იყო თითქოსდა ჯგუფ „მოსტის“ უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი ჩემი დოსიე, ოდესღაც სერიოზულ კონკურენციას ვუწევდით „მოსტ-ბანკს“, ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ ეს დოსიე „როსიისკი კრედიტსა“ და პირადად ჩემზე ათასგვარ სისულელეს შეიცავდა, თანაც ეს ყველაფერი კრიმინალური ჟარგონის გამოყენებით იწერებოდა. დოსიე იმდენად არასერიოზული იყო, რომ იგი რუსეთის არც ერთ გაზეთს არ გამოუყენებია. შევარდნაძის დროს ქართველი ჟურნალისტები განურჩევლად ლანძღავდნენ ყველას და მათ შორის მეც. ამიტომაც მათ სტატიებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ერთ წელიწადში ჩემს შესახებ წერილების გამოქვეყნება განახლდა და სწორედ მაშინ პირველად მოვახდინე მათზე რეაგირება: შარშან, ნოემბერში, ჩემს სამსახურებს დავავალე გაეგოთ, რას წარმოადგენდნენ იმ ინტერნეტ-საიტის მფლობელები, სადაც ეს დოსიე იყო განთავსებული. პირველწყაროს მფლობელებმა — გამოძიების ფედერალურმა სააგენტომ — ამოიღო დოსიე და ბოდიშიც მოიხადა.

— ანუ, რაც იქ წერია, სიმართლე არ არის?

— იმ დოსიეს მთავარი „სენსაცია“ ის არის, თითქოს მე ოთარ კვანტრიშვილთან ვიყავი დაკავშირებული, ყალბი ავიზოებით და მსგავსი ერთობლივი საქმიანობით ვიყავით დაკავებული. ეს სრული ბოდვაა. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ბანკების უმრავლესობა, მათ შორის სახელმწიფო ბანკებიც, წალეკა ყალბმა ავიზოებმა (რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათობით მილიარდი დოლარი მოიპარეს), დიდი ძალისხმევის ფასად მოვახერხე, რომ „როსიისკი კრედიტი“ გამყალბებელთა საქმიანობას წინ აღდგომოდა. ჩემი ბანკი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელსაც არც ერთი ავიზო არ გაუტარებია.

კვანტრიშვილის, ბენდუქიძის, მაღრაძის, სელიაშვილის გუნდთან ჩემი დაკავშირება ასეთივე ბოდვაა. არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი. ქართველ ჟურნალისტებს, რომლებსაც დღემდე მოსვენებას არ აძლევთ კვანტრიშვილთან ჩემი ურთიერთობის ეჭვი, შეეძლოთ ჩაეტარებინათ არც ისე რთული ჟურნალისტური გამოძიება, დაეწყოთ თუნდაც კვანტრიშვილის ცნობილი ახლობლებისაგან. არც საქართველოში, არც რუსეთში პრობლემას არ წარმოადგენს კვანტრიშვილის ნათესავების, მეგობრების, „როსიისკი კრედიტის“ თანამშრომელთა მოძებნა. დაე, იპოვონ თუნდაც ერთი მოწმე ან მტკიცებულება, რომ პირადად მე ან ჩემს სტრუქტურებს კვანტრიშვილთან იოტისოდენა შეხება მაინც გვქონია! არიან ისეთი ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც ჩემზე საუბრისას იყენებენ ასეთ გამოთქმას — „ვინმე ივანიშვილი“, სხვები წერენ, რომ მე „საორიენტაციოდ“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, ზოგიერთი ჩემი გვარის ხსენებისას სხვის ფოტოებს ბეჭდავს. ჟურნალისტთა სხვა კატეგორია იმ ბიზნეს-ცენტრს, რომელსაც თბილისში ვაშენებ, საროსკიპოს უწოდებენ. რა აერთიანებთ მათ? ყველანი თითქოს უაღრესად აღშფოთებული არიან, რომ ჩემზე ინფორმაციის მოპოვება უჭირთ. ეს ხომ მზაკვრობაა. ქართველზე, რომელიც დაიბადა საქართველოში, რომელსაც მშობლები, უამრავი ნათესავი და მეგობარი ჰყავს, აბსოლუტურად ყველაფრის გაგება შეიძლება, თანაც უსწრაფესად. არასოდეს მიმიმართავს სასამართლოსთვის ჩემი ღირსებისა და პატივის დასაცავად, რადგან არასოდეს დამიკარგავს არც ერთი, ყოველთვის სინდისის კარნახით ვცხოვრობდი“.

ასევე ექვსი წლის წინათ არის გაცემული ამომწურავი პასუხი კითხვაზე, რომელიც ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებების ჟურნალისტებმა დაუსვეს ბიძინა ივანიშვილს პრესკონფერენციაზე.

საუბარია გენერალ ლებედზე, რომელსაც ზოგიერთი საქმეში კარგად ჩახედული ქართველი ჟურნალისტი ლებედევად მოიხსენიებს:

„— ამბობენ, რომ თქვენ ასპონსორებდით ლებედს.

— ლებედს მაშინ დავეხმარე, როცა ყველასგან მიტოვებული პოლიტიკოსი იყო. ანატოლი ჩუბაისი ხელმძღვანელობდა ელცინის წინასაარჩევნო შტაბს, რომლის წევრებიც ლებედს სერიოზულად არ აღიქვამდნენ. მე კი ჩემს ოფისში მისი წინასაარჩევნო შტაბი განვათავსე, მის, ასე ვთქვათ, „რასკრუტკას“ ვაფინანსებდი. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ყველა მიხვდა, რომ მე მართალი ვიყავი: ელცინს დაბალი რეიტინგი ჰქონდა, ლებედმა კი არჩევნებში თავისი ხმები ელცინს დაუთმო და ამით მისი გამარჯვებაც უზრუნველყო, მაშინ ჩემთვის მადლობაც კი არავის უთქვამს, ხოლო როდესაც ლებედს ხსნიდნენ (უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან), ყველამ გაიხსენა, რომ იგი მე მოვიყვანე პოლიტიკაში და გამინაპირეს. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა პოლიტიკურ პროცესში ვმონაწილეობდი. მერე, როცა ლებედს გუბერნატორად ირჩევდნენ, ძველებურად, კადრებით კი დავეხმარე, მაგრამ უშუალოდ არ დამიფინანსებია და მასთან არც არანაირი კავშირი არ მქონია“.

*ბიძინა ივანიშვილზე, როგორც პიროვნებაზე, რომლისთვისაც უმთავრესია წესიერება და პატიოსნება ადამიანებთან ურთიერთობაში, მორალურ-ზნეობრივი ღირებულებებისადმი პატივისცემა და ხაზგასმული ერთგულება ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი, როდესაც მან რუსეთში მომხდარი დეფოლტის პერიოდში, რუსეთის საბანკო სისტემიდან ერათადერთმა, უარი არ თქვა მეანაბრეებთან და საქმიან პარტნიორებთან აღებულ ვალდებულებებზე და პირნათად შეასრულა ყველა ნაკისრი ვალდებულება.*

**„— თქვენ სხვაგვარ აქტივს ყიდულობდით, თუმცა 90-იანი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**წლების ბოლოს თქვენი საინვესტიციო აქტივობა შემცირდა, რატომ?**

— 1998 წლის დეფოლტის შემდეგ ყველანაირი ძალისხმევა „როსიისკი კრედიტის“ პრობლემების მოგვარებას დასჭირდა. სხვათა შორის, მაშინ სახელმწიფო მოხელეებმა მოგვატყუეს. მსხვილი ბანკების მფლობელები დეფოლტის შესახებ მის გამოცხადებამდე გაგვაფრთხილეს. პირადად მე, დეფოლტის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, თუმცა ყველა მამშვიდებდა, ხოლო ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი სერგეი დუბინინი დაგვპირდა, რომ თუ საჭირო გახდება, ბანკისთვის კრედიტს მიიღებთო. გამოცხადდა დეფოლტი და მეანაბრეები თავიანთი ფულის წასაღებად ბანკებს მიაწყდნენ. სხვებივით რომ მოვქცეულიყავით, — ფული არ გაგვეცა, ჩვენი ბანკისთვის, კრიზისის შედგები ასეთი დამანგრეველი არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ორი კვირის განმავლობაში ყველა მსურველს პატიოსნად დავუბრუნეთ 180 მილიონი დოლარი. როცა ფული გაგვითავდა, დუბინინს თავისი დაპირება შევახსენე, მაგრამ კრედიტი არ მომცა.

**— რა შედეგები მოუტანა დეფოლტმა ბანკს? რა მოიმოქმედეთ ბანკის კრიზისიდან გამოსაყვანად?**

— მაშინ რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდი — ან უნდა გავკოტრებულიყავი, ან დამოუკიდებლად გამეტარებინა რესტრუქტურიზაციის პროცესი, ძნელი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა რესტრუქტურიზაცია ვარჩიე. ჩემთვის, როგორც ბანკის აქციონერისთვის, მას ეკონომიკური თვალსაზრისით, აზრი არ ჰქონდა — კარგად მესმოდა, რომ რესტრუქტურიზებული ბანკის საბაზრო ღირებულება ძალიან დაბალი იქნებოდა. პასივსა და აქტივს შორის განსხვავება დაახლოებით, ერთი მილიარდი დოლარი იყო.

პარადოქსულია, მაგრამ საფასური ყველა ჩემი აქტივისა, რომლებიც ბანკთან დაკავშირებული არ ყოფილა, ამ დროს ერთი მილიარდიც კი არ იყო. მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, ყველა ჩემი სამრეწველო საწარმოს — ლებედინსკის, სტოილენსკის, მიხაილოვსკის სამთო-გამამდირებელი კომბინატების, „ტულაჩერმეტის“, ორლოვსკის ფოლადსაგლინავი ქარხნის, სასტუმროების აქციები ბანკის ვალების უზრუნველსაყოფად ჩამედო, ასეთი გირავნობის გარეშე, რომლის ნაწილის მოგვიანებით გამოსყიდვა მომიხდა, „როსიისკი კრედიტის“ კლიენტები უკიდურესად დაზარალდებოდნენ. რასაც ჩემი ცხოვრებისეული პრინციპების გათვალისწინებით ვერ დავუშვებდი. ბევრს არ ესმოდა ჩემი — ნაცნობ ბიზნესმენებს ლამის თვითმკვლელად მივაჩნდი („როსიისკი კრედიტი“ საკრედიტო ორგანიზაციების რესტრუქტურიზაციის სააგენტოს (**APKO**) მმართველობაში გადავიდა. მიიღო რა ბანკის 25 პროცენტი + 1 აქცია საკუთრებაში, კიდევ 50 პროცენტი — მართვაში, სააგენტომ მას 4,5 მლრდ რუბლის საკრედიტო ხაზი გაუხსნა. იმ მომენტში „როსიისკი კრედიტის“ საკრედიტო დავალიანება დაახლოებით, ერთ მილიარდს შეადგენდა. 2000 წლის აგვისტოში დამტკიცდა შეთანხება, რომლის თანახმადაც, მეანაბრეებმა (მოთხოვნა — 1,8 მილიარდი რუბლი) ერთჯერადად 30 000 რუბლი და ბანკის ვექსილები მიიღეს, ხოლო კორპორაციულმა კლიენტებმა (მოთხოვნა — 21 მილიარდი რუბლი) — მოთხოვნის 10 პროცენტამდე ფულის სახით და ბანკის ვექსელები, რომლებიც ერთ წელიწადში იყო დასაფარი. 2003 წლის ივნისში ბანკმა ფიზიკური პირების მიმართ არსებული ვალდებულებების 90 პროცენტი დაფარა. 2003 წლის ნოემბერში „როსიისკი კრედიტი“ კაპიტალი კვლავ დადებითი გახდა. რესტრუქტურიზაციის სააგენტოს წარმომადგენელთა თქმით, ეს ყველაფერი დამატებითი ემისიის მიმდინარეობისას ბანკის კაპიტალში ვალების კონვერტაციის შედეგად მოხერხდა — (Âåäîìîñòè).

**— რა აქტივები გაყიდეთ კრედიტორების გასასტუმრებლად?**

— პაკეტები, რომლებითაც ლებედინსკის სამთო-გამამდირებელი კომბინატის გაკონტროლება შეიძლებოდა, ორლოვის ფოლადსაგლინავი ქარხანა, „ტულაჩერეტი“, ვყიდდი იმას, რაზეც ყველაზე დიდი მოთხოვნილება იყო. სხვათაშორის, მიხაილოვსკის კომბინატის აქციები მაშინ არავის სჭირდებოდა, იმ დროს მათში 50 მილიონ დოლარსაც კი არავინ გადაიხდიდა. სულ ბანკის აქციონერებმა კრედიტორებს დაახლოებით, 450 მილიონი დოლარი გადაუხადეს — ამ თანხაში შედის აქციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და „არკოს“ კრედიტები, რომლებიც ჩვენ მოგვიანებით საკუთარი ბიზნესის მეშვეობით დავფარეთ. სხვათა შორის, მაშინ რომ შემენარჩუნებინა და ახლა გამეყიდა, კიდევ 3 მილიარდს მივიღებდი.

შეიძლებოდა, ყველაფერი დამეკარგა, ქვეყანაში ეკონომიკის აღმასვლა კიდევ ნახევარი წლით რომ შეფერხებულიყო, იძულებული გავხდებოდი, ჩადებული ქონება გამეყიდა და არაფერი შემრჩებოდა, შარშან ბანკის რესტრუქტურიზაცია დასრულდა. დარწმუნებული ვარ, ამით არა მარტო „როსკრედიტის“ და მისი აქციონერების პრესტიჟი, არამედ მთლიანად რუსეთის საბანკო სისტემისადმი ნდობა ამაღლდა. უცხოელი ბანკირები გაფაციცებული აკვირდებოდნენ რუსეთში სიტუაციას, ხოლო ჩვენი ბანკის რესტრუქტურიზაციამ ყველას დაანახა, რომ მსგავსი პრობლემის ცივილიზებულად მოგვარების მაგალითები რუსეთში შესაძლებელი იყო.

**— დღეს ხომ არ ნანობთ, რომ ასეთი რესტრუქტურიზაცია გადაწყვიტეთ?**

— ვამაყობ, რომ ასე მოვიქეცი. შევინარჩუნე ჩემ მიერ შექმნილი ბანკი. „როსკრედიტის“ რესტრუქტურიზაცია. ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიო პრაქტიკაში, როცა მთავრობის მიზეზით წარმოქმნილი ვალები კერძო კომპანიამ გაისტუმრა. თუმცა, რასაკვირველია, ოდნავ გულსატკენია, რომ ძალიან ცოტამ დააფასა ის, რისი გაკეთებაც მაშინ მომიწია“.

საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებაში ესოდენ მომრავლებული ცრუპენტელების და მატყუარების ფონზე, ისეთი სიტყვის კაცის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში, როგორიც ბატონი ბიძინაა და მისი ხელისუფლებაში მოსვლა ქართული სახელმწიფოსთვის, საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და სახელმწიფოებრივად უაღრესად საჭირო და აუცილებელი მოვლენაა.

და ბოლოს კიდევ ერთი დეტალი ინტერვიუდან:

— საქართველოში თქვენს დაბრუნებას ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები დაემთხვა, როგორ აფასებთ ამ ცვლილებებს?

— ხელისუფლებაში მოვიდა

# `ar megona, rom miliarderi gavxdebodi~



ახალგაზრდა ძალა, მაგრამ მე მათი არც მომხრე ვარ და არც მოწინააღმდეგე, სულ ეს არის, რისი თქმაც შემიძლია საერთოდ კი, ძალიან ვწუხვარ, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები ასეთ კალაპოტში მოედინება.

**— რამდენად საჯარო ცხოვრებას ეწევით საქართველოში, როგორი დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივ პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს თქვენ მიმართ?**

— არც ერთ მათგანთან არ მაქვს კონტაქტი, განცალკევებით ვცხოვრობ, მხოლოდ ნათესავებთან, ახლო მეგობრებთან ვურთიერთობ. არანაირი პოლიტიკური ამბიცია არ გამაჩნია, უბრალოდ, მინდა, საკუთარ ოჯახთან ერთად მშვიდად ვიცხოვრო, ჩემს სოფელ ჭორვილას ხანდახან ბიზნესის საკითხების მოსაგვარებლად თუ დავტოვებ.

**— თუ ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაშინ რატომ მიმართეთ სასამართლოს პატივისა და ღირსების დასაცვად?**

— იმიტომ, რომ არასოდეს დამიკარგავს პატივი და ღირსება, სინდისის კარნახით ვცხოვრობდი. ამ ფასეულობების აღდგენაზე კი ისინი დაფიქრდნენ, ვინც ჩემზე სიცრუეს წერდა“.

*მართლაც უპრიანი იქნება, პატივის და ღირსების აღდგენაზე დროულად დაფიქრდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ღირსება, სინდისი, სირცხვილი, ნამუსი დრომოჭმული, ყავლაგასული ცნებებია, რომლებიც ხელს უშლის ადამიანს დასახული მიზნის მიღწევაში.*

*არადა, ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების გარეშე ადამიანი ადამიანის მსგავს არსებად იქცევა, რომელსაც ადამიანი არ ეთქმის.*

*ასეთებს ადამიანები სძულთ და თავიანთი მოქმედებებით და ცხოვრების წესით ისინი ყოველგვარ ადამიანურს და ამაღლებულს დაუნდობლად ანადგურებენ და ფეხქვეშ თელავენ, ხოლო როცა ასეთი ადამიანები ხელისუფლებაში მოდიან, მათ უბედურება მოაქვთ მთელი ქვეყნისთვის და მისი თითოეული მოქალაქისთვის.*

*სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში სიძულვილი, სისასტიკე, დაუნდობლობა, უსიყვარულობა მძვინვარებს, რაც ყოველთვის უცხო და მიუღებელი იყო ქართული ხასიათისთვის, ქართული მენტალიტეტისთვის.*

*გზა, რომლითაც ბიძინა ივანიშვილი საქართველოს წაყვანას აპირებს, თანაგრძნობის, თანადგომის, ადამიანურობის, მაღალი ფასეულობების და, რაც მთავარია, სიყვარულის გზაა.*

*„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია...“*

*სიკეთე და სიყვარული ადრე თუ გვიან აუცილებლად სძლევს ბოროტებას.*

*ეს ასე რომ არ იყოს, კაცობრიობა დიდი ხნის წინათ შეწყვეტდა არსებობას...*

**გიორგი გამეზარდაშვილი**

**teleNEWS teleNEWS**

**ზაზა შათირიშვილი:** მოდით, ობიექტურობისთვის ვთქვათ ესეთი რამ, როდესაც იქმნება მონოპოლია ჭეშმარიტებაზე და კრიტიკა არის მარგინალიზებული, აბსოლუტურად ბუნებრივია რეაქცია, რაც მოჰყვება ამ მონოპოლიას. საზოგადოების იმ ნაწილის მხრიდან, რომელიც არაა ანგაჟირებული, ისმის კრიტიკა და ივანიშვილი თავის მხრივ ძალიან სენსიტიურია და აღიარებს, რომ რაღაც შეეშალა, რაც 7-8 წლის მანძილზე არ გაგვიგია ქართულ პოლიტიკაში. როდესაც ადამიანი აღიარებს თავის შეცდომებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

განვლილ წლებს თუ გადავხედავთ, მე არასოდეს მომისმენია, სააკაშვილს ეთქვას, რომ მას ჰქონდა რაიმე შეცდომა. შევარდნაძეც და ჟვანიაც აღიარებდნენ თავის შეცდომებს. საზოგადოებას ბოროტებად და კეთილებად არ ჰყოფდნენ და დიალოგშიც შედიოდნენ. სააკაშვილის ყველაზე არადასავლურობა და არადემოკრატიულობა მდგომარეობს იმაში, რომ მან დააბრუნა სტალინური საზომი, როცა დაყო საზოგადოება აგენტებად, ბოროტებად და კეთილებად. რა არ მოუვიდა შეცდომები ივანიშვილს?! რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ იგი არ ჰყოფს საზოგადოებას ბოროტებად და კეთილებად. ამასთან როცა ადამიანი აღიარებს



შეცდომებს, საფრთხის წინაშე არ ვდგავართ და არა მგონია, იგივე სიტუაციაში აღმოვჩნდეთ. ბიძინა ივანიშვილმა სადემარკაციო ხაზი გაავლო სააკაშვილსა და დანარჩენ საქართველოს შორის. მან აღნიშნა, რომ ის ადამიანები, რომლებიც არიან ნაციონალურ მოძრაობაში თუ გადადგამენ გარკვეულ ნაბიჯებს, კარი ღიაა. ანუ თუ რაიმე სადემარკაციო ხაზი გაავლო მან, ეს არის ხაზი კონფორმისტებსა და ნონკონფორმისტებს შორის. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ივანიშვილმა შემოიტანა ის, რაც ჰაერივით სჭირდებოდა ქართველ ხალხს - ეს არის სიმართლე და გულწრფელობა.

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას ჰქონდა ასეთი შედეგი, წვიმის მერე ჟანგბადი რომ მოდის. ჩვენ ამ რვა წლის განმავლობაში ვცხოვრობთ ვითარებაში, როდესაც ომი არის მშვიდობა, სიკეთე - ბოროტება, მონობა - თავისუფლება. როდესაც ომი დაიწყო რუსეთმა, მაგრამ გაიმარჯვა საქართველომ. ივანიშვილი იყო პირველი, რომელიც არ მოერიდა და თქვა, რომ ომი დაიწყო საქართველომ და სამარცხვინოდ დამარცხდა. ხელისუფლებამ „საკუთარ ცხენს გამოასწრო პორტარტურიდან“. ერთი უბედურება იყო ის, რომ ომი დაიწყო და მეორე- როგორ დამარცხდა. ადამიანი, რომელმაც გორში იგორავა, ლაპარაკობს ვაჟკაცობაზე. აქედან გამომდინარე, ივანიშვილის შემოსვლა პოლიტიკაში არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ სიტყვებს დავუკარგეთ რვა წლის განმავლობაში მნიშვნელობა და სიტყვებმა დაიწყეს შურისძიება. ამიტომაც დღეს ენობრივად ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესები ხდება, როდესაც სიტყვებს უბრუნდება თავიანთი მნიშვნელობა - მშიშარა არის მშიშარა, ვაჟკაცობა არის ვაჟკაცობა, სიკეთე არის სიკეთე, საქართველო არის ჩვენი სამშობლო. ხვალ რა იქნება, ჩვენ არ ვიცით, რადგან თითოეული ჩვენგანი არის მოკვდავი.

ჩემთვის ივანიშვილის ინტერვიუებში ყველაზე მნიშვნელოვანია მესიჯია, როცა ის აფასებს საკუთარ წარსულს და ამბობს, რომ მან დაანგრია თავისი ცხოვრება პოლიტიკაში შემოსვლით, დაანგრია ის, რასაც აკეთებდა მთელი ოცი წელი უანგაროდ. ანუ მან პოლიტიკაში შემოსვლით ეს უანგარობა წაშალა. და ამაზე ლაპარაკი დაიწყო თვითონ. ეს ნიშნავს, რომ მას აქვს სინდისის ქენჯნა, სწორედ ამიტომ ვუწოდე მას მორალური პოლიტიკოსი. მორალური უცოდველს არ ნიშნავს, უცოდველი არავინ არ არის, მაგრამ როდესაც ადამიანს შემოაქვს საჯარო სივრცეში სინდისის განზომილება და ამ საზომით უყურებს პირველ რიგში, საკუთარ თავს, მე ამას ვუწოდებ მორალურ პოლიტიკოსს.

**teleNEWS teleNEWS**

# biZina ivaniSvili: `me qvelmoqmedebs pirobiTad or jgufad vyof~

## `kadrs miRma~ darCenili mniSvnelovani detalebi



*გთავაზობთ ინტერვიუს ბიძინა ივანიშვილთან, რომელიც 2005 წელს გაზეთ „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა.*

*დღეს, როცა დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი ივანიშვილის საქველმოქმედო საქმიანობის გარშემო, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნება თუ რას ფიქრობს თავად ბიძინა ივანიშვილი ქველმოქმედებასთან დაკავშირებით.*

თავიდანვე მცირე ახსნა-განმარტებით დავიწყებ. საქმე ის გახლავთ, რომ გაზეთ „ვედომოსტიში“ ბიძინა ივანიშვილის ვრცელი და გახმაურებული ინტერვიუ გამოქვეყნდა, როცა ამ ინტერვიუს ჩვენშიც და რუსეთშიც თითქმის ყველა მასობრივი საინფორმაციო საშუალება გამოეხმაურა, ჩემსა და ბატონ ბიძინას შორის მისივე ინიციატივით რამდენიმე სატელეფონო საუბარი შედგა. ამ საუბრის თემა კი, ბუნებრივია, სწორედ მისი ინტერვიუ გახლდათ.

ჩემი პროფესიის გამო ბევრი ისეთი დეტალი მაინტერესებდა, რომლებიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, ამგვარი ვრცელი ინტერვიუს დროს „კადრს მიღმა“ რჩება ხოლმე; ანუ რესპონდენტმა კი ისაუბრა, მაგრამ ჟურნალისტმა მისი ნალაპარაკევი ამა თუ იმ მიზეზის გამო ან ძალიან შეამცირა და ან სულაც „დაივიწყა“.

მთავარი კითხვა ქველმოქმედებას შეეხებოდა. ისეთ ინტერვიუში, რომელიც, ჩემი აზრით, კარგი რომანივით იკითხება და რომელშიაც უამრავ კითხვაზე ამომწურავად, აზრიანად და, რაც მთავარია, საოცარი გულწრფელობითაა ნაპასუხები, ნუთუ კორესპონდენტს ქველმოქმედებაზე არაფერი უკითხავს-მეთქი...

ბატონი ბიძინასგან შევიტყვე, რომ თურმე ასეთი კითხვაც ყოფილა და მას საკმაოდ ვრცელი პასუხიც მოჰყოლია, მაგრამ რატომღაც სწორედ ეს საინტერესო პასაჟი დარჩენილა „კადრს მიღმა“.

რატომ? ძნელია ამ კითხვას ზუსტი პასუხი გასცე, მაგრამ ეს არც არის აუცილებელი. მთავარი ის არის, რომ კორესპონდენტმა კითხვაც დასვა, პასუხიც მიიღო, მაგრამ აღარ გამოაქვეყნა. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა ბატონმა ბიძინამ შემომთავაზა, გვეთხოვა „კვირის პალიტრისთვის“ და ამ გაზეთის საშუალებით „გამორჩენილი“ კითხვა-პასუხი საზოგადოებისთვის მაინც გაგვეცნო.

მიზანი? მიზანი ორია. ერთი ის, რომ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებასთან დამოკიდებულების გაცნობა საინტერესოა და მეორე, ქართველი ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობაც ცოტათი დაცხრება.

იკითხავთ, ალბათ, აღარ დადგა იმ კითხვა-პასუხის დროო? მართალიც იქნებით, მაგრამ სანამ მას შემოგთავაზებთ, მანამ ბიძინა ივანიშვილის თხოვნით მისგანვე მოწოდებული ერთი ინფორმაცია უნდა გაგანდოთ...

რატომ დაიბეჭდა მისი პირველი და, როგორც ჩანს, ერთადერთი ინტერვიუ რუსულ პრესაში?

რამდენიმე ფაქტორით ხსნის ამას ბიძინა ივანიშვილი. პირველი ის გახლავთ, რომ მისი ბიზნესის ლომის წილი რუსეთში იყო და არის დღესაც. ინტერვიუში გახმაურებული ფაქტები და ნიუანსების ლაბირინთები მთლიანად რუსული ბიზნესის არეალშია მოქცეული და საზოგადოების ფართო ფენების გარდა უამრავი რამ თანამედროვე რუსეთის განსაზღვრულ წრეებზეცაა გათვლილი.

მეორე და, ალბათ, მთავარი კი ის არის, რომ ინტერვიუში მოხმობილი უამრავი ფაქტის გადამოწმება იყო საჭირო. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძენდა ინტერვიუ დამაჯერებლობას.

ფაქტების გადამოწმება კი გასაგები მიზეზების გამო ქართველ ჟურნალისტებს გაუჭირდებოდათ. ეს მხოლოდ რუსული მასმედიისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინტერვიუს მოუთმენლად ელოდნენ, იგი მაინც ერთი თვის დაგვიანებით დაიბეჭდა. სწორედ ერთი თვე დასჭირდა ფაქტების საგულდაგულო გადამოწმებას, ანუ იმის დადგენას, რამდენად სარწმუნო იყო რესპონდენტის საუბარი. სამაგიეროდ, როგორც უკვე ითქვა, ინტერვიუს დამაჯერებლობის ხარისხი ერთიორად გაიზარდა. ახლა კი დაპირებული ფრაგმენტი (რომელიც „რატომღაც“ გამორჩა „ვედომოსტის“).

**— იქნებ იმ საქველმოქმედო პროექტებზე მოგვითხროთ, თქვენი მონაწილეობით რომ ხორციელდება...**

— ჩემი აზრით, ის ფენომენი, რომელიც მოიაზრება სიტყვაში „ქველმოქმედება“, დღეს პრაქტიკულად გაცილებით ფართო გაგებით გამოიყენება და სცილდება იმ არეალს, რასაც ნაღდი ქველმოქმედება გულისხმობს. მაგრამ ამჯერად არ მსურს ამ საკითხს ჩავუღრმავდე. ამიტომ იმ ტერმინებით ვისარგებლოთ, რომლებიც საყოველთაოდ მიღებულია.

მე ქველმოქმედებს პირობითად ორ ჯგუფად ვყოფ. პირველი — ეს არის ქველმოქმედი, რომელიც შეგნებულად ახმაურებს თავის ქმედებას და ამისთვის საინფორმაციო საშუალებებს იყენებს. მეორე კი — ქველმოქმედი, რომელიც გულწრფელად ცდილობს, მისი ქმედება არ გახმაურდეს.

პირველი, ჩემი აზრით, ჩვეულებრივი თვითრეკლამაა. ამგვარი ქველმოქმედების მიზანი ერთია, საზოგადოებისგან მიიღოს მეტი, ვიდრე თავად გასცა. მაგალითად, თუ თავის ქველმოქმედებას კომერსანტი ახმაურებს, იგი ან დამატებით შემოსავალს ეძებს, ან რაიმე სხვა გამორჩენას. თუ იმავეს პოლიტიკოსი სჩადის, მისი ქმედება ამომრჩეველთა დამატებითი ხმების მოპოვებისთვის არის გამიზნული. კულტურის მოღვაწეც კი, რომელიც თავის ქველმოქმედებაზე საჯაროდ ლაპარაკობს, აუდიტორიის გაზრდაზე ფიქრობს.

მეორე შემთხვევაში, როცა ქველმოქმედი გამიზნულად ცდილობს თავისი საქველმოქმედო მოღვაწეობის შენიღბვას, შედარებით განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ასეთ დროს თავად ქველმოქმედი განიცდის დიდ სიამოვნებას. ცხოვრებამ მას საშუალება მისცა არა მხოლოდ შეიბრალოს და თანაუგრძნოს, არამედ რეალურად დაეხმაროს და ყოფა შეუმსუბუქოს ადამიანებს. ამ დროს კი იმ ადამიანებს არა მხოლოდ ჭეშმარიტი მადლიერების განცდა ეუფლებათ, ანალოგიურად მოქცევის სურვილიც უჩნდებათ და მზად არიან სხვა შეჭირვებულთა თანადგომისთვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანები უფრო ჰუმანურები ხდებიან. ეს კი ის თვისებაა, თანამედროვე საზოგადოებას რომ ძალიან აკლია.

როცა ადამიანებს გაწეული დახმარების შესახებ ზედმეტად შეახსენებენ ხოლმე, ეს ზოგჯერ მხოლოდ თვითრეკლამის სურვილს სცილდება. ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენ იმ ადამიანების თავმოყვარეობას ვლახავთ და მათი ღირსების გრძნობას ვამცირებთ. ასეთ დროს ისინი მიღებულ შემწეობას დამსახურებულ ქმედებად აღარ აღიქვამენ და მადლიერების ნაცვლად ისეთი შეგრძნება აქვთ, თითქოს უზარმაზარი ვალი დაედოთ კისერზე. ბევრისთვის ეს ფსიქოლოგიურად ძნელი ასატანი ხდება და აგრესიულობასა და კაცთმოძულეობაში გადაიზრდება.

დასკვნის სახით კი ვიტყვი, რომ ქველმოქმედი, გინდ გახმაურებული იყოს მისი საქმეები და გინდაც შენიღბული, ორივე შემთხვევაში მხოლოდ თავისი თავისთვის ილვწის (ისე, საზოგადოდ ადამიანი მხოლოდ თავისთვის ირჯება). პირველ შემთხვევაში ის დამატებით მოგებაზე ან დამატებით ხმებზე ფიქრობს, მეორე შემთხვევაში კი საკუთარი საქციელით ტკბობაზე.

სხვანაირად რომ ვთქვათ, პირველნი მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებისთვის ზრუნავენ, მეორენი კი სულიერი გამდიდრებისთვის — ანუ, „რასაცა გასცემ შენია“...

მოამზადა
**თემურ ჭკუასელმა.**
„კვირის პალიტრა“,
9-15 მაისი, 2005 წელი

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**
**www.saertogazeti.net**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართო.

"საწყისიც"- იგივეა.

ამ წიგნს რომ კითხულობ, გამუდმებით გაგონდება ნეტარი ავგუსტინეს "აღსარება", წიგნის ის მონაკვეთი, თავის პატარაობას რომ იხსენებს, ბავშვებმა რომ თავის კარის მეზობელს ხეხილნარი გაუქურდეს, ვაშლი რომ მოიპარეს. რატომ ირჯებიან ასერიგად პატარები, გვეკითხება ნეტარი ავგუსტინე, თანაც ისეთი პატარები, თავ-თავიანთ ეზო-კარში რომ გამოულევად მოეპოვებათ ნაირ-ნაირი ხილეული? და იმგვარი დასკვნები გამოაქვს, რაც არა მარტო მოზარდთათვისაა საგულისხმო და ყურადსაღები.

საგულისხმო და ყურადსაღებია ჩვენი უპირველესი მესიტყვის, ჭაბუა ამირეჯიბის საყმაწვილო მოთხრობები და შეგონებანი.

ეგ არის ოღონდაც: ნეტარი ავგუსტინეს პარატებისაგან განსხვავებით, ამირეჯიბის მოთხრობების მთავარი გმირი, აჩიკო იმთავითვე, დაბადებიდანვე არის რაღაც განსაკუთრებული ზნეობრივი სიკეთით დაჯილდოებული. და იგი, აჩიკო, როგორც ამ ესეის ეპიგრაფიც მიგვანიშნებს, მუდამ კარგისკენაა მიდრეკილი და მიფაციცებული.

„ÿ åù å í å òàêî é ï î äëåö, ÷òî áû äóì àòü î ì î ðàëè" (როზანოვი).

"საწყისის" პირველივე მოთხრობა გვაცნობს ერთი მეოთხეკლასელი ბიჭის თავგადასავალს, მამამისმა რომ დანაპირები შეუსრულა და ახალთ-ახალი ჩუსტები უყიდა.

იმ ჩუსტებით გამოწვეული სიხარული რომ გაიზიარო და გაიაზრო, მთელი ჩვენი ცხოვრების ასაგის-გასაგისში უნდა ჩაიხედო.

ნანი-ნანატრი ფეხსაცმელები ერგო მოთხრობის გმირს და აი, მოხდა სასწაული, მან ეს ჩუსტები დაკარგა.

და იწყება ქრისტეს წამება.

აქვე ვიტყვი: ამ მოთხრობის კითხვისას გამუდმებით გაგონდება აგრეთვე კინო-შედევრი "ველოსიპედების გამტაცებლები."

რა ჩუსტები და რა ველოსიპედები!

ჩუსტები დაიკარგა, მაგრამ შინ მისვლა არ გინდა!

თუმცა სოფელი უკაცოდ არაა, და მოზარდს რაღაც მანქანებით გაუჩნდა თანხა, მავანმა უცხო ძიამ ჩაასესხა ფული, ჩუსტები რომ ეყიდა, მაგრამ...

ამ "მაგრამ"-ის თავგადასავალი ბარათაშვილიდან მოკიდებული, მთელი ჩვენი კაზმულსიტყვაობის მოუცილებელი ნაწილი შეიქნა, ისე ვით რუსებისთვის, ჩემი გაგებით, სიტყვა „რატომ?" თუნდაც რომ მარტოოდენ დოსტოევსკის შემოქმედებიდან გამომდინარე... მაგრამ...

„ძია, ოცდათოთხმეტი ნომერი, ძია!

-არ არი!

უარი მეხივით მომხვდა. მერე გავიფიქრე, სხვას თუ უთხრა-მეთქი და გავუმეორე.

-ყრუ ხარ? არ არი-მეთქი. ოცდათოთხმეტი მორჩა. ორმოცი წაიღე.

ვიდექი დახლს მიკრული და ერთსა და იმავეს ვუჩიჩინებდი:

-ძია, ოცდათოთხმეტი მომეცი, ძია! — იმდენ ჩუსტებში ოცდათოთხმეტი ერთი წყვილიც არ იქნებოდა?

-ოცდათოთხმეტი მორჩა. ტყუილა ნუ დადგები. ხვალ მოდი!"

მაგრამ ეს დიალოგი რა მოსატანია იმასთან, რაც მოთხრობის გმირს იმ დიალოგამდე დაატყდა თავს.

„დახლამდე როგორ მიმეღწია, ვერაფრით მოვიფიქრე, თორემ იქ ჩუსტები თავსაყრელი იყო.

„მოდი, შევძვრები," — გავიფიქრე.

მუხლებზე დავეშვი და საცა გასაძრომი ვიპოვე, იქ შევყურყუმელავდი.

კარგა ღრმად შევძვერი, მაგრამ რაც უფრო წინ მივიწევდი, მით უფრო ძნელი იყო: ფეხების ტყე ხშირდებოდა, უფრო ბრაზიანი, დაუნდობელი ფეხები მხვდებოდა. ორიოდე წიხლიც მითავაზეს. ვიღაცამ ხელზე ფეხი დამადგა... დახლის ფიცრები ახლოს ჩანდა, მაგრამ იქამდე გაღწევა არ გინდოდა? რაც უფრო წინ მივიწევდი, მით უფრო მიძნელდებოდა... „ყველა ფეხსაცმლიანია, ნეტავი ამათ!"- ასე ვფიქრობდი, რომ გადახოტრილი თავი დახლის კედელს მივაბჯინე. ახლა ადგომაღა იყო საჭირო. ორ კაცს სოლივით შევეჭერი, წამოვიმართე..."

სად და სად არ შეეხეტება მოთხრობის გმირი ამ ერთი დღის განმავლობაში, ამ პატარა მოთხრობის სივრცეზე, რა და ფათერაკი გადახდება, მე რომ აქ დაწვრილებით მოვყვე, ანუ ამოვიწერო, იმას ემგვანება, მოხარდებს ლუკმა პირიდან გამოაცალო, - თვითონ ვერ წაიკითხავენ თუ რა! წაიკითხავენ და კიდევაც დაიმახსოვრებენ ერთხელ და სამუდამოდ დასამახსოვრებელს, როგორც ეს დაიხსომა, თავად ამ წიგნის შემოქმედმა...

„ერთი ხატი დავინახე: ძალიან ლამაზი ვაჟკაცი ცხენზე იჯდა და გრძელი შუბით ურჩხულს კლავდა... ეს კაცი რომ დამხმარებოდა..."

ეს კი უკვე სიჭარმაგეში ითქვა: „ატოცის წმინდა გიორგი, შემიწყალე მე, მიბოძე კიდევ ერთი გამარჯვება ჭაბუკობიდანვე შენი ხატის მკერდით მატარებელს..."

„ეს კაცი რომ დამხმარებოდაო,"- დაეხმარა და შეიწყალა კიდეც, როგორც ყველამ ვიცით, ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა წმინდა გიორგის შემწეობით შექმნა თავისი მორიგირ შედევრი: „გიორგი ბრწყინვალე".

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა!

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი მზეჭაბუკ(ჭაბუა) ამირეჯიბი ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისა და სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს**
**კათალიკოს-პატრიარქი**
**10 მაისი, 2009 წელი."**

მაგრამ მივუბრუნდეთ მომავალი გენიოსის სიყმაწვილს:

„გამოვედი წყლიდან, ქვიშაზე დავწექი. აქვე, ჩემს ცხირწინ, ვხედავ, კარგად დატკეპნილ სილაზე ვიღაც კაცმა ჩხირით სახლი დახატა ისეთი, მე რომ პატარაობაში ვხატავდი, გვერდით ლილი უჯდა, იმასაც ჩხირი ეკავა. ლილიმ სახლს საკვამური მიახატა და ბოლიც გაუკეთა. მაშინ კაცმა სახლის წინ ადამიანი დახატა. ლილიმ მეორე ასეთი ნახატი მიუყენა გვერდში. კაცმა ეს ნახატი წაშალა, მოშორებით დააყენა და ამ ორ ადამიანს შორის ექვსი პატარ-პატარა ადამიანი ჩახატა. ლილიმ შესწივლა და ხუთი პატარა ადამიანი უმალ წაშალა. კაცმა ექვსივე აღადგინა. ხატეს და შალეს, მაგრამ კაცის დაჟინებამ ლილისას სძლია. ლილიმ ცოტა ფიქრის შემდეგ კვლავ წაშლა განიზრახა. კაცი დათმობაზე წავიდა: სამ პატარა ადამიანს თავზე ბაფთები გაუკეთა. ლილი ახლაღა მიხვდა, რომ კაცი თავიდანვე ექვსივეს ბიჭებად გულისხმობდა და საშინლად განრისხდა, უმალ დანარჩენებსაც ბაფთები გაუკეთა... ასადგომად წამოვიწიე, ხელები დავიშველიე და აკი, შიგ ნახატში ჩავკარი თათი! სახლი, კარი, ღობე, დედა, მამა, ბალღები — ერთიანად წავშალე. ელდა მეცა. ხან კაცს შევცქეროდი, ხან — ქალს, ხან აოხრებულ სახლკარს. წამით ისინიც გაინაბნენ. მერე კაცს სინანულის ღიმილი მოედო. ქალი ბრაზიანი, ავი თვალებით მიყურებდა, ვითომ ნამდვილი სახლი დამინგრიოს და ნამდვილი ადამიანები ამომჟლიტოს..."

ეს ლექსი რომ არ ამომეწერა, არ იქნებოდა. დავარქვათ ამ ნახატს თავისუფალი ლექსი, თუნდაც ურითმო ლექსი, რაც გნებავთ და როგორც ისურვებთ, ძვირფასო მკითხველო, და აქვე ერთიც ვთქვათ:

რაბინდრანათ თაგორმა თავის დროზე თავისი საუკეთესო ლექსთა კრებული („გიტანჯალი") ცხონებულმა თამაზ ჩხენკელმა რომ გადმოიღო უებრო ქართულით და ვიქტორ ნოზაძემ კონგენიალური და დიდებული უწოდა, - თაგორმა თავადვე თარგმნა ინგლისურ ენაზე პროზად და ნობელის პრემიაც მიენიჭა.

აქ მოხმობილი ჭაბუა ამირეჯიბის ლექსი, ჩემი გაგებით, „გიტანჯალის"

ნებისმიერ შედევრს დაუმშვენებდა გვერდს. ასე აზროვნებდა სიჭაბუკეშივე უკვდავი „თუთაშხიას" შემოქმედი.

„ველოსიპედების გამტაცებლები" ვახსენეთ.

„საწყისის" ერთ-ერთი მოთხრობის სახელწოდებაა „ველოსიპედი".

ველოსიპედი მოთხრობის მოზარდმა-გმირმა თავისი ალალი შრომა-გარჯით შეიძინა. მაჰათმა განდის გამონათქვამია: „უშრომელი ქონა დაღუპავს მსოფლიოს", რასაც ქართულად „არამი ლუკმა" მიესადაგება.

არ ისურვა „არამი ლუკმა" ანუ „უშრომელი ქონა", გნებავთ, ნაჩუქარი ველოსიპედიც კი მოთხრობის გმირმა და სასურველი და ნანატრი საქონელი თავადვე შეიძინა.

„საამქროში ხმაური იდგა. ჩარხები ჭრიალებდნენ. ლითონის ფურცლებს ტყლაშანი გაუდიოდა. ყველაფერი ბრუნავდა და მოძრაობდა. ათიოდე წუთის შემდეგ მეკეთა ვეება წინსაფარი, ბრეზენტის თათმანი და ვარჩევდი ფურცლოვანი ფოლადის ჩამონაჭრებს..."

ასე გამოიმუშავა ყმაწვილმა შვიდას ოცი მანეთი, რითაც ნანი-ნანატრი ველოსიპედი უნდა შეეძინა, და რაც გასათხოვრად გამზადებულ დაიას მზითვად გაატანა.

ამითვე მორჩა ველოსიპედის ამბავი.

მაგრამ არ მორჩა და არასოდეს არ ნმორჩება ამ ცოდვილ დედამიწაზე ქრისტიანული უანგარობა, ზრუნვა მსგავსზე, რაც მარადი პოეტის გამონათქვამისა არ იყოს, იგივე საკუთარ თავზე ზრუნვაა, რამეთუ: „რასაცა გასცემ, შენია."

ან კი როგორ შეიძლება მარადიული სიკეთის მთასველი არ იყოს საქართველოს უპირველესი მესიტყვე, ანუ ბერი დავითი — ჭაბუა ამირეჯიბი.

ახლა ასეთი გამონთქვამი გავსინჯოთ:

„ერთი-ორჯერ თითო მანეთიც მომცა. გამოვართვი. ალბათ იმიტომ რომ მქონდა, თორემ ფულის გამორთმევის შემრცხვებოდა."

ამის გააზრება-გათავისება-გასიგრძეგანება ყმაწვილისთვის ცოტათი ნაადრევად მეჩვენება, მაგრამ კარგი საყმაწვილო წიგნი სადიდოო წიგნის ამხანაგია და ტოლ-სწორი.

და ერთიც:

„მგონი, საერთოდ არ გასულა დრო, ისე უცბად ამოვყავი თავი დერეფანში." ასევე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, როცა ამ წიგნს კითხულობ, დროის სვლას მართლაც ვერა გრძნობ, ისე ხარ მიფაციცებული იმას, თუ შემდეგ რა იქნება, როგორ განვითარდება მოვლენები, რომლის ხელოვნებასაც მხოლოდ დიდოსტატი მესიტყვეები ფლობენ.

„საწყისს" დართული აქვს შვიდად-შვიდი მოკლე შეგონება-იგავი, ზღაპრის ენით, ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ენით გაწყობილი და საამოდ საკითხავი.

მაგრამ (მართლაც და, როგორ არ გვეშვება ეს „მაგრამ") სავალალო ის არის, რომ დღეის საქართველოში „მწერალი" მეტია, ვიდრე მკითხველი. ფორმა მეტია, ვიდრე შინაარსი.

წინამო(ფასადი) უფრო ფასეულია და ღირებული, ვიდრე — შინამო.

ხალხი ქუჩებშია დაყუდებული.

საქართველო გარეთაა გამოფენილი.

და ეს ერთადერთი კაცი, ბერი დავითი, ანუ ჭაბუა ამირეჯიბი არის იქ, სადაც არის და სადაც ეგების. ანუ თავის სენაკში, ანუ თავის თავთან.

**„ჭკუით, ქართველებო!"**
**(ჭაბუა ამირეჯიბი).**

**მურმან ჯგუბურია**



# sawyisi

## „ზოგი რამ ისეთი კარგი ვიფიქრე, მომეწონა და თავიდან ვიფიქრე..."

### ჭაბუა ამირეჯიბი




**„საერთო გაზეთის" რედაქცია დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავს ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს დაბადების 90 წლის იუბილეს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.**

# gandegilis megobari yovelTvis mesamea!

თავიდანვე ვიტყვი, ეს წერილი არ არის მიმართული კონკრეტული პიროვნებების საწინააღმდეგოდ. სათქმელი ეხება ქართულ საზოგადოებას, რომელმაც საბჭოთა ეპოქაში გაიარა რა მუტაციური გარდასახვები, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ისეთ მუტანტად, რომლის ანარეკლიც კი არსად მეგულება. მათ ხომ მხოლოდ საქართველოში შეძლეს უზნეობა — ზნეობრივ კატეგორიაში გაეყვანათ და უაპელაციოდ დაემკვიდრებინათ ცხოვრების წესი, რომლის არსი ფარისევლური მრავალსახეობაა და რომლის პრინციპებით — ქვეყნის



(სახელმწიფოს — როგორც სინონიმის გააზრებისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ), კეთილდღეობის არწყვა, საკუთარი ეზო-ყურის კეთილდღეობის პარამეტრით ხდება. მეტიც — კერპთა თაყვანისმცემლობის მანიით შეპყრობილნი თანაფარდობის დაცვასაც ვახერხებთ ღმერთსა და სატანას შორის და ამიტომაც სულ მხსნელის ძიებაში ვართ. გარიყულნი, არაცნობიერად ვიაზრებთ რა ცოდვის სიმძიმეს, გადარჩენის იმედს, კაცმა არ იცის, საიდან მოვლენილ ბესტიას ვუკავშირებდით და ვუკავშირებთ. ასე მგონია, თითქოსდა ნიცშეს ჩვენზე აქვს ნათქვამი — განდეგილის მეგობარი ყოველთვის მესამეაო. ჰოდა, ამ მესამის ძიებასა და თაყვანისცემაში გაბოროტებულთ, მარად ეპითემეს პანდორას ყუთში დარჩენილი იმედი გვასულდგმულებს. ეს კი ილუზიაა, რადგანაც ის მრავალი დაავადება, რომელიც შეგვყრია, პანდორას ყუთთან არაფერ შუაშია, ის ჩვენგან მოდის, ჩვენვე ვავრცელებთ, მაგრამ სხვას კი ვაბრალებთ. ამის დასტური გახლავთ ის, რომ პირველ პრეზიდენტს 87%-ით „დავნებდით“, მეორეს — 92%-ით, მესამეს — 97%-ით და ახლა ყველა სიმპტომია, რომ ახალ ბესტიას (ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი დაილანდება), ლამის ასი პროცენტით ჩავბარდეთ, რომელიც შემდგომ აუცილებლად გადაიქცევა მორიგ იმედგაცრუებად. ეს რომ მოხდება, ამის მიზეზი თავად ჩვენი მენტალიტეტია — მერყევი, გაორებული, სულსწრაფი, დაუნახავი, უმადური. ხოლო შემდგომი სურვილი, ყოველი ახალადმოვლენილის — ლამის მესიის რეგისტრამდე აყვანილისა, რომ თავის თავზე ჭრან და კერონ ჩვენი ცხოვრების წესი — ბუნებრივი და ლოგიკურია. მათზე ზედგამოჭრილად ბრძანებს დიდი კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია — “ძლიერი პიროვნება მუდამჟამს იმის ცდაშია, რომ თავის წრეს მოახვიოს თავისი პიროვნული ეთიკა და მსოფლმხედველობა’’. ჩემის მხრივ, გავკადნიერდები და დავამატებ: - თუ მას ისეთი ნაყოფიერი ნიადაგი ხვდება, როგორიც ჩვენი სულიერი კატეხიზმოა. ამიტომაცაა, რომ განვლილი სამი და ახლა მეოთხე დაურიდებლად ორ-მესამედს მოითხოვდა და მოითხოვს, რაც კონსტიტუციის საკუთარ ბიბლიად გადაწერას გულისხმობს (განა იგივეს არ აკეთებდნენ ოღონდაც დაურიდებლად — თურქმენბაში, კადაფი, ბენალი, და სხვები). ჩვენგან ნებაყოფლობით მინიჭებული განუსაზღველ უფლებათა ფირმანის გამო თითოეულ მათგანს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ჩვენი ბედნიერება მათი “ბიბლიის” გარეშე ვერ აშენდების და რა თქმა უნდა, “დემოკრატია” ვერ განეფინება საყოველთაოდ. თუმცაღა აქ ახალი არაფერია. პირიქით, ბანალურიც არის და რომ ეს ასეა, საკმარისია ერთი თვალი ალმაცერად გადავავლოთ ისტორიის სანახებს, როს დავინახავთ ყველა, ყველა, აბსოლუტურად ყველა ავტორიტარი თუ დიქტატორი (დაწყებული სულათი და კრასუსით, დამთავრებული კასტროთი და პინოჩეტით), იგივე ლოზუნგს უფრიალებდა ამომრჩეველს (გულში რომ სახედარსა და ცხვარს ემახდა), მაგრამ საბოლოო ჯამში, არც ერთ მათგანს, ვიმეორებ, არც ერთ მათგანს კეთილდღეობა და სიმშვიდე არ მოუტანია და ვერც მოიტანდა, რადგანაც თავის ნებაზე მიშვებული ნებისმიერი ძალა აუცილებლად გადაიქცევა ისეთ მონსტრად (გამონაკლისი ისტორიამ არ იცის), რომელსაც ჭეშმარიტებად მხოლოდ საკუთარი პერსონის ბაგიდან გადმომდინარი სენტენციები თუ მიაჩნია — ათი მცნების სადარ დოგმად და რომლითაც უაპელაციოდ უნდა იხელმძღვანელოს მისგან “გაბედნიერებულმა” ერმა. ისინი ირგვლივ იკრეფენ ქამელეონებს, რომელთა ცხოვრების წესი ეგოისტური განდიდება, სიხარბე და ეშმაკთან წილის ყრაა. აქაც ნიცშეს დავესეხები — შვიდი ეშმაკისაგან ერთი ღმერთი არ გამოვაო, ბრძანებდა ფილოსოფოსი. არადა, ხელისუფლებაში მოსული ყველა „ორი-მესამედი“ მწამს ამ „შვიდ ეშმაკს“ უკავშირდება და მათი მეშვეობით იწყებს ქვეყნის მართვას და ესეც ლოგიკურია, სხვა გზით “ორი-მესამედი” უნაპიროდ ვერ განავრცობს თავისი შენიღბული ტირანიის უსაზღვრო ნებელობას. თუმცაღა მათ ერთი რამ ავიწყდებათ, ადამიანთა — ხალხის მერყევი ბუნება. ერთხელ ნაპოლეონს პარიზში ფრანგები დიდის აღტაცებული ყიჟინით შეხვდნენ, ვიღაცამ უთხრა: წარმოგიდგენიათ, როგორ უყვარხართ ხალხსო, რაზეც დიდმა იმპერატორმა ჩაიცინა და უთხრა: ერთხელაც იქნება იგივე ხალხი ასეთივე ყიჟინით გამაქანებს გილიოტინისკენო! ასე რომ, მატყუარაა ხალხის აღტყინებული ოვაცია და ვინც ამ ოვაციის იმედად დამდგარა, ცუდად დაუმთავრებია. ეს რომ ასეა, არ გვინდა შორს წასვლა, ჩვენი სახელმწიფოს უკანასკნელ 20 წელს გადავხედოთ და იქ ყველაფერ იმას ვნახავთ, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. რაც შეეხება ქართველ პოლიტიკურ დემაგოგ ბომონდს, რომელთაც მე, პირობითად, „შვიდ ეშმაკს“ დავუძახებდი, შეგულიანებულია ქართული ინტელიგენციის ერთი, ოღონდ დიდი ნაწილის მიერ და რომელმაც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან ურცხვად მოირგო „მეხუთე კოლონის“ როლი. სამწუხაროდ, იმის აღიარება გვიწევს, რომ ეს “მეხუთე კოლონა” ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი “მეხუთე კოლონაა” მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.



ქართველი მოღალატე აქაც გამორჩეულ ადგილს იკავებს მსოფლიოს მოღალატეთა ვრცელ გალერეაში. ზოგადად ცნობილია — მოღალატე, ჩუმად, ფარულად მოქმედებს. მას ეშინია მხილების, დასჯის, ხანდახან მორალური ასპექტიც კი ახდენს მასზე ზეგავლენას. ხოლო ქართველი მოღალატე არათუ ლანდივით გატრუნული დაილანდება, არამედ დაურიდებლად, ყბადაღებით, რიტორებს თავის ძრახვებზე. ის კი არადა - ეს უტიფარი, ამაყობს კიდევაც თავისი ქმედებებით. მით უმეტეს, რომ ისინი საზოგადოების ყველაზე შეძლებულ და როგორც დღეს იტყვიან, ცნობად სახეებს წარმოადგენენ. ისინი თავიანთი კოლაბორაციონიზმის გამო, ნაფერებზე-ნაფერები არიან კომუნისტური სატანის მიერ და ახლა შეცვლილ დროში, არაფრით, არაფრით თმობენ ძველ პრივილეგიებს და მის შესანარჩუნებლად ყველაფერზე მიდიან. ეს საზოგადოების უაქტიურესი ფენა ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ირგებს ერის სულიერი მოძღვრის ანაფორას. ის კი არადა უტიფრადაც კი მოითხოვენ აპლოდისმენტსა და პატივისცემას და კონფორმიზმშეყრილ საზოგადოებისაგან ღებულობენ კიდეც. ამის მიზეზთა-მიზეზი ჩვენი ცხოვრების წესია, რომელიც რამდენი ფორმისაგან შედგება, თავადაც არ ვიცით. სამაგიეროდ, ეს კონდოტიერები ისე არიან გათავხედებულნი, რომ რომელიმე მათგანისადმი ყელში წვდომას ვინ ჩივის, უბრალოდ, თუ შეეხე და მცირედით ამხილე, თავისი ამქრით ისეთ ვაიუშველებელს ატეხს, ისეთ აგრესიას გამოამჟღავნებს, რომ აბჯრით თუ არ შეიმოსე, ვაი, შენი ბრალი. მათი ნაღლეტი ქვეყანა კი გატრუნული კრინტსაც არ დაძრავს შენს დასაცავად. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ყმური არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს ჩამოყალიბებული. თუმცაღა შინაგანად სძულს ისინი და ყველაფერიც კარგად მოეხსენება, მოეხსენება — რომ მათი ინსპირირებულია სამოქალაქო ომი, პირველი პრეზიდენტის მკვლელობა, შიმშილი, ყაჩაღობა, ზამთარში სიცივისაგან კავკავი, გადატრიალებები და სხვა ათასი დოლაბი, რომელიც მის თავზე დატრიალებულა. მაგრამ ადამიანთა მასას ისე აქვს გამჯდარი ბატონყმური სულისკვეთება, რომ მორალური ბორკილების აჟღარუნებასაც ვით ბედავს. ამავე დროს, თავადაც გაიხრწნა, მის ცხოვრებაშიც დამკვიდრდა “პატარ-პატარა” ეშმაკობანი, თავადაც გაერია სიბინძურის მარაქაში, რაშიც ერთგვარი წახალისებაც კი მიიღო “დღეცისმარი აზნაურთაგან” და მერე...

განა, ეს ყოველივე ქვეყნის დეგენერაციის საპირწონე არ გახლავთ?!

საერთოდ, საქართველო „პრიუტში“ აღზრდილ ყალთაბანდს მაგონებს და თუ დავფიქრდებით და პრობლემას ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ “საბჭოთა პრიუტში” ჩვენი ქვეყანა ყველაზე მეტს “ანცობდა”, “ონავრობდა”, იპარავდა და ეს ყველაფერი გასდიოდა. მას ბევრს პატიობდნენ, მართალია, ხანდახან, ვითარცა კინტოს (იმიტომაც იყო ასე აღზევებული საბჭოთა საქართველოში კინტოს კულტი) კი წამოარტყამდნენ ცხვირ-პირში, სისხლსაც ადენდნენ, მაგრამ ძირეულად არაფერი იცვლებოდა. მერე დაინგრა “საბჭოთა პრიუტი” და უცბად ქუჩაში მარტო, თავისუფალი, მეთვალყურის გარეშე აღმოჩნდა. მართალია, ცოტა დაიბნა, მაგრამ ოინბაზობა მაინც გააგრძელა და ამ ოინბაზობაში ლამის მთელი ქვეყანა გადაბუგა, ხელ-ფეხიც დაიმდუღრა,



მაგრამ იმის მაგივრად, რომ დაფიქრებულიყო, გაეაზრებინა ყოველივე, ხელები დაეკაპიწებინა, პატიოსან, თავაუღებელ შრომას შესდგომოდა, რათა თავისი სახლი, რომელსაც ქართული სახელმწიფოებრიობა ერქვა აეშენებინა — ახალი პატრონის ძებნა დაიწყო, მაგრამ როცა მიუთითეს, რომ საშველი, უპირველეს ყოვლისა, მისგან უნდა წამოსულიყო, გაწყრა, ისევ ძველ პატრონს უნდა მივუბრუნდეთო — აყვირდა - ერის “წითელი თაიგული” მხოლოდ ის გადაგვარჩენს და შეგვიწყალებსო. ამ დროს კი ძველმა პატრონმა მის “გაკულაკებას” მიჰყო ხელი, რაც ტერიტორიათა 20%-ის დაკარგვაში გამოიხატა. დღეს კი, როგორც აღმოჩნდა, მოწინავე “წითელ თაიგულს” ისევ მონატრებია ძველი ბატონის უკანალი და ისიც გახსენებია იქ შემძვრალი როგორ ნებივრობდა და როგორ განცხრომას ეძლეოდა, მაგრამ ერთი კი დაავიწყდა, რომ უკანალმა მოსაქმება იცის და ოდესმე ჩარეცხვა არ ასცდებათ.

დღეს, საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა რეალურად აწევას იწყებს. როგორც დიდი ქართველი მწერალი გროგოლ რობაქიძე ამბობდა — ასეთ დროს ტემპერატურის აყოლა დიდი რისკია. უზაკველობას ბრძანებს დიდი ქართველი მწერალი, რადგანაც ყოველივეს კატალიზატორად ადამიანთა ემოციები გვევლინებიან. ჩვენი დღეცისმარე ნევროზთა შემყურეს, ვრწმუნდები, ამ გარემოცვაში ყველაზე საშიში ინსტინქტთა ანარქიული ტირანიის გაბატონება იქნება. ამ დროს ხდება უარყოფითი ენერგიის კონსოლიდაცია, რომელიც ერთ მთლიან, ზემძლავრ, დამანგრეველ ძალას წარმოშობს. როცა ამას ვამბობ, რა თქმა უნდა, ვერც პირველმთქმელობასა და ვერც მეათასეს დავიკვეხნი, მაგრამ უდაო ფაქტად მეჩვენება, რომ მდუღარე ემოციებზე აფოფრებულ ენერგიას ვერ მოსთხოვ ვერც სიდინჯეს და მით უმეტეს, ვერც სიბრძნეს. ხოლო სიბრძნე მოკლებული ქუჩაში გამოჭრილი ფანატიზმით გაჯერებული ენერგია, რომ ბოროტების საშოა, არც აქ ვიქნები პირველი, ვინც ამ საშიშროებას ხაზს უსვამს. როგორმე უნდა შევიგნოთ (რომლის იოტისოდენა იმედიც არა მაქვს), ერი, როცა სამშობლოს ბედისწერას ერთ კაცს უქვემდებარებს, როგორი კეთილშობილური იდეებით შეპყრობილი ზეკაციც არ უნდა იყოს იგი, ცუდი ნიშანია (ასეთ ზეკაცებს ისტორია მრავლად იცნობს, რომელთა მოღვაწეობა აუცილებლად სავალალოდ მთავრდება და შორს რომ არ წავიდე, მაგალითისთვის ჩვენი უკანასკნელი მეოთხედი საუკუნისათვის თვალის გადავლებაც კმარა). ეს მანიშნებელია იმისა, რომ ერი დაცემულა და ბრბოდ ქცეულა. ყოველი ახალი კერპის ძიება სათავეს აძლევს უკიდურეს უზნეობას — სამწუხაროდ, ესეც ძველი აქსიომაა და ნუ გადავიქცევით ისტორიის პროვინციულ ბაქნად. და ბოლოს “სარწმუნოებაზე მოქცეულთ” (ხომ ასე გჯერათ), მორიდებით შევახსენებ ათი მცნებიდან მცნება მეორეს: არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენ არს ცათა შინა ზე, და ქუეყანასა ზედა, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანასა, არა თაყუანი სცე მათ, არც მსახურობდე მათ“.

რისი იმედი უნდა გვქონდეს? მე, პირადად, თავს არ მოვიტყუებ და არაფრის იმედი არ მაქვს. არ მჯერა, რომ შესაძლებელია ძვალსა და რბილში გამჯდარი მენტალობის შეცვლა. მახსენდება ამერიკაში მცხოვრები დიდებული ქალბატონის დოდონა კიზირიას სიტყვები — აგერ უკვე ორმოცი წელია ამერიკაში ვცხოვრობ და ხანდახან თავს ვიჭერ იმაში, რომ ისევ „ჰომოსოვიეტიკი“ ვარ. გენიალობამდე მისული სენტენციააა! ამიტომაც არ მჯერა ხვალინდელი დღის და ისიც კარგად ვიცი, რომ მოსეს ებრაელებისა არ იყოს, კიდევ დიდხანს მოგვიწევს უდაბნოში ხეტიალი...

**ნოდარ კობერიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Semosavlis wyarod qceuli ganSoreba da marto darCenili colebi da qmrebi

ფულში არ არის ბედნიერება — უთქვამს ოდესღაც ვიღაცას და ცხოვრებაც მრავლად იძლევა ამის მაგალითებს. თავიდან ყველაფერი კარგად ჩანს: ქმარი წავა საზღვარგარეთ, იმუშავებს, ფულს გამოაგზავნის, ცოლი ნივთებს და ავეჯს შეიძენს, შვილებს უზრუნველყოფს... ყველა კმაყოფილია, ერთი შეხედვით. გადის დრო, მიდიხარ ამგვარ ოჯახში და გხვდება დარდის და მარტოობისგან სახეზე დაღდასმული ქალი, რომელიც ფულს კი არა, ქმარს ელოდება. პირველი მოდის, მეორე — არა, რადგან იქ უკვე სხვისი მეორენახევარია და ირწმუნება, რომ ასეა საჭირო, ამას ცოლ-შვილის გულისთვის აკეთებს. ამასობაში აქ დარჩენილი ცოლის ახალგაზრდული წლები მიდის, ცხოვრება ფულის დაგროვებასა და შვილებზე ზრუნვაში გადის და რაც ფულზე არანაკლებ სჭირდება, მამაკაცის გვერდით ყოფნა და სიყვარული აღარ არსებობს.

**მაკა:** „20 წლისა გავთხოვდი, გავიპარეთ მე და ჩემი ქმარი, გვიყვარდა ერთმანეთი, წელიწადნახევრის შემდეგ ქალიშვილი შეგვეძინა. ოჯახში ეკონომიური თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობა შეგვექნა, რადგან სამუშაო დაკარგა, დროებით, თუ წაიმუშავებდა სადმე. მისი ყველა მეგობარი საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ამასაც გული და თვალი იქით ჰქონდა, მუშაობენ იქ და ჩემთვისაც რაიმეს იპოვნიანო. გაუმართლა იმედები. დაურეკეს, წამოდი, შენთვის სამუშაო გამოჩნდაო. აქ რაღა გააჩერებდა, გაემგზავრა, თითქმის ორი წელი დაჰყო იქ. მე დავრჩი სახლში დედამთილ-მამამთილთან ერთად. ჩვენი გოგონა პატარა იყო, მეხმარებოდნენ მის გაზრდაში და დრო მალე გავიდა. ორი წლის მერე დაბრუნდა. მაშინვე თქვა, ერთი წლით ჩამოვედი და მერე ისევ წავალ, მომავალში ისე გავაკეთებ, რომ თქვენც წაგიყვანოთო, გამიხარდა, რა თქმა უნდა, ჩემს ქმართან ერთად სად არ წავიდოდი.

ერთი წელი იყო აქ. ისევ დავრჩი ორსულად, ბიჭი შეგვეძინა, ერთი თვისა იყო, რომ მეუღლე ისევ წავიდა საზღვარგარეთ. გადიოდა დრო, ველოდი, რომ ერთხელაც დარეკავდა და მეტყოდა: „მაკა, მოემზადე ჩემთან ჩამოსასვლელად!“ ნურას უკაცრავად, რეკავდა, მაგრამ მოკითხვებს არ სცილდებოდა მისი საუბარი. თან უკვე გაუცხოების მაგვარს ვგრძნობდი მის ხმაში. თითქოს ცოლს კი არა, შორეულ ნათესავს ურეკავდა, რომელსაც მიტოვებული სახლ-კარი ჩააბარა. მერე რეკვებიც გაიშვიათდა და ბოლოს წელიწადნახევრის პაუზა რომ გააკეთა, გავიგეთ, დაჭერილი ყოფილა რაღაც წვრილმან ხულიგნობაზე.

„მთავარია, რომ ცოცხალია“, — ვფიქრობდი. გაიარა ვადამ. გამოვიდა, ისევ ისე გაგრძელდა ყველაფერი. მეგობრებმა კი დააწყებინეს ისევ მუშაობა, მაგრამ მე რა, მაინც უცხო დავრჩი. ისევ გადიოდა თვეები და გავიგე, როგორც იქნა, რომ ცოლი ჰყავს და მოქალაქეობა მიიღო, იქაური ცხოვრებით ცხოვრობს. ადამიანი ბევრ რამეს ეგუება, მაგრამ ძალიან გამიჭირდა, მე ხომ სიყვარულით გავთხოვდი. როგორც ჩანს, შევცდი, არ უნდა გამეშვა, ან ერთად უნდა წავსულიყავით. რატომ მეგონა, რომ იქ ჩემს ნატვრაში იქნებოდა დღე და ღამე? ბავშვები იზრდებიან, სანათესაო გვერდით მიდგას, მაგრამ მე მარტოხელა გათხოვილი ქალი მქვია. ეს ისეთი საშინელებაა, ვერ წარმოიდგენთ. ასე გაივლის ახალგაზრდობისა და ქალობის წლები, ალბათ, როცა დაბერდება, მაშინ მაინც ჩამოვა და სიბერეს ქმართან ერთად გავატარებ“.

**მარინა:** „მე და ჩემი მეუღლე რომ დავქორწინდით, 19-20 წლისანი ვიყავით, სამი შვილი გვყავს, როდესაც ქვეყანა აირია, ისეთი გაჭირვების დღეები გამოვიარეთ, ხანდახან უბრალო სალათაც კი გვენატრებოდა. ჩემი მეუღლე მშრომელი, დაუზარელი ადამიანია, მაგრამ ხშირად უმუშევრად იჯდა. დაქცეულიყო ყველაფერი და რა უნდა ექნა. ამასთან ძალიან მშვიდი კანონმორჩილი ადამიანია, ვერ იყაჩაღებდა და ვერც ითაღლითებდა.

ერთ მშვენიერ დღეს შეიცვალა ყველაფერი, პეტერბურგში მიიწვის სამუშაოდ. მეცხრე ცაზე ვიყავი სი-



ხარულისგან, გადავრჩით-მეთქი. ჰოდა, გაემგზავრა სატახტო ქალაქში. იქ რესტორანში მოეწყო სამუშაოდ და მალევე დაიწყო ფულის გამოგზავნა. ცოტა ამოვისუნთქეთ. გადიოდა წლები და როცა სიღარიბისგან და შიმშილისგან გადარჩენის ეიფორია ჩაცხრა, სხვა რამეზე დავიწყე ფიქრი. მეუღლე მენატრებოდა. არ იფიქროთ, რომ ეს გრძნობა თავიდანვე არ მქონდა, მაგრამ შემოსავლის წყაროს გაჩენის სიხარულმა გადაფარა, ხნიერი ქალი კი არ ვარ, ქმრისგან ყურადღება და სითბოც მინდოდა. დავდექი სამწუხარო რეალობის წინაშე: როცა რეკავდა, ვატყობდი, როგორც მონატრებულ ცოლს კი არა, არამედ როგორც ოჯახის ეკონომს, ისე მელაპარაკებოდა. ყვებოდა თავის წარმატებებზე, იმაზე, რომ პერსპექტივაც აქვს, მაგრამ არც აქ ჩამოსვლაზე ამბობდა რაიმეს და არც სიტყვას ძრავდა ჩემს წაყვანაზე.

გადიოდა წლები. შვილები წამოიზარდნენ. ორი ბიჭი გვყავს და ერთი ქალიშვილი. უფროსმა ბიჭმა ცოლი მოიყვანა, ქალიშვილი დაოჯახდა. მე მარტო დავრჩი, მარტო, როგორც ქალი. 36 წლისაც არ ვიყავი, მეუღლე რომ წავიდა, ეს ის ასაკია, როცა ადამიანი თავის სიცოცხლის ზაფხულის პერიოდს გადის და ცხოვრებით დატკბობა უნდა. მე კი, არიქა, სამუშაო იშოვნაო და არც კი დავფიქრდი, ისე გავუშვი. აზრდაც არ მომსვლია, გავყოლოდი. სიდუხჭირე აბრმავებს ადამიანს. ნეტავი, აქ მეეზოვედ ემუშავა და გვერდით მყოლოდა. ჭირს და ლხინს ერთად გადავიტანდით. მოგეხსენე-



ბათ, რუსეთის ქალაქები სავსეა ჩვენებით. ჩემამდე მოვიდა ამბავი, რომ სადაც მუშაობს, იმ რესტორნის მეპატრონე ქალის საყვარელია და ერთად განაგებენ ბიზნესს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა ჩემთვის ამისი გაგება, მაგრამ ახლა რა უფლება მაქვს რაიმე ვთქვა. ის მე არ ვიყავი, სიხარულით რომ ვხტოდი, როცა პეტერბურგში მიდიოდა?!

ალბათ ოდესმე ჩამოვა, შვილების გულისთვის მაინც ხომ უნდა ჩამოვიდეს, მაგრამ ჩემი სახით თანამეცხედრე კი არა, სახლ-კარის დარაჯი დახვდება, რომელმაც ძილის წინ ლოგინში სათბურა უნდა ჩაუდოს, რათა ბებერი ძვლები არ გაუცივდეს. ყველა ქალმა უნდა გაითვალისწინოს ჩემი და ჩემნაირების მაგალითი. ან მეუღლესთან ერთად უნდა წახვიდეთ საზღვარგარეთ, ან შეეგუეთ, რომ მარტოხელა რჩებით გათხოვილი ქალის სტატუსით, არ დაგაბრმავოთ გაჭირვებამ“.

მსგავს თავგადასავლებს არც მამაკაცები არიან მოკლებულნი. 20 წლის ცოლ-ქმრული სტაჟის მქონე ოჯახი დაინგრა ქალის მიზეზით და ასეთი მაგალითები უამრავია.

„ამერიკაში, ნიუ-იორკში გაემგზავრა ჩემი ცოლი სამუშაოდ. მომვლელის ადგილს შეჰპირდნენ. როგორც მერე გაირკვა, ეს მოსავლელი ქვრივი კაცი ყოფილა. მარტოხელა კაცისთვის კარგი დიასახლისის გვერდით ყოლა მოგეხსენებათ, რამდენ რამეს ნიშნავს. თან ჩემმა ცოლმა ცოტათი იცოდა ინგლისური ენა, თვეების განმავლობაში სწავლობდა, სანამ წავიდოდა. ჰოდა, შენა ხარ ჩემი ბატონი, ამ ამერიკელმა რომ ნახა ამის დიასახლისობა, ყაირათიანობა, მონა-მოსამსახურიდან ცოლობამდე დაწინაურება მოუნდომა, არც ამას უთქვამს უარი. შეეჩვია იქაურ ცხოვრებას. შემომითვალა, ასე ჯობს ჩვენთვის, მოვაწერ ამასთან ხელს, ფულს სისტემატიურად გამოვგზავნი, შვილებისთვისაც დიდი შეღავათი იქნება, შენც მიხედე შენს თავსო. ჩამოვიდა, გააწერა ჩემთან ხელი და წავიდა იმასთან ერთად. ერთი შეხედვით უცნაურია ჩემი პასიურობა და ურეაქციობა, მაგრამ ცოლს რომ საზღვარგარეთ გაუშვებ შემომტანად, აღარაფერი გეთქმის. შვილები მაქცევენ ყურადღებას, დიდები არიან, თავიანთი ოჯახები აქვთ. დედა იქიდან ეხმარება, გამოადგა ქმარი, არ ძუნწობს, მე კი დავრჩი მარტო კაცი; ალბათ, ღირსები ვართ მე და ჩემნაირები“.

... ესეც ჩვენი ოჯახური სიმტკიცე და ტრადიციები, თბილი ცხოვრების ხათრით ადამიანი ადვილად ივიწყებს სამშობლოს და საკუთარ ოჯახსაც კი.

**თამუნა ქადაგიძე**

## მე-20 საყოველთაო ნათლობისთვის რეგისტრაცია 500-ზე მეტმა მსურველმა გაიარა

ჩვილთა რიგით მე-20 საყოველთაო ნათლობისთვის რეგისტრაცია უკვე 500–ზე მეტმა მსურველმა გაიარა.

როგორც „მედიანიუსს“ ფონდ “ლაზარედან” აცნობეს, ნათლობის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით კვლავ უცნობია.



„ნათლობის ზუსტ თარიღს პატრიარქი წყვეტს. როდის გახდება ცნობილი მისი გადაწყვეტილება ჯერ არ ვიცით, თუმცა ნათლობა სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს გაიმართება“, — აცხადებენ „ლაზარეში“

ნათლობის მსურველების რეგისტრაცია კვლავაც გრძელდება. შვილის მონათვლის მსურველებმა უნდა წარადგინონ ჯვრისწერისა და ქორწინების, ასევე უფროსი შვილების დაბადებისა და ნათლობის მოწმობები. სასურველია, ასევე საოჯახო და მოსანათლი ბავშვის ფოტოების წარდგენაც როგორც დაბეჭდილი სახით, ისე დისკზე ჩაწერილი.

ცნობისთვის: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს დღეისთვის 9683 ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილ ოჯახებში დაბადებული მესამე და მომდევნო შვილები არიან.

## საქართველოში პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელი უკრაინის მოქალაქე პატიმრობაშია

ადვოკატი მანანა კობახიძე თბილისის საქალაქო სასამართლოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი ანტონ ბასანკოს საქმის გამო ევროკონვენციის დარღვევაში ადანაშაულებს.

კობახიძის ცნობით, უკრაინის მოქალაქე ანტონ ბასანკო ქართველმა სამართალდამცავებმა 28 სექტემბერს დააკავეს.

როგორც ადვოკატი განმარტავს, ბასანკოს დაკავებიდან 40 დღეზე მეტი გავიდა და ჯერ ისევ პატიმრობაშია. კანონმდებლობით კი, 40-დღიანი პატიმრობის შემდეგ დაკავებული სასამართლომ ან უნდა გაათავისუფლოს, ან აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო შეუფარდოს.

„მოსამართლე ნინო ელეიშვილმა აღნიშნული წესი არ გაითვალისწინა, რითიც ევროკონვენცია დაარღვია. რა თქმა



უნდა, ამ საკითხს ასე არ დავტოვებთ და საქმეს ევროსასამართლოში გავასაჩივრებთ. განჩინების გასაჩივრების ვადა გუშინ ამოიწურა, თუმცა განჩინება ბასანკოს მისთვის გასაგებ რუსულ ენაზე დღესაც არ ჩაბარებია, რაც ასევე კანონდარღვევაა“, — აღნიშნავს მანანა კობახიძე.

ბასანკო უკრაინული სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილად იყო გამოცხადებული, მას საბიუჯეტო თანხების მითვისებაში ედება ბრალი.

მანანა კობახიძის განცხადებით მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკრაინაში პოლიტიკური მოტივით იდევნება, რადგან იულია ტიმოშენკოს თანაგუნდელი იყო. სწორედ ამიტომ მან საქართველოს პრეზიდენტს დაკავების შემდეგ 25 ოქტომბერს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა.

## galaktion tabiZis premiis axali laureatebi



გალაკტიონ ტაბიძის 120 წელთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირმა ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია მიანიჭა პოეტებს: **ვახტანგ ხარჩილავას** და **ბათუ დანელიას**.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

# me da Cemi `sqamerebi~

თითქმის ერთი წლის წინ, 23 ნოემბერს ჩემს იმეილზე შეტყობინება დამხვდა ტოგოს რესპუბლიკის დედაქალაქის ლომეს ერთ-ერთი ბანკის საბანკო ოფიცერი მისტერ **Mohamed Sedu**-სგან გამოგზავნილი. მან გამომიგზავნა 2007 წელს სან-პაულუში მომხდარი ავიაკატასტროფის ამსახველი ფოტომასალა სტატიებითურთ, რომელიც „ვაშინგტონ პოსტშიც“ იყო გამოქვეყნებული და შემატყობინა, რომ წელიწადნახევარი ეძებდა ამ ავიაკატასტროფის დროს დაღუპული დანიელ ჯო ჭელიძის უახლოეს მემკვიდრეს და ვერ მიაგნო. საქმე ეხებოდა მათ ბანკში მიბარებულ 5,5 მილიონ ევროს გარდაცვლილი დანიელ ჯო ჭელიძის მიერ, რომელიც აშშ-ის მოქალაქე იყო და ვინაიდან ვადა იწურებოდა, სახელმწიფოს რჩებოდა ეს თანხა.

ინტერნეტში ვნახე და ყველანაირად დადასტურდა (ფოტოებით და სტატიებით) რომ 2007 წლის 17 ივნისს მართლა მოხდა ხსენებული ავიაკატასტროფა, თვითფრინავმა ასაფრენ ზოლზე აკრეფილი სიჩქარიდან სიმაღლე ვეღარ ასწია და ავიასაწვავით გაძეძგილ ცისტერნების საცავს შეასკდა. ინტერნეტიდან ამოვიღე 176 გარდაცვლილი მგზავრის და ეკიპაჟის სრული სია. გარდაცვლილთა შორის ჭელიძე დანიელი ვერ ვნახე. მისტერ მოჰამედს მივწერე იმეილი, რომ გარდაცვლილთა შორის ბაბუაჩემი არ არის. მან მიპასუხა, რომ ბაბუაჩემი თვითმფრინავში კი არ იმყოფებოდა, არამედ იმ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც ცისტერნები იდგა და აფეთქების სიძლიერის გამო მისგან არაფერი დარჩა. იდევ დადასტურდა, რომ ამ აფეთქების დროს უკვალოდ გაქრა საცავის ტერიტორიაზე მომუშავე ხუთი კაცი ისე, რომ მათი ნაწილებიც ვერ იპოვეს.

მისტერ მოჰამედი არც ანგარიშის ნომერს მთხოვდა და არც ანგარიშზე რაიმე თანხის შეტანას, პირიქით, არაფერი მინდა თქვენგან პატიოსანი თანამშრომლობის გარდაო, — საგონებელში ჩამაგდო, რა სახის აფიორასთან მქონდა საქმე, ვერაფრით გასწვდა ჩემი ტვინი.

გასაგებია, „სქამერებს“, ინტერნეტ-დამნაშავეებს „ეფ ბი აი“ ეძებს და მათი ერთი ბანდა აიყვანეს კიდეც, მაგრამ „ჩემი მუჰამედი“ არაფრით ჯდებოდა „სქამერის“ ჩარჩოებში. მისტერ მოჰამედის შემოწმება გადავწყვიტე და ლომეში დავრეკე, — მიპასუხა ე.ი მისი ტელეფონი ნამდვილია.

ამხელა გამოძიება ჩავატარე და გადავწყვიტე ბოლომდე მივყოლოდი. ყველა წერილს ვაკოპირებდი, მეთქი, ეშმაკს არ სძინავს, რამე შარში არ გამხვიოს-მეთქი. ახლა რა ვქნა-თქო, — ვკითხე. ტოგოს საფინანსო დეპარტამენტის სახელზე პრეტენზია გააგზავნე რომ მემკვიდრე ხარ, მე კი მანამდე განვაცხადებ, რომ მემკვიდრე ვიპოვეო.

თვითონ გამომიგზავნა ინგლისურად დაწერილი რაღაც წერილი და უკანვე გამომიგზავნეო. წერილი თბილისში ვათარგმნინე სასწრაფოდ — ნამდვილად პრეტენზიას გამოვთქვამდი ვიღაც ჩემი მოგვარის 5,5 მილიონ ევროზე. დამცეცხლა, მე „სქამერების“ სქემის გაშიფრვა მივინდომე და ვაითუ, შარში გავეხვე-მეთქი.



მისტერ მოჰამედმა „დამაფიცა“, (თუ „გადამაგდებ“ განვაცხადებ რომ შემშლია, არ ხარ გარდაცვლილის ნათესავიო) არ გადამაგდო გასამრჯელოს დრო რომ დადგებაო და გამაფრთხილა, როგორც კი ტოგოს საფინანსო დეპარტამენტიდან რაიმე შეტყობინება მოგივა, სასწრაფოდ გადმომიგზავნე, რომ როგორც მემკვიდრის მპოვნელმა უფლებამოსილმა საბანკო ოფიცერმა თქვენი პრეტენზია წარვადგინო სადაც საჭიროაო.

იმეილზე ამჯერად წერილი მომივიდა აფრიკის რაღაც დეპარტამენტის პასუხისმგებელი მდივნის რებეკა ოდეტისგან, რომ ჩემი პრეტენზია მიიღეს, განიხილავენ უმოკლეს დროში და დამიკავშირდებიან, — მე გამოძიებას ვაწარმოებდი ჩემი აზრით და შიშით გული გამეპარა, მეგონა მართლა ვიღაცას რაღაცას ვპარავდი.

**HUMAN RESOURCES DEPARTMENT**-იდან მომივიდა წერილი და კითხვარი, თუ ამ კითხვებზე სწორად უპასუხებთ და თქვენი მხრიდან დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდით გარდაცვლილი დანიელ ჯო ჭელიძის შესახებ, თქვენს სასარგებლოდ იმეტყველებს და უფრო სწრაფად დაკმაყოფილდება თქვენი პრეტენზიაო.

იმდენად ჩავერთე ძიებაში, რომელიც ცნობისმოყვარეობანაზავი ჟურნალისტობა იყო, ერთი სული მქონდა წამეკითხა კითხვები, რაზეც, წინასწარ ვიცოდი, ვერასდროს ვუპასუხებდი. აი, რამდენიმე მათგანი: ა) მიუთითეთ გარდაცვლილი კლიენტის ვინაობა ბ) მიუთითეთ მისი ეროვნება გ) მიუთითეთ მისი პროფესია დ) მოკლედ მიუთითეთ გარდაცვალების თარიღი, ადგილი და მიზეზი ე) რა დატოვა გარდაცვლილმა ჩვენს ბანკში. თუ ფული — რა ოდენობის და ანგარიშის ნომერი ვ) ჰყავდა თუ არა ოჯახი გარდაცვლილს. თუ ჰყავდა, მიუთითეთ მეუღლის ვინაობა და შვილების რაოდენობა ზ) იყო თუ არა გარდაცვლილი მუდმივად მცხოვრები ტოგოს რესპუბლიკაში? თუ კი, მიუთითეთ მუდმივი მისამართი.

ჩემს შესახებ უნდა მიმეწოდებინა: დაბადების თარიღი, მისამართი, პროფესია და ოჯახური მდგომარეობა. მხოლოდ პროფესია დავმალე, ვიფიქრე, დაფრთხება-მეთქი.

აი, ამ მომენტში ჩავრთე ჩემი „ბანკირი“ საახლობლო და გადმოვალაგე მთელი მიწერ-მოწერა, გამაგებინეთ, რა სახის აფიორასთან მაქვს საქმე-თქო. გადაასკდათ ხვითქი შუბლზე, ბოლოს გაასავსავეს ხელები: — ოფშორული ზონაა, გასაგებია, მაგრამ ათასნაირი აფერისტობის შემსწრე ვართ, ათასი რამ გაგვიგია, გვინახია და ვიცით, მაგრამ ასეთი არაფერი გაგვიგიაო. ორი ვარიანტია, ან „ჩერეზ პიტი მინუტ“ მილიონერი ხარ, ან მანიაკია და ერთობა, მაგრამ მაინც არ გვესმის, თუ მანიაკია, ხომ ვერ ხედავს შენს რეაქციებს და რანაირად უნდა მიიღოს სიამოვნება, ან თუ ეს გიჟია, მეორე თავისნაირი, რებეკა ოდეტი სად ნახაო? — საგიჟეთში, და უხარიათ, ჰგონიათ, ჩემი სახით მესამე გიჟი იპოვეს, — გამეცინა მე.

— გაყევი ბოლომდე, შენგან რა მიდის, ამაზე კაი მასალა რა გინდა, თან გაერთობი, თან შურს იძიებ, იქით არ მოეშვა, სანამ შენ არ მოგწყინდება, — უშურველად დამარიგა ბანკის ღვაწლმოსილმა მუშაკმა, თუმცა მთლად დარწმუნებული, არ კი არა, ვერ იყო მოჰამედის აფერისტობაში.

გადავუგზავნე მოჰამედს დეპარტამენტის გამოგზავნილი კითხვები. მეორე დღესვე მომივიდა კითხვებზე პასუხები და დამატებითი ინფორმაციებიც, ცოლშვილის დაბადების თარიღები, მათი აღმსარებლობა და ა.შ. მოჰამედი დიდ მადლობას მიხდიდა, კეთილსინდისიერი ქცევისთვის და იმედს გამოთქვამდა, რომ საახალწლოდ ბედნიერები შევხვდებოდით ოჯახებში, თან დასძინა, რომ კითხვები მისი მითითებით იქნა შედგენილი, რადგან მას ჰქონდა დაღუპული ჭელიძის ოჯახის ყველა მონაცემი.

კარგად რომ გავეცანი მუჰამედის გადმოგზავნილ შეთხზულ ბიოგრაფიულ მონაცემებს, რამდენიმე შეკითხვა დავუსვი და დამეკარგა „ჩემი მუჰამედი“.

ინტერნეტი გადავატრიალე აფიორის არსის ძიებაში და რომელიღაც რუსულ საიტზე ყმაწვილის განთავსებულ წერილს გადავაწყდი, ქილიკობდა, იმდენი ფული მაქვს სად წავიღო არ ვიცი, ვიღაც მისტერ მოჰამედმა გარდაცვლილი წინაპარი მაპოვნინაო და ჩემთან გამოგზავნილი წერილის ასლი იდო, იმ განსხვავებით, რომ მასთან 21 ნოემბერს იყო გაგზავნილი წერილი და ამჯერად, დანიელ ჯო ჭელიძის ნაცვლად, დაღუპულ დანიელ ჯო უგოს დარჩენოდა 5,5 მილიონი ევრო ლომეს ბანკში...

იმ ხუთი აფეთქებული და უკვალოდ გამქრალი მოსამსახურე პერსონალიდან სან-პაულუს აეროპორტში, ორს დანიელ ჯო ერქვა, ერთი ჭელიძე იყო გვარად და მეორე უგო? რაღაცას ხომ არ ნიშნავს დანიელ ჯო, რატომ მეორდება? — გამიჩნდა კითხვა, მაგრამ ვინ მიპასუხებდა.

რა ახალი ხერხი შეიმუშავეს „სქამერებმა“, ამას ბანკის თანამშრომლები ვერ მიხვდნენ და მე რას გავუგებდი, — დეპარტამენტს არაფერი გადავუგზავნე...

ნაახალწლევს ისევ შევეხმიანე მისტერ მოჰამედს, სად დაიკარგე-თქო. მეგობარს ინფარქტმა დაარტყა და თავზე ვედექიო, მაგრამ აღარ გადამეკიდა 5,5 მილიონი ევრო სახელმწიფოს დარჩესო? რადგან საბანკო საქმეების მცოდნეთაგან ვერავინ ვერაფერი გაიგო ამ უცნაური სქემისა, თავი დავანებე და მეც აღარ გამოვედევნე.

აპრილში ამჯერად ლონდონიდან მომივიდა შეტყობინება, თომას სმიტი მწერდა, რომ 2 მილიონი აშშ დოლარის მფლობელი ვარ. როგორც კი ტექსტი წავიკითხე, ლაი-ლაი აღარ გავუბი, ისე მოვისროლე; შემდეგ მისტერ **Johnson Lee** დამიკავშირდა, 17 მილიონი აშშ დოლარის გამო; შემდეგ ალექს კოჰანმა მომწერა იმეილი, ადვოკატი ვარ, ჩემს გარდაცვლილ კლიენტს, რომელიც თქვენი მოგვარეა და მემკვიდრე არ ჰყავს, ანგარიშზე 13 500 000 დოლარი დარჩა და არიქა, გიპოვეო.

მისტერ მოჰამედი, „სქამერებს“ შორის უახლესი მეთოდით „მომუშავე“ აგერ მყავს, მისტერ სმიტი, ტონი გორდონი, ალექს კოჰანი, ფრედ აგაზა და ჯონსონ ლი მინდაღა?

როგორც ვიცი, აშშ-ში შეიქმნა ინტერნეტ-დანაშაულთა ცენტრი, რომელიც აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და პარალელურად გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან თანამშრომლობს. სხვისი არ ვიცი, მაგრამ კონკრეტულად მოჰამედთან სატელეფონო საუბარი მქონდა. რა სახელითაც უნდა მოქმედებდეს, პირადად ვესაუბრე ერთ-ერთ ახალი სქემით მომუშავე „სქამერს“ და თუ აშშ-ის საელჩო დაინტერესდება, ჩემს ხელთ არსებული ყველა მონაცემს გადავცემ, მითუმეტეს, რომ მე შემიძლია ტელეფონზეც ვესაუბრო



„სქამერს“ და სადამდეც საქმე მოითხოვს, იქამდე მივყვე. (ტელეფონის ნომერი გადამოწმებული მაქვს, ნამდვილად ტოგოს რესპუბლიკაში მაქვს დარეკილი ორჯერ და ორივეჯერ ვესაუბრე „მოჰამედს“)

როგორც ჩემი კოლეგის საგაზეთო წერილიდან გავიგე, საქართველოს მოქალაქე ეკა ლემონჯავამ, რომელსაც რიჩმონდ ჯორჯ მილერის სახელით „ესკაიპებოდნენ“ და 1 700 000 მლნ აშშ დოლარზე იყო საუბარი, უკვე მიმართა აშშ-ის საელჩოს და მის მიერ მოძიებული ინფორმაციებისა და „სქამერების“ შესახებ აცნობა. საელჩოს წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ უახლოეს დღეებში დაუკავშირდებიან.

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Cadriani saqarTvelo

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ჟურნალისტი* ***ამირან კილურაძე.***

**— ბატონო ამირან, რაღაც უჩვეულო შევნიშნე ბათუმში — თავსაფრიანი მუსულმანი ქალების სიმრავლე.**

— ბათუმში უამრავი თურქული ოჯახი ჩამოსახლდა. ძველი ბათუმის ერთ-ერთ უბანს ქუთაისის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას „ტრაპზონი“ შეარქვეს. წლების განმავლობაში თურქები აჭარაში სავაჭრო ცენტრებს ხსნიდნენ, ბიზნესს აწარმოებდნენ, ახლა გადმოსახლებაც დაიწყეს. უპრობლემოდ იღებენ ორმაგ მოქალაქეობას, თუმცა ამის გარეშეც ახერხებენ და უძრავ ქონებას იძენენ. სალოცავებიც აქვთ და ბიზნესიც, თავს მშვენივრად გრძნობენ.

**— ბატონო ამირან, თქვენ ბევრჯერ განაცხადეთ, რომ აჭარაში, ფრიად მიუღებელ, გამუსლიმანების პროცესებს ამჩნევთ. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— გამალებული გამუსულმანება შეინიშნება აჭარაში უკვე კარგა ხანია და ამას ვერ ეწინააღმდეგება ეკლესია, რადგან საპატრიარქო სახელმწიფოს წინააღმდეგ არ გამოდის. ყველაფერი ხელისუფლების წაყრუებით ხდება. „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მონაპოვარი ხომ რელიგიური თანასწორობის პოლიტიკაც არის, ვისაც უნდა მედრესეს ააშენებს, ვისაც უნდა ჯამეს. ყველაფერი მართლმადიდებლურ ეკლესიაზე შეტევით დაიწყო და ამით ხელ-ფეხი გაეხსნა ყველას. საქართველოში ნახევარი მილიონი მუსულმანი ცხოვრობს თბილისში, რუსთავში, თბილისის გარშემო აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში, პანკისში. ყველაზე მეტად მაღელვებს თურქეთში სასწავლებლად გაგზავნილ ქართველი გოგო-ბიჭების ბედი. პირველი ჯგუფი მაშინ გაიგზავნა, როცა აჭარის მუფტი ბეჟან ბოლქვაძე ლევან ვარშალომიძის მრჩეველი იყო. „კანდიდატურებს მუსულმანობისკენ მიდრეკილი ოჯახებიდან არჩევდნენ არა მარტოააჭარის მთიანეთიდან, არამედ კახეთში, გურიაში, ახალციხე-ახალქალაქში ჩასახლებული აჭარლებიდან. შიგადაშიგ ქრისტიანებიც ურევიათ. ასაკით 17-19 წლის, უმეტესად ბიჭები. სასულიერო განათლების გარდა ისინი სხვადასხვა პროფესიებსაც ეუფლებიან. სწავლის დამთავრების შემდეგ გოგონებს, იქ გათხოვების შემთხვევაში, მზითვად გადაეცემათ საქართველოს ტერიტორიაზე მშობლების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც თავისთავად მისი თურქი მეუღლის საკუთრება ხდება. ა2010 წლის არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოდან 3000 ქართველი ახალგაზრდაა გასული თურქეთში განათლების მისაღებად. ბათუმსა და აჭარაში მოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც ქველმოქმედებით არიან დაკავებულნი — „სინათლე“, „იმედი“, „მიზანი“, გაჭირვებულ მუსულმანურ ოჯახებს არჩევენ, ეკონომიურად ეხმარებიან. შემდეგ სთავაზობენ, შვილების განათლებას თურქეთის პრესტიჟულ სასწავლებლებში. სწორედ ასეთი ფონდები და აჭარის სამუსლიმანო გაერთიანების სამუფტო უწყობს ხელს ახალგაზრდების გაგზავნას თურქეთში. აქ კი შენობა-ნაგებობებს ყიდულობენ და მუსლიმანურ საგანმანათლებლო ობიექტებს ხსნიან. გაიზარდა სეზონური მეჩეთების რაოდენობა შორეულ სოფლებში. განსაკუთრებით ბევრი ბავშვი სწავლობს პანსიონატებში. საგანგაშო ის არის, რომ საქართველოში რამდენიმე თურქულენოვანი სასწავლებელია, თურქების მიერ დაარსებულ საწარმოებში უპირატესობა ეძლევა თურქული ენის მცოდნეს და მუსულმანური აღმსარებლობის პიროვნებას. თურქეთში კი, სადაც მილიონობით ეთნიკური ქართველი ცხოვრობს, არც ერთი ქართული სასწავლებელი არ არის, მაშინ, როცა სომხებს რამდენიმე სკოლა აქვთ. პარიტეტს არ იცავს სახელმწიფო. უფრო სამწუხარო ხმებიც გავრცელდა. თურქეთში სასულიერო სასწავლებლებში გაგზავნილ ახალგაზრდებს საქართველოში დაბრუნების შემდეგ სამუშაოს ჰპირდებიან არა მარტო მუსულმანურ სასულიერო სასწავლებლებში არამედ, საქართველოს საჯარო სტრუქტურებში. საშიშროება დიდია. მათი მენტალიტეტი და იდეოლოგია ნამდვილად არ იქნება ქართული. სახელმწიფო სტრუქტურებში მათი დასაქმება კი ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს, ხელქვეითსაც





თავისნაირს მოძებნის, რელიგიური მრწამსითაც და მენტალიტეტითაც. ასახელმწიფო მოხელეები აცხადებენ, რომ კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო რელიგიურ საქმეებში არ ერევა. ნუთუ არ აინტერესებს საქართველოს განათლების და თავდაცვის სამინისტროებს, სად გაქრა 3000 ახალგაზრდა წვევამდელი და აბიტურიენტი. როდემდე უნდა გაგრძელდეს წაყრუების პოლიტიკა, წაყრუება ხომ იგივე დანაშაულია?!

**— ამ თემაზე მუშაობისას თუ გქონდათ რაიმე გამოხმაურება რომელიმე სახელწიფო სტრუქტურიდან?**

— გამოხმაურება არა, მაგრამ პრობლემა კი შემექმნა. ერთ-ერთ გაზეთში სტატიის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ, თურქეთში გადასვლისას, ჩემი მანქანით დაინტერესდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები. სარფის საზღვარზედდიდხანს ჩხრეკდნენ, თითქმის დაშალეს მანქანა. მმივხვდი, რომ თურქეთისთვის არასასურველი პიროვნება გავხდი. სხვა გამოსავალი არ მქონდა, დავემუქრე ტრაპზონში კონსულად მყოფ ჩემს მეგობარს გამოვიძახებ მეთქი და როგორც იქნა თავი დამანებეს.

**— მანამდე არასოდეს გქონიათ პრობლემა თურქეთის მხარესთან?**

— აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობიდან გამათავსიუფლეს, ამის მიზეზი შემდეგი ამბავი გახდა. 1993 წელს ბათუმში აჭარის უმაღლესი საბჭოში მიმიწვიეს ოპერატორთან ერთად სიუჟეტის გადასაღებად. გასაგები იყო, რომ მასალის ნაწილი უნდა გაშუქებულიყო, მთლიანად არა. დახურულ სხდომაზე ვიწრო წრეში საიდუმლო ნახაზები განიხილებოდა. სხდომას გზების დეპარტამენტის დირექტორი ბორის სარალიძე ესწრებოდა. ეეს იყო ბათუმი-ხულო-ახალციხე-ახალქალაქი- სომხეთის გზის მშენებლობის პროექტი, რომლის ინიციატივასაც ასე ჩემულობს დღევანდელი მთავრობა. გეგმის მიხედვით, ეს გზა იტალიის ალპებსა და საბერძნეთის მთებში გამავალ გზებსაც აჯობებდა, მისი ღირებულება 5 მილიარდი დოლარი იყო და ამ თანხას ამერიკის სომხური ლობი იხდიდა. დღესაც პროექტის იგივე ვარიანტ განიხილება.ყველაზე შოკისმომგვრელი კი ის იყო, რომ გონიოში, იქ, სადაც რუსული ჯარი იდგა, უნდა აშენებულიყო ნავსადგური, სომხური ნავსადგური. ეეს გზაც ძირითადად მოემსახურებოდა ტვირთბრუნვას სომხებისთვის. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ რუსული ჯარი ქვეყნიდან აღარ გავიდოდა და საშუალება მიეცემოდა საზღვაო ძალების გარკვეული ნაწილი დაეტოვებინა საქართველოში. გავაკეთე სიუჟეტი, რომელიც ეთერში გავიდა. ტელემაყურებელს ვაჩვენეთ: ნახეთ, როგორ შენდება საქართველო, აჭარა, პარტია „აღორძინების“ დამსახურებაა აჭარის მთიანეთის განვითარება და ასე შემდეგ. სიუჟეტი ასე მთავრდებოდა: გონიოში აშენდება სომხური პორტი და მათი გემები გადასერავენ მსოფლიოს სომხური დროშით, კიჩოზე წარწერით „მიწერის ნავსადგური-გონიო“. ამით ასრულდება სომხების საუკუნოვანი ოცნება და მათ მიეცემათ შავ ზღვაზე პირდაპირი გასასვლელი.

**— დღეს ეს პროექტი აქტუალურია...**

— დრო გადის და გარემოებებიც იცვლება. ორი წლის წინ, აჭარაში ამჟამად გარდაცვლილი სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო სტუმრად, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად დაათვალიერა აჭარის მთიანეთი. ამბობენ, რომ ეს შეხვედრა აჭარის ლამაზი ხედების დასათვალიერებლად არ შემდგარა, რომ საუბრის თემა ბათუმი-ხულო-ახალციხე-ახალქალაქი-სომხეთის გზის მშენებლობა იყო. ჩვენ სულ შეშინებული ბავშვის პოზიციაზე ვართ, რაღაცაზე არ გაგვიბრაზდნენ. გვაღიზიანებს თუ არა დემირელის კასკადის მშენებლობა, ამაზე იფიქრა ვინმემ? ან იმაზე გვჭირდება თუ არა მუსულმანურ სკოლებში განსწავლული და ჩვენი რელიგიური მრწამსის შემავიწროებელი ამდენი გადაგვარებული ქართველი?

**ნათია გოგიტიძე**

# facebook

# xalxis azriT

ცისკარიშვილმა თავის ჭკუით კაი მაგალითი მოიყვანა, ივანიშვილის პერსპექტივაზე ისრაელში. ეგ არ ვიცი, მარა საქართველოს მთავრობა ისრაელის ნორმებით უკვე კარგა ხანი ციხეში იჯდებოდა. მოქმედი პრეზიდენტი სექსსკანდალის გამო დაიჭირეს. ყოფილ პრემიერს ქრთამზე სროკავენ. მიშას დოქტორ დოტთან ერთად გასკვანჩავდენ ალბათ, ცისკარიშვილს მოუნახავდენ მუხლს.

სულ რომ გაიძახით — სამართლებრივი სახელმწიფო გვინდაო, სამართლებრივი სახელმწიფო, პირველ რიგში, დამნაშავეთა დასჯას გულისხმობს, თორემ ასე მიშასთან ვინც გაძლა ახლა მათთგან ბევრს დღესაც უნდა ბიძინასთან გადაბარგება — შეიძლება რურუასაც და მაშინ "ერთობის სურვილით" გულაჩუყებულებმა ისინიც გულში ჩაიხუტეთ.ბოლოს და ბოლოს უნდა დავამკვიდროთ პრაქტიკა, რომ დამნაშავე უნდა ისჯებოდეს, ქონება — კონფისკაციას ექვემდებარებოდეს და აბა, მერე ნახავთ — ამ გარეწრებს თუ მოუნდებათ პოლიტიკაში წასვლა.ესაა სახელმწიფო — კარაქის ქურდობისთვის ბავშვი 10 წლამდე სასჯელს იხდიდეს და ეს ყაჩაღები ხელისუფლებებს ცხვირსახოცებივით იცვლიდნენ?!

მე ნამდვილი სასჯელი ციხეში ჩასმა კი არ მგონია, არამედ ის, რომ დაანახო ბურჯანაძეებს,ვაშაძეებს, მერაბიშვილებს, გოგორიშვილებს და ა.შ. თუ რამდენად მომგებიანია მართალი კაცის პოზიცია, რომ ნიჭი სიკეთეს უნდა მოახმარო და არა ბოროტებას, რომ ფულმა არ უნდა დაგაკარგინოს ადამიანობა და არ მოგწყვიტოს რეალობას... რომ მათ "ნაბანდიტარ" ქონებას და სიმდიდრეს მე მართალი კაცის ქოხი მირჩევნია და ნუ მოიწონებენ თავს გარიგებით და ჩამორიგებით მიღებული წინაპართა სისხლით მორწყულ მიწებზე სასახლეები რომ აიშენეს ჩემი და შენი უბედურების ხარჯზე... მაგრამ ვაი, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან ვერცხლისმოყვარეები...

ისევ იგივე სახეები, ტრაფარეტული ფრაზები, შაბლონური ანალიზი... ერთადერთი, რაც ახალი და იმედის მომცემია ბიძინა ივანიშვილის ძველი საქმეები,გულწრფელობა, რომლის სახელსაც გააფთრებული მცდელობის მიუხედავად ტალახი არ ეკარება,სიმართლეს და სამართალს მოწყურებული ხალხიც მის გარშემო დაირაზმა. მაგრამ...მის გარშემო,მის გუნდში არის ხალხი, რომელიც პოლიტიკურად ანგაჟირებულია და ხალხი, რომელიც წლების მანძილზე გრანტის საშუალები არსებობდა და თანაც არც თუ ისე ცუდად.არადა ხალხის დაკვეთა უნდა გამოკვეთოს ვიღაცამ... ხალხის აზრი გაახმოვანოს.

მეორე მხრივ აქ, ფეისბუკზე არის ხალხი, რომელსაც ფართო საზოგადოება არ იცნობს, მაგრამ აქვთ გადასარევი ანალიზის უნარი (ბევრ „ექსპერტზე" გაცილებით უკეთესად),აწუხებთ და ტკივათ ქვეყნის ბედი გულწრფელად და არა ფარისევლურად.აქვთ ხედვაც,პროგრამებიც და ინიციატივებიც,მაგრამ ვერ ახმოვანებენ ელემენტალურად მასმედიის არ ქონის გამო.მოგეხსენებათ, მასმედიას გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე პირების არაფრისმთქმელი,გაცვეთილი ფრაზების კორიანტელი ურჩევნია,ვიდრე უცნობი ადამიანების რაციონალური,საღი ანალიზი თუ ქვეყნის წინ მდგომი პრობლემის გადაჭრის ხედვა.მოკლედ გთავაზობთ აქტუალური თემები გავაანალიზოთ,შევჯერდეთ და ერთობლივად წარვუდგინოთ საზოგადოებას. დამერწმუნეთ თუ საფუძვლიან ანალიზს დავდებთ,მასმედია აქეთ დაგვიწყებს დევნას.ამისთვის მხოლოდ მცირეოდენი კოორდინაცია,თვითორგანიზებულობა დაგვჭირდება. რას იტყვით მეგობრებო??

ივანიშვილმა ადამიანებს შესთავაზა ბევრი ისეთი რამ, რის დანახვასაც ამდენი ხანი ელოდნენ: გულწრფელობა, უანგარობა, პიროვნული ძალა, სისადავე. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ყველაფერი ამის მიღმა დგას ადამიანი, რომელმაც უდიდესი ბიზნეს-იმპერია შექმნა, მაშასადამე აქვს ის რაციონალიზმი, მეთოდურობა და თანამიმდევრულობა, რასაც ასე დანატრებულები იყვნენ.




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

# `ero, guli wagsvlia da gagwyromia suli wminda, gonebaze rom moxvide asialiyuri ginda!~

*სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ პრობლემებზე „კონსილიუმში“ პროფესორი **პაატა კოლუაშვილი** და „თავისუფალი დემოკრატების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი **დავით ონოფრიშვილი** გვესაუბრებიან:*

**პაატა კოლუაშვილი:** საქართველო უძველესი აგრარული კულტურის ქვეყანაა. ქართველები სამიწათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეებთან იდგნენ და მიწათმოქმედება მათთვის არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო. ყოველივე ამან განაპირობა მათი განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები ამ



ქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს და რამაც უზრუნველყო ქართველთა უმთავრესი და ტრადიციული საქმიანობის — სოფლის მეურნეობის გადაქცევა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საძირკველად.

**ნებისმიერ ქვეყანაში სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში** სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი. **მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა. უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი, იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქცია.** ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი. საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვამ (მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებმაც). ეს პროცესი ყველგან სახელმწიფოს აქტიური მაორიენტირებელი, მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა. ანუ: ამ ქვეყნებში ფუნქციობდა ჭეშმარიტი აქტიური სახელმწიფოებრიობა და არა ატროფირებული. აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით.

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სასოფლო მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაციაც და შემდგომი განვითარება. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას, ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი.

ჩვენი ქვეყნისთვის საწარმოო ურთიერთობათა ფორმის არჩევა დიდად მნიშვნელოვანია როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით. საქართველო, მისი ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლებიდან და არჩეული პოლიტიკური გეზიდან გამომდინარე, უდავოდ იმსახურებს განვითარებული ქვეყნების რიგში ყოფნას და მით უფრო სწრაფად შესძლებს ამას, რაც უფრო ინტენსიურად გატარდება დემოკრატიული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები.

**ამ რეფორმებიდან უმნიშვნელოვანესია საქართველოს მრავალდარგოვანი აგრარული სექტორის რეფორმა, რომელიც გადაუდებლად მოითხოვს მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას და მათ ინტეგრაციას გადამმუშავებელ საწარმოებთან, ბაზრებთან კავშირის აღდგენას, სპეციალური აგროსაკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერაციული ტიპის) სისტემის ფორმირებას და განვითარებული საჯარო მომსახურების აგრარული (აგროტექსერვისისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის) სტრუქტურების შექმნას, ასევე — ეფექტური საგადასახადო, სადაზღვევო, ეროვნული ბაზრის დაცვის, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას. შედეგად, კოოპერაციული ფორმების გამოყენებით, ადგილებზე მივიღებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნას, სადაც გლეხკაცი (ფერმერი) დაინტერესებული იქნება ერთობლივი საქმიანობის ყველა საფეხურით, საწარმოო პროცესისა და მომარაგების ყველა დეტალით დაწყებული და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციიდან ამონაგებით დამთავრებული, რადგან პრაქტიკულად, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი შემოსავლების ზრდა და სოციალური პრობლემების მოგვარება. ამასთან უნდა გვხსოვდეს, რომ სოფლად კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება არის დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის გაჩენის ძირითადი გზა.**

საქართველოს დამოუკიდებლობამდე სოფლის მეურნეობის ამოცანები საკავშირო ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ანუ საქართველოს საკავშირო ფონდისთვის ე.წ. სამხრეთული კულტურები უნდა მიეწოდებინა — ხილი, ჩაი, ციტრუსი, თამბაქო, ბოსტნეული, ღვინო. ამან გამოიწვია საქართველოს ტრადიციული დარგობრივი სპეციალიზაციის შეცვლა, ანუ საქართველოს სოფლის მეურნეობა ემსახურებოდა არა ქართველი ხალხის ინტერესებს, არამედ საკავშირო მოთხოვნებს. ჩვენ უარი განვაცხადეთ გვქონოდა ადგილობრივი წარმოების ხორბალი, ხორცი, რძის პროდუქტები და ა.შ. რამაც დიდი ცვლილებები გამოიწვია მოსახლეობის განსახლების თვალსაზრისით. საქართველოს მთა, პრაქტიკულად, დაიცალა, იმიტომ, რომ სამხრეთული კულტურების განვითარება ბარის ზონაში დაიწყო, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ და მხოლოდ 15 პროცენტია. საქართველოს მთიანეთი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის 85 პროცენტს შეადგენს, პრაქტიკულად, ფუნქციის გარეშე დარჩა. 1980-იან წლებამდე მთაში მცხოვრები გლეხკაცის ძროხა და ცხვარი არავის აინტერესებდა. ამ დროს მიხვდნენ, რომ კატასტროფული ვითარება შეგვექმნა და მთის რესურსებს ჩრდილო-კავკასიელები ხმარობდნენ. დღეს ეს ყველაფერი ხელახლა ასათვისებელია. დღეს ჩვენ შესამუშავებელი გვაქვს შიდა კოლონიზაციის პროგრამა, ანუ შიდა განსახლების პროგრამა, რათა ამ ზონებში მოსახლეობის გადანაწილება მოვახდინოთ. საქართველოს მთას ისტორიული სამი ფუნქციიდან ორი მაინც უნდა აღუდგეს — აგრარული და სასაზღვრო ფუნქცია. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმ სისტემურ გარდაქმნებზე, რაც სოფელშია გასაკეთებელი. საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაცია, რაც დღეს არსებობს — ეს არის 1960-იანი წლების დასაწყისის სოფლის მეურნეობაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საქონლიანობის დონიდან გამომდინარე, რაც არასწორია დღევანდელ პირობებში. დღეს ქართულ სოფელს სტატუსი არ გააჩნია, იგი მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული სახელწოდების ადგილია, სოფელი ვერ განკარგავს იმ მიწას, რომელიც მის ადმინისტრაციულ საზღვარში უნდა შემოდიოდეს. ამას განკარგავს ეკონომიკის სამინისტრო, რომელიც ჰყიდის ამ მიწებს არა ადგილობრივ მოსახლეობაზე, არამედ უცხოელებზე, რაც არასწორია. საკუთარ მოსახლეობას უნდა მივცეთ შანსი მიწის გამოყენების. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, როცა მიიღეს კანონები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებისა ევროკავშირის სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე, თითოეულმა ქვეყანამ 10-15-წლიანი მორატორიუმი გამოაცხადა, რომ ამ პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა მომძლავრდეს და გახდეს ამ მიწის მესაკუთრე. ეს არის ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რაც უნდა ახსოვდეს ყველა მთავრობას. მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს ბედი დამოკიდებულია მისი სოფლის ბედზე. სოფლის ბედი დამოკიდებულია მთავრობის ინტელექტზე, კეთილ ნებაზე, მუყაითობასა და პატიოსნებაზე. ვფიქრობ, ამ პირობათა შექმნის პოტენციალი საქართველოს აქვს. თუმცა საქართველოს მთავრობა არათუ ზრუნავს ქართული სოფლის გადარჩენაზე, არამედ ამ კუთხით საგანგაშო მდგომარეობაა. ფაქტია, რომ დღეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნა ნაკლებია, არსებულ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოში გლეხს არ აქვს იმ დონის შემოსავალი, რომელიც მისი ოჯახის შენახვისა და სამეურნეო საქმიანობის აღწარმოებისთვის საკმარისი იქნება. სწორედ ამიტომაცაა, რომ მთისა თუ ბარის სოფლები ახალგაზრდებისგან იცლება, ყველა დიდ და პატარა სოფელში საშიში დემოგრაფიული პროცესი ვითარდება, რაც, პირველ რიგში, სოფლად მცხოვრებთა შორის ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წონის გაზრდასა და მოზარდთა წილის შემცირებითაა გამოხატული. **კერძოდ, 2004 წლის მონაცემებით სოფელში 16 წლამდე ასაკის მოსახლეობა 21,5 პროცენტს შეადგენდა, 2009 წლისთვის კი მათი რიცხვი 18,2 პროცენტამდე შემცირდა. ამ ფონზე საპირისპირო სურათია შრომისუნარიანზე უფროსი (65 წლის ზევით) ასაკის მოსახლეობის რაოდენობის კუთხით. 2004 წელს მათი რიცხვი 16,3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2009 წელს 17,2 პროცენტი შეადგინა.** აქვე გაძლიერდა ყველა სახის მიგრაცია, რიგი სოფელი ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის გარეშეა დარჩენილი. პირველად ქვეყნის ისტორიაში, ქალაქად შობადობამ სოფლისას გადააჭარბა. მოშლილია სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურა. დღეს სოფელს ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ფუნქცია დაკარგული აქვს. რაც ყველაზე უფრო დამაფიქრებელია, დღემდე სხვის იმედად მყოფი სოფლის მოსახლეობა ვერ ავლენს ბაზრის ელემენტარულ მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. ქართული სოფლისათვის დამახასიათებელი გახდა სიღარიბე, რაც ძალიან ძნელი მოსაშორებელია. აქვე მინდა 2010 წლის ევროპელი ექსპერტების ანგარიში შეგახსენოთ, რომელიც ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკურ-სამოქმედო გეგმის განხორციელებას ეხება. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა საგანგაშოა. მთავრობას აგრარული პოლიტიკის კონცეფცია და სექტორის განვითარების სტრატეგია არ გააჩნია. შარშან საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა ისევ შემცირდა, რასაც ევროკავშირი აგროსექტორის პოლიტიკაში თანმიმდევრობის არარსებობით, ცუდად განვითარებული საჯარო მომსახურებით, კრედიტის შეზღუდული ხელმისაწვდომობით, მოძველებული ტექნიკით, ფერმერებისადმი ხელშეწყობის არა-

# qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~ konsiliums iwvevs




იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რსებობით და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებით ხსნის.

**დავით ონოფრიშვილი:** ბოლო წლებია საქართველოს ეკონომიკა სერიოზულ პრობლემებს განიცდის, რაც ხელისუფლებას ფსევდოლიბერალური პოლიტიკითაა განპირობებული. ხელისუფლების არა აქვს არც პოლიტიკური ნება, არც კვალიფიციური კადრები ქვეყანაში რეალური რეფორმების გატარების. ხელისუფლებამ 2011–2015 წლების 10 პუნქტიანი ეკონომიკური გეგმა წარმოადგინა, რომელიც, პრაქტიკულად, სხვა მათივე პროგრამების ანალოგია, როგორიცაა ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე, 50 დღიანი დასაქმების პროგრამა და ა.შ., რომელთა შესრულება დღემდე არ მომხდარა. ხელისუფლებას არ აქვს ქვეყნის განვითარების ერთიანი სტრატეგია. შესაბამისად, არ არსებობს არც დარგობრივი სტრატეგიები. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა სოფლის მეურნეობის დარგში. ისტორიულად სოფლის მეურნეობას საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი ეკავა. საქართველოს ხელისუფლებისთვის ბოლო წლებია სოფლის მეურნეობა პრიორიტეტს





აღარ წარმოადგენს, რის შედეგადაც საქართველომ სასურსათო დამოუკიდებლობა, პრაქტიკულად დაკარგა. დღეს, საქართველოში მოხმარებული სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის 80% იმპორტირებულია. ეს იმიტომ, რომ ხელისუფლების მიდგომა იყო შემდეგნაირი – **„სოფელს დახმარება არ სჭირდება, რასაც ჩვენ ვერ ვაწარმოებთ უცხოეთიდან შემოვიტანთო“.** შედეგად მივიღეთ ის, რომ სოფლის მეურნეობაში საბიუჯეტო ასიგნებანი ბიუჯეტის 1%–ზე ნაკლები იყო. შესაბამისად, ბოლო წლებში განახევრდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები, თითქმის განახევრებულია კარტოფილის, ლობიოს, სიმინდის, მზესუმზირის, ბოსტნეულის წარმოება. მნიშვნელოვნად შემცირდა საქონლისა და ფრინველის სულადობა. შესაბამისად, თქვენ ხედავთ რა ფასებია ბაზარზე – მათ შორის გაორმაგებულია ხორცის და სხვა პროდუქტების ფასები. სამაგიეროდ, ბაზარზე მასიურად შემოვიდა ჩინური, თურქული, სომხური, ირანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

პრაქტიკულად, სოფლის მეურნეობის დარგი გაჩანაგდა. და ეს მაშინ, როდესაც სტატისტიკურად, სოფლის მეურნეობაში დასქმებულად ითვლება 50%–ზე მეტი ადამიანი. ჩემი აზრით, ეს სტატისტიკური მონაცემი არასწორია, რადგან ხელისუფლება, ყველას, ვისაც კი მცირე ნაკვეთი მიწა აქვს, მათ უკვე დასაქმებულად თვლის, რაც ხშირ შემთხვევაში რეალობას არ შეესაბამება. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგის ნგრევა მიზანმიმართულად, შეგნებულად მიმდინარეობდა. მხოლოდ შარშან, როდესაც პროდუქტზე ფასების ზრდამ პიკს მიაღწია, პრეზიდენტმა და მთავრობამ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობაზე დაიწყეს საუბარი. ითქვა ისიც, თითქის მათი მთავრობა აგრარულია. რეალურად, პრიორიტეტულობის თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა – დაფინანსება თითქმის არ გაზრდილა 2011 წელს. 2012 წლის პროექტში მხოლოდ 30 მილიონიანი ზრდაა ჩადებული, ეს საერთო სურათს ვერ შეცვლის.

შარშან ამ დარგში აქტიურობა მხოლოდ ჰიბრიდული სიმინდის შემოტანით და ამ პროგრამის განხორციელებით გამოიხატა. ყველამ იცის, რომ ეს პროგრამა ჩავარდა. დასავლეთ საქართველოში ჰიბრიდული სიმინდით ვერცერთმა გლეხმა და ფერმერმა ვერ იხეირა. ბევრი მათგანი გაკოტრების პირასაა. „თავისუფალი დემოკრატები“ თავიდანვე ვსაუბრობდით იმაზე, რომ ჰიბრიდული სიმინდის პროგრამის განხორციელება არასწორად მიმდინარეობდა. მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც დავაყენეთ, რადგან მისმა უწყებამ ვერ უზრუნველყო ფერმერებისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ როდის დაეთესათ, მოერწყათ, დაეცვათ აგრო ვადები. ასევე მოვითხოვეთ, რომ მათ სიმინდის სანაცვლოდ კომპენსაცია მიეღოთ, რადგან გლეხებმა სხვადასხვა სახის ხარჯი გაწიეს – შხამქიმიკატების, საწვავის და სხვა სახით. ჩვენი მრავალთვიანი კრიტიკისა და არგუმენტების მოყვანის შედეგად მთავრობამ ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება, რათა ფერმერებმა და გლეხებმა ჰიბრიდული სიმინდის საფასური აღარ გადაიხადონ. ასევე, სოფლის მეურნეობის დარგში არასწორი პოლიტიკის გატარებისთვის გათავისუფლდა მინისტრის დაკავებული თანამდებობიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ახალ მინისტრს არ გააჩნია ამ დარგში მუშაობის არც პროფესიული და არც სხვა სახის გამოცდილება, საეჭვოა მან რაიმე შედეგს მიაღწიოს.

ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება გაიძახის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტიაო, რეალურად, დღემდე არ გააჩნია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, პროგრამა ან გეგმა. აბსოლუტურად გაუგებარია რა მიმართულებით აპირებენ ამ დარგის განვითარებას.

**პაატა კოღუაშვილი:** აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მდგომარეობის გაუარესება 2005-2006 წლებიდან დაიწყო. დაუმუშავებლად დატოვებულმა მიწებმა სახნავი ფართობების 50-60 პროცენტს გადააჭარბა, შემცირდა მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების გამოყენება. სოფლად ერთი შინამეურნეობის მთლიანმა საშუალო თვიურმა შემოსავალმა 330 ლარი შეადგინა, რაც ნაკლებია ამავე პერიოდში გაწეულ ხარჯებზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული ფულადი ამონაგები მთლიანი შემოსავლების 7-8 პროცენტამდე დაეცა, ანუ ერთ გლეხ კაცზე შემოსავალი 27-28 ლარია.

საგანგაშო ვითარებაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის კუთხითაც. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (ფაო) მონაცემებით მოსახლების სურსათით უზრუნველყოფის მიხედვით შვიდ ჯგუფად დაყოფილ განვითარებად ქვეყნებს შორის საქართველომ მეხუთედან მეექვსე ჯგუფში გადაინაცვლა აფრიკის ღარიბი ქვეყნების გვერდით, მაშინ როცა ქვეყანას 10-12 მლნ ადამიანის გამოკვების ბიორესურსი გააჩნია, თუმცა რეალურად 3,5 მილიონის გამოკვებასაც ვერ ახერხებს.

**საქართველო სურსათზე მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს იმპორტის (80 პროცენტი) ხარჯზე იკმაყოფილებს. საგანგაშო, ჩემი აზრით, უფრო ისაა, რომ სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი კრიტიკულ ზღვრამდე მიჩნეულ ნიშნულზე – 0,5 ბევრად ქვემოთაა და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების დონე, შემცირების ნაცვლად, პერმანენტულად იზრდება. თანაც იმ პირობებში, როცა მსოფლიო ბაზარზე განუწყვეტლივ იზრდება სურსათის ფასები და კეთდება შემაშფოთებელი პროგნოზები სასურსათო პრობლემის გამწვავების თაობაზე. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დედამიწაზე იაფი საკვების ეპოქა დასრულდა, რაც, ძირითადად, გახშირებული ბუნებრივი კატაკლიზმებით, სოფლის მეურნეობის სავარგულების შემცირებით, საწვავის გაძვირებით, ბიოსაწვავის საწარმოებლად სოფლის მეურნეობის სავარგულების მზარდი გამოყენებით, დედამიწაზე მოსახლეობის დაჩქარებული ზრდით, რიგ ქვეყანაში წყლის დეფიციტით, ბიომეურნეობებში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის მატებითაა გამოწვეული.**

**დავით ონოფრიშვილი:** მოკლედ მინდა მოგახსენოთ სოფლის მეურნეობის დარგში გამოკვეთილი ავადობის სიმპტომების შესახებ. ესენია: სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის არაეფექტური და არაკომპენტენტური მართვა; ერთწლოვანი კულტურების ნათესების და მრავალწლოვანი ნარგავების, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სახის პროდუქციის წარმოების შემცირება; სურსათის იმპორტის ზრდა; სასუქების, პესტიციდების და ქიმიკატების, სარწყავი და დაშრობილი მიწების ფართობების მრავალჯერადი შემცირება, სათესლე და სანერგე მეურნეობების ჯიშთა განახლების სისტემის მოშლა; სოფლის მეურნეობაში ხელსაყრელი დაკრედიტების, დაზღვევის სისტემის განუვითარებლობა; სოფლად კვალიფიციური და ეკონომიურად აქტიური შრომითი რესურსების დეფიციტი – დღეს, პრაქტიკულად, სოფელს აგრონომები აღარ ჰყავს; წვრილი მეურნეობების სიჭარბე, რაც არაეფექტური წარმოების ერთ–ერთი საფუძველია; არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება;

აქვე, გაგაცნობთ რამდენიმე მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემს: სოფლის მეურნეობის აგრარული სექტორის დაფინანსება მსოფლიო სტანდარტებით, მაგალითად, **2009 წელს 300 მილიონი უნდა ყოფილიყო. მოგახსენებთ, რა ვითარება იყო ამ კუთხით ჩვენთან, 2008 წელს ეს ციფრი შეადგენდა 71 მილიონს, 2009–ში – 75 მილიონს, 2010 წელს, ანუ იმ დროს როცა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად გამოაცხადა – 30 მილიონი შეადგინა, ანუ განახევრდა, 2011–ში –80 მილიონის ფარგლებშია. ეს ციფრები, დაახლოებით 4–5–ჯერ ნაკლებია იმასთან შედარებით, რაც საქართველოს ტიპის ქვეყანაში წესით უნდა იყოს, რათა სოფლის მეურნეობის დარგი ეფექტურად განვითარდეს. გაგაცნობთ კიდევ ერთ მონაცემს: მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის მონაცემებით 2009–10 წლებში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის წარმოების ინდექსი 30%–ით შემცირდა. 194 ქვეყანას შორის, ეს ყველაზე უარესი მაჩვენებელია მთელს მსოფლიოში. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, აქ საქართველო აშკარა აუთსაიდერია, მხოლოდ ყირგიზეთს აქვს ჩვენი მსგავსი მონაცემები. მაშინ როცა, მაგალითად, სომხეთს, არათუ კლება, არამედ 89%–იანი ზრდა აქვს, ბელორუსიას – 164%, ლატვიას – 146% .**

**პაატა კოღუაშვილი:** კიდევ ერთ პრობლემაზე მინდა გესაუბროთ. იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება, რაც უკვე ქრონიკულ მოვლენად იქცა, რეალურ საფრთხეს ქმნის უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდეს. ეს ქვეყნები – ჩინეთი, ინდოეთი, რიგი არაბეთის სახელმწიფოები, რომლებიც უკვე ღიად გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით გამოირჩევიან.

საქართველოს მოქალაქეთა პროტესტის შესამსუბუქებლად, არის მცდელობა ეს პროცესი ინვესტიციების მოზიდვით გაამართლონ, ამავე დროს, ხშირად ისმის პრიმიტიული ფრაზები, მაგალითად, – „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებენ“ და მსგავსი. არ მოიკიდებენ, ამ მიწაზე დამკვიდრდებიან და ძალიან დიდი რაოდენობითაც, თუ დროზე არ მოვედით გონს, რადგან ზემოხსენებული ქვეყნების დემოგრაფიული და უკვე ეკონომიკურ-საფინანსო პოტენციალიც იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში შეცვლის პროგნოზს. ეს საშიში პროცესი შედარებით წყნარად და უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია. საქართველოს საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად მართებს, რადგან პროცესები ძალიან მალე მიიღებს კატასტროფულ ხასიათს. შესაძლებელია ამ ისტორიული ეტაპიდან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად გადაქცევის გარდუვალობა ჯერ ბუნდოვნად მოჩანს ზოგიერთისთვის (სახელდობრ, ნაკლებ მცოდნეთათვის), მაგრამ საკმარისია ჩვენში შეიქმნას დემოგრაფიული ექსპანსიისათვის საჭირო ბაზები, რაც სულ რამდენიმე ასეულ ათასი ადამიანის დამკვიდრებას გულისხმობს, რომ პროცესები არა მხოლოდ შეუქცევად ხასიათს მიიღებს, არამედ ყველასთვის ხილულიც გახდება (ამ პოლიტიკის უკიდურესი მაგალითია, სამხრეთ აფრიკის ჰოლანდიელი კოლონისტების, ბურებისათვის მიწის დიდი მასივების თითქმის უსასყიდლოდ მიცემა). ამიტომ დაუშვებელია, რომ ქართული გლეხობა მოწყდეს მიწას, არ იყოს მისი მესაკუთრე და პროდუქციის მთავარი შემქნელი.

**2004 წლის მონაცემებით, (ამ წლის შემდეგ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მიწის რაოდენობრივი აღრიცხვა ქვეყანაში არ ჩატარებულა) საქართველოში სულ 3,025 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული იყო. აქედან, დაახლოებით 1,9 მილიონი ჰექტარი ბუნებრივ საძოვრებზე და სათიბებზე მოდიოდა, 1,1 მლნ. ჰა ინტენსიური სავარგულია, საიდანაც 800 ათასი ჰექტარი სახნავია, ხოლო – 300 ათასი ჰა-მდე მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული ფონდ-ტევადი სავარგულია. ხედავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდი ძალზედ მცირეა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ამიტომ მას უცხო ტომებზე გაყიდვა კი არა თვალისჩინივით ესაჭიროება გაფრთხილება.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს. აქედან გამომდინარე აუცილებელია: გამოცხადდეს მიწის რეესტრის მონაცემები და საჯაროდ დაზუსტდეს, თუ რა რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია უკვე გასხვისებული უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, სასწრაფოდ შევიდეს საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები და აიკრძალოს უცხო ქვეყნის რეზიდენტ პირებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისება. აგრეთვე იმ იურიდიულ პირებზეც, რომლებიც საქართველოშია დაფუძნებული, მაგრამ მათში შეუზღუდავი ოდენობითაა ჩართული არარეზიდენტი იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ამ მოთხოვნების შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების



პერსპექტივებს, პირიქით, უდიდეს საფრთხეებს აააცილებს ჩვენს ქვეყანას.

ღმერთმა ყველა ერს მიუჩინა მზისქვეშეთში ადგილი, სასიცოცხლო ბაზა, რომლის დაცვაც ყველა ნორმალური ადამიანისთვის უმთავრეს ამოცანად რჩება. „ერისა სიჯანსაღე მიწასთან მარადიულ ურთიერთობასა და ულალატო კავშირშია.“ მუდამ უნდა გვახსოვდეს ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები.

**თამარ შველიძე**

## მოგზაურობა სამშობლოში

*მკითხველს პატიება უნდა ვთხოვო იმისათვის, რომ ისტორიულ მუხრანში მოგზაურობის დასკვნითი ნაწილი გარკვეულწილად ჩემს ბავშვობისდროინდელ განცდებთან იქნება დაკავშირებული. შეიძლებოდა ამისთვის გვერდი ამევლო, მაგრამ საცდური ფრიად დიდი გახლდათ.*

# ixi l e da Seiyvare!

# მუხრანი

### წილკანი

სოფელ ნატახტართან, რომელსაც ოდესღაც საფურცლე ერქვა, ავტომანქანამ ცენტრალური გზიდან ხელმარცხნივ გადაუხვია. ეს ადგილები ჩემთვის ძალიან კარგად არის ნაცნობი. მახსოვს, დეიდასთან და ბიძასთან რომ მივყავდი უფროსებს წილკანში, ხშირად აქ ვიცვლიდით ტრანსპორტს. ერთხელ ბიძაჩემმა – გიორგი დიდებაშვილმა მითხრა, რომ საფურცლე დიდი ისტორიული ამბების მომსწრე სოფელი იყო და როცა გავიზრდებოდი, ამას თავად შევიტყობდი. მართლაც, ვინ იცის, რა ხნის შემდეგ, და ისიც ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მივუბრუნდი ამ დახურულ თემას, ქართლის ცხოვრების ერთი სამარცხვინო ფურცლის გამო რომ არ მიმხელდა ბავშვობაში ბიძაჩემი: 1511 წელს კახთა უგვანო მეფემ ავგიორგიმ (მუხრანი მაშინ კახეთს ეკუთვნოდა) სწორედ აქ მოკლა მამამისი ალექსანდრე პირველი და თვალები დასთხარა ძმას დიმიტრის.

მაგრამ საგმირო ამბებიც ახსოვს საფურცლეს. II საუკუნეში ფარსმან ქველის ბადიშისშვილმა და მასსავით გოლიათმა მეფე ამაზასპმა ამ მიდამოებში სასტიკად დაამარცხა ქართლზე ცუდად შემოჩვეული ალანები. გარდა ამისა აქვე, სოფელ წილკანთან, XI საუკუნეში ბაგრატ IV-მ დაამარცხა და გაქცია განძის ამირა ფადლონი, რომელიც შემდეგ ჟალეთში დაიჭირეს და ბოჭორმის ციხეში ჩასვეს.

... გზას წილკნისკენ მივყავარ.

მუხრანის ველის ეს მონაკვეთი უნიკალური წყლითაა ცნობილი. ახლა აქ მიჯრით შენდება ლუდის, ლიმონათის და უბრალო სასმელი წყლის ჩამოსასხმელი ქარხნები – სამოთხის წყალს 120-150 მეტრის სიღრმიდან ექაჩებიან და მამისისხლად ყიდიან. ჩემს ბავშვობაში ამ ადგილებში ერთადერთი და ისიც საცდელი ჭაბურღილი არსებობდა, რომელსაც მისი გამთხრელის პატივსაცემად „ივანიკას წყარო“ ერქვა. ეს ჭაბურღილი ნატახტარსა და წილკანს შუა ამოქუხდა მსხვილი მილით და ნარეკვავში ჩაედინებოდა.

ივანიკას წყაროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით არის წმინდა გიორგის მცირე ტყე, სადაც გვიანი შუასაუკუნეების მთავარმოწამის ეკლესიაა. იგი ახალი აღდგენილია, ჩემს ბავშვობაში კი ისე ყოფილა დანგრეული, რომ მის არსებობას ვერც კი ვიხსენებ. ერთხელ აქ უღირსი საქციელი ჩავიდინე. ქედნებზე სანადიროდ წამოსულმა ბიძაჩემმა მინდორში შემთხვევით ყვავი მოკლა. მე ყვავი ძალიან მეჯავრებოდა და იქვე ტყეში, წყალთან ამოსულ ტირიფზე „ჩამოვახრჩე“. ახლა ის ტირიფი აღარ არსებობს, რადგან მის ადგილზე გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავი პურობისათვის ჩარდახია გაკეთებული.





წილკნის ღვთისმშობლის საერთო ხედი და V საუკუნის ჩუქურთმა.

„წმინდა გიორგისაგან“ განსხვავებით ჩემს გონებაში ღრმად ჩაიბეჭდა სოფლის ცენტრში მდგარი ღვთისმშობლის უნიკალური ტაძარი. სანამ ამ უნიკალურობის ამბავს ვიტყოდე, მანამ ისევ ბავშვობის გახსენება მომიწევს. წილკნის ცენტრი და მისი ეკლესია ჩემთვის ის ზღაპრული კარიბჭეა, რომლითაც გამჩენმა წარსულ საქართველოში შემიყვანა და სოფელი – წყარო ამ წარსულისა – შემაყვარა. ეკლესიის გალავნის ჩრდილოეთ კედელთან, ნავის წყაროსთან, ყოველ კვირას დიდი ასპარეზობა იმართებოდა ხოლმე ქართულ ჭიდაობაში – ნახერხმოყრილ წრეში, დოლისა და ზურნის ხმაზე, მთელი ქართლიდან, ზოგჯერ კი კახეთიდან ჩამოსული ფალავნებიც ერკინებოდნენ ერთმანეთს. შეჯიბრებას, ბუნებრივია, „ცალი თვალით“ წყაროზე მოსული წილკნელი ქალიშვილებიც უჭვრეტდნენ და ვინც იცის, ჩუმის ტრფობით როგორ იდაგებოდნენ. საღამოობით ეკლესიის გალავნის შიგნით მდებარე ფოსტა-კლუბში კინოსეანსი იმართებოდა და ახალგაზრდობა ახლა იქ იყრიდა თავს. მახსოვს, ერთხელ შებინდებულზე 10 წლის ბავშვმა ცდუნებას ვერ გავუძელი და აკრძალვის მიუხედავად (მაშინ ასეთი დრო იყო), კარებაჭედილ ეკლესიაში შევძვერი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მცირე ხელფარნის შუქზე აბლაბუდებიანი და ნესტიანი ვეება სვეტები და თაღები დავინახე. ამ ხილვებით გართული, ვინ იცის, როდემდე დავრჩებოდი შიგნით, რომ ღამურებს არ დაეფრთხე. გარეთ რომ გმოვძვერი, კინოსეანსი კარგა ხნის დაწყებული იყო და ხვეწნა-მუდარის მიუხედავად კარისკაცმა კლუბში არ შემიშვა.

დღეს ამ ტაძარს ბადალი არ მოეძებნება ჩემთვის.

რატომ?

წილკნის „ღვთისმობლის“ ქვათა წყობაში რამდენიმე ეპოქის სუნთქვა იგრძნობა. ტაძრის სამხრეთ მხარეს, პორტალის გვერდზე არსებული ნაგებობა, რომელიც ერთი შეხედვით გვიანდელ მინაშენს ჰგავს, ყველაზე ძველი – IV საუკუნის ეკლესიაა და სინამდვილეში დიდი 3-ნავიანი ტაძარია მასზე მიშენებული. IVს-ის საყდრის შესახებ ასე ამბობს ლეონტი მროველი: „და დაჯდა მეფედ ძე მირიანისა ბაქარ და ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანი... ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა“. VIII-IX საუკუნეებში ბაქარისეული ეკლესია ხელუხლებელი დაუტოვებიათ, გორგასლის დროინდელი სამნავიანი ბაზილიკა კი გუმბათიან ტაძრად გადაუკეთებიათ.

მუხრანის ველის ცენტრში ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზებისა და პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთაზე მდებარე წილკნისა და მისი ტაძრის ბედი რთული აღმოჩნდა. ტაძარი უამრავჯერ დაინგრა, მაგრამ მაინც აღსდგა. ამიტომ, ძალიან ძნელი დასადგენია ზოგიერთმა სამკაულმა საიდან სად გადაინაცვლა ინტერიერში. კიდევ უფრო დასანანია ის, რომ IV საუკუნის ტაძრის კედლების ცემენტით შელესვამ სალოცავს ოდინდელი იერსახე გაუქრო. ძირითადმა საყდარმა შთამბეჭდავად მოაღწია – V საუკუნე ადგილეზა! აფსიდის ტრიუმფალურ თაღზე, სარკმლების გარე პირებზე, სვეტებისა და პილასტრების კაპიტელებზე ამოკვეთილი კანელურები, სტილიზებული მცენარეები, ერთმანეთზე გადაჭდობილი და დაფოთლილი წრეები დაუზიანებელია. ეს აქემენიდურიდან სასანურში და სასანურიდან ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში გადმოსული მოტივებია. VIII-IX საუკუნის გუმბათის ცენტრში XVI საუკუნის მხატვრობის ერთადერთი ფრესკაა შემორჩენილი. ეს არის ორმაგ წრეში გამოსახული მაკურთხებელი ქრისტე.

ღვთისმშობლის ტაძარი თავისი ფასადებით, მეტადრე კი ინტერიერის მონუმენტურობითა და მისტიკურობით, ფორმების არქაიზმითა და იდუმალებით იმას გეუბნებათ, რომ ღვთის სახლში შესულმა კარგად უნდა გაიაზრო მიწიერი ცხოვრების ამაოებანი. აქ ჭეშმარიტად ღვთის მონა ხარ და ეს უნდა გიხაროდეს. აი, ასეთია ჩემი წილკნის უნიკალური ტაძარი – ბოლნისის, აკაურთისა და ნეკრესის ბაზილიკების თანატოლი ძეგლი.

როგორც ზევით ითქვა, IV საუკუნეში ტაძარს იმ ბექარ მირიანის ძემ ჩაუყარა საფუძველი, რომელმაც „მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიელნი“.

საფიქრალია, რომ სოფელიც წილკნის სახელწოდებით მაშინ შეიქმნა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა, რომ წილკანი ერწოს „წინ (ა) კარისაგან“ ნაწარმოებ ტოპონიმად შევრაცხოთ, მაგრამ წილკანი სხვა წინკარიდან – მთიულეთიდან მომდინარეობს, რასაც რამდენიმე უტყუარი ფაქტი და ცნობა ადასტურებს: 1) VIII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ ნათქვამია, რომ წანარებს (დღევანდელ მოხევეებს) უძველეს დროში ეკავათ ალანთა კარი (დარიალანი) და წელქენის (წილკნის) კარი. აქედან ჩანს, რომ ეს წილკან-წინკარი არა ივრის, არამედ არაგვის ხეობაშია. 2) ხადაში (დუშეთის რ-ნი, ზემო მლეთიდან აღმოსავლეთით არსებული ხეობა), ბოლო დრომდე იცოდნენ, რომ ამ თემის უძველესი სახელი წილკანი იყო; 3) „მოქცევაი ქართლისაიში“ ნათქვამია, რომ წმინდა ნინო „დადგა წობენს (დღევანდელ ჟინვალთან იყო) და მოუწოდა მთიულთა, ჭართლელთა და ფხოველთა და წილკნელთა და უქადაგა სარწმუნოება ქრისტესი, ხოლო მათ განუყარეს თავი და ერისთავმან მცირედ წაჰკრა მახვილი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად“. გამორიცხულია, რომ აქ დღევანდელი წილკნის მკვიდრებნი იგულისხმებოდნენ, რადგან, ეს სოფელი მცხეთასთან ახლოს, ჟინვალამდე ლამის 40 კილომეტრით აქეთაა და მათი წობენში გამოძახება უაზრობა იქნებოდა. ეს წილკნელები ვერც ერწოს წინკარელები იქნებოდნენ, რადგან საჭირო იყო, წმინდა ნინო მათ არა წობნში, არამედ ჟალეთში (ივრის ხეობაშია) გამოიძახებდა ერწოთიანელებთან და ყვარელებთან (აღმ. ფშავლებთან) ერთად. ამრიგად, დღევანდელი წილკანი რომ IV საუკუნეში მთიულეთის წინკარ-წილკნიდან (ხადა-ციკარადან) ჩამოსახლებულ ადამიანებითაა დასახლებული, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს. – როგორც ჩანს, ბაქარ მეფემ ერისთავის მიერ დაშინებული მთიულები მუხრანის ველზე, საფურცლის მეზობლად დაასახლა და ეკლესიაც აუშენა. აქედან მოკიდებული წილკანი ტრადიციული საეკლესიო სოფელი ხდება. აქ დღესაც შეხვდებით ისეთ გვარებს, როგორებიცაა: მღვდლიშვილი, დიაკვნიშვილი, მნათობიშვილი, დიდებაშვილი...

IV-V საუკუნეებიდან წილკანში ზის ეპისკოპოსი, რომელიც არამარტო მუხრანში, არამედ ბაზალეთში, ქსნისა და არაგვის ხეობებში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ერთ მონაკვეთში მცხოვრებ თემებს მწყემსმთავრობს. წილკანი რომ ამ დროიდან დიდი საეკლესიო ცენტრი ხდება, ამას დღევანდელი სოფლის აღმოსავლეთ დასახლებაში, ღვთისმშობლის ტაძიდან 800 მეტრში აღმოჩენილი აკლდამა ცხადყოფს. იგი აგებულია დიდი და კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით. მასში 13 საფეხურიანი კიბით ჩავდივართ. დასაკრძალავ სენაკში ორი ორადგილიანი ქვის სარეცელია. ეს უმაღლესი რანგის საეკლესიო მოღვაწეთა სამარხია, მაგრამ აკლდამის სიახლოვეს უბრალო ორმოსამარხი და ქვაყუთიც აღმოჩნდა. აკლდამა IV-V საუკუნეებისაა.

წილკანი. IV-V საუკუნეების აკლდამა.



VI საუკუნეში წილკანში მოღვაწეობდა ათორმეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთი – ისე, რომელმაც წერილობით წყაროებში შემონახული ცნობისა თუ ლეგენდის თანახმად, მდინარე ქსნიდან ყავარჯნით გამოიყვანა სარწყავი რუ. შესაძლებელია, რომ სწორედ ამ ძველთაძველი რუს კალაპოტში გაითხრა კიდეც 1956 წელს იმ ორი მოზრდილი არხიდან ერთ-ერთი, რომელშიც ამჯერად არაგვიდან მოაგდეს წყალი. მახსენდება არხების საზეიმო გახსნა – უწყლობით გატანჯული სოფელი თავდავიწყებით გადაეშვა წყლის პირველ, მღვრიელ ნაკადში. 8-9 წლის ყმაწვილის გონებაში ეს სურათი ისე ღრმად ჩაიბეჭდა, რომ დღეს ერთგვარ ნათლისღებად წარმომიდგება ხოლმე. გარდა ამისა რა დამავიწყებს ტაძრის გუმბათში გამოსახულ მაცხოვრის ფრესკის ირგვლივ ასომთავრულით შემოწერილ სიტყვებს: „იხილე და შეიყვარე შვენიერება სოფლისა შენისა და ადგილი... ქ.უფალო გარდმოხედე ზეცით“.

ამენ!

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

# facebook

# xal xis az r iT

ბუბა კიკაბიძემ ,,ქართუ ბანკის'' ანგარიშიდან მთელი თანხა გაიტანა – აი ამას ქვია რაც მოვასწარი უსინდისოდ შევირგე და რაც დამრჩა იმასაც გავახვევ და სახლში წავიღებო. მარტო ეკრანზე რომ კაცობენ კიკაბიძის მსგავსნი, აელო და გადაერიცხა უპატრონო ბავშვებისთვის, რა, ძალიან უჭირს?! სახალხო არტისტი კიარა მიშას ჯამბაზი და კობზონის ხელის ბიჭია.

ქართულ პოლიტიკაში ერთმანეთის დაჭმის პროცესი დაიწყო... ის ვინც მილიარდელ ბიძინა ივანიშვილთან სასაუბრო ენა ვერ მოძებნა ახლა ,,დაბოზების'' ხერხებს აქტიურად იყენებს. მომავალი საპარლამენტო არჩევნები კიდევ უფრო დაძაბული იქნება რადგან ყველა ხვდება თუ რა შეუძლია გააკეთოს მილიარდელმა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ... ქართული ოცნება ეს იქნება, ქართველი ხალხის აუხდენელი ოცნება, რომელსაც წლებია ყველა მოუთმენლად ელოდება...

ნატოს გენმდივნის ჩამოსვლა სააკაშვილმა ისევ სათავისოდ გამოიყენა და ისევ თაღლითობის გზით. ტელეკომპანია იმედმა გააკეთა ის რასაც როგორც წესი ჩრდილოეთ კორეის ტელეარხები აკეთებენ. როცა რასმუსენის გამოსვლა სინქრონულად ითარგმნებოდა, ნატოს გენ.მდივანმა განაცხადა შემდეგი: ''საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი კანონის უზენაესობის, სასამართლო რეფორმისა და საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით.'' 17 საათიან გამოშვებაში კი დამონტაჟებულ სიუჟეტში ეს ნათქვამი ასე გადაკეთდა - ''საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით.''ერთია, როცა ხელისუფლება მუდმივად ატყუებს მოსახლეობას და მეორეა, როცა ის ამავდროულად აბუჩად იგდებს ნატოს გენერალურ მდივანს. ამიტომ უნდა გაკეთდეს ორი რამ: 1. ეცნობოს ნატოს ცენტრალურ ოფისს ის რაც გააკეთა ტვ იმედმა და 2. მოეთხოვოს იმედს გააკეთოს განმარტება.მერამდენე უცხოელი მაღალჩინოსნის სიტყვები უნდა გადაკეთდეს?

ახლახან რასმუსენს ვუსმინე და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ივანიშვილს ხელი არ შეუშალოთო, მაგას უქადაგებდა ამ დაუნებს!! იმდენი ილაპარაკა 2012 წლის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობაზე, სირცხვილით დავიწვი! ესე იგი, იცის! ყველაფერი იცის!!!

დღეს ავტობუსში ასეთი დიალოგი მოვისმინე: თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომელი მეგობარს შესჩიოდა, რომ თვენახევარია უხელფასოდ მუშაობს, რომ გაიარა კონკურსი წარმატებით, გასაუბრებაც, მაგრამ ბაჩოს არ სცალია კადრებთან ახალი ხელშეკრულებების დასადებად და მას არავინ ეძახის, ავალდებულებენ უხელფასოდ მუშაობას, რადგან ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ თავდაცვის სამიანისტრო აირია და გადაირია,მიდის გარნიზონების გადადგილებები და სხვა ჯადოქრობები, ხოლო თანამშრომლებს აიძულებენ შეავსონ დოსიე ოჯახის წევრებზე და ახლობლებზე, მათ შორის მეუღლის ოჯახზე, ქვისლებზე, რძლებზე, მაზლებზე და მულებზე. მათ ევალებათ დაწვრილებით აღწერონ ნათესავების სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, მათი მისწრაფებები. კითხვარი თუ კადრების ინსტრუქტორი ეკითხება კადრს, ხომ არ ჰყავს მას ან მის ნათესავს ვინმე საჩხერეში, რუსეთში? თუ უცხოეთშია, უნდა მიუთითო სად მუშაობს და რას აკეთებს და ა.შ. ეს ადამიანი სიმწრით ყვებოდა, რომ მსგავსი დოსიეები ხუთი და მეტი ფურცლისგან შედგება.

ბრიჯიტ ბიცოლა, რა კარგია ძაღლებისა და კატების არაადამიანურ მოპყრობაზე რომ ფიქრობთ,ჩვენ ადამიანების ძაღლური მოპყრობა უფრო გვადარდებს.

მათ რა ხანია ეს დორბლიანი მასხარა აღარ უნდათ, მაგრამ აბა სანამ რეალური ძალა არ გამოჩნდა, მანამდე ესენიც დუმდნენ. არ უნდათ თავიანთი შეცდომა ასე აღიარონ და ისევ არეულობით და რევოლუციებით მოხდეს ხელისუფლების ცვლილება. მოკლედ ძალიან კარგი პოლიტიკური გარემო იქმნება და იწმინდება ნელ–ნელა)))




# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*

ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– 1998 წელს გამათავისუფლეს სამსახურიდან, შემიძლია თუ არა, მოვითხოვო კომპენსაცია?**

– თქვენ სამსახურიდან გაგათავისუფლეს 1998 წელს, ანუ თქვენი გათავისუფლებიდან გასულია 12-13 წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ გაუშვით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. აქედან გამომდინარე, კომპენსაციის მიღებას ველარ მოითხოვთ, ვადის გასვლის გამო.

* * *

**– 1960 წლიდან ჩემს საკუთრებაში ირიცხება საცხოვრებელი ბინა. 1999 წელს პირადობის მოწმობის აღების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ შეცდომით დამარეგისტრირდეს მეზობლის ბინაში. მეზობელმა მომხსნა რეგისტრაციიდან. 2010 წელს დავრეგისტრირდი ჩემს საცხოვრებელ ბინაში. პრობლემების თავიდან ასაცილებლად, შემიძლია თუ არა, ჩემს ბინაში დავრეგისტრირდე 1960 წლიდან? ასევე, შემიძლია თუ არა, ჩემს ბინას დავადო ყადაღა?**

– 1960 წელს იყო ჩაწერა და არა რეგისტრაცია. მაშინ ჩაწერის ინსტიტუტი განაპირობებდა ფართზე უფლებებს. რეგისტრაციას აქვს სხვა სამართლებრივი დატვირთვა. რეგისტრაცია არ წარმოშობს საკუთრების უფლებას. როგორც ჩვენი საუბრიდან გაირკვა, საცხოვრებელი ბინა 1960 წლიდან თქვენს საკუთრებაშია. საკუთრების უფლება კონსტიტუციით დაცულია. თქვენ თუნდაც არ იყოთ ამ ბინაში დარეგისტრირებული, ეს სამართლებრივად მაინც არაფერს გადაწყვეტდა. ბინის, რომლის მესაკუთრეც თქვენ ბრძანდებით, იურიდიული ბედის განკარგვა (გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება და ა.შ) მხოლოდ თქვენს უფლებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, არ გაგაჩნიათ შეშფოთების საფუძველი.

რაც შეეხება თქვენს საკუთრებაში არსებულ ბინაზე ყადაღის დადების საკითხს, მოგახსენებთ შემდეგს: ყადაღა გახლავთ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თქვენ საკუთარი თავის წინააღმდეგ ხომვერ შეიტანთ სარჩელს? აქედან გამომდინარე, ყადაღის დადების საფუძველი არ გაგაჩნიათ.

* * *

**– პირველად შვილი გამისამართლეს სს კოდექსის 177-ე მუხლის II ნაწილით. პროკურატურასთან გავაფორმეთ საპროცესო შეთანხმება. დამატებითი სასჯელის სახით გადავიხადეთ ჯარიმა 3.000 ლარის ოდენობით. ძირითად სასჯელად ჩემს შვილს დაუდგინდა პირობითი მსჯავრი.**

**მერედ, პირობითი მსჯავრის პერიოდში, ჩემი შვილი დაკავებული იქნა სს კოდექსის 177-ე მუხლის III ნაწილით. მოეხსნება თუ არა მას პირობითი მსჯავრი?**

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და სასჯელთა დანიშვნა მოხდება განაჩენთა ერთობლიობით. განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ დაუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.

აქედან გამომდინარე, თქვენი შვილის შემთხვევაში მოხდება რეალურ სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეკრება.



* * *

**– როგორ ისჯება მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით?**

– სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის მიხედვით, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

* * *

**– სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით რა არის ტრეფიკინგი?**

– ტრეფიკინგი, ზოგადად, გახლავთ ადამიანით ვაჭრობა.

სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი ასე განმარტავს ტრეფიკინგს. ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორცელება, აგრეთვე, მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

* * *

**– შრომის კანონდებლობის დარღვევა ისჯება თუ არა სისხლის სამართლის წესით?**

– ისჯება.

შრომის კანონმდებლობის დარღვევაში იგულისხმება სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნა, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა. სანქცია: ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

* * *

**– რა შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს პირობითი მსჯავრი?**

– მუხლი 63. (სისხლის სამართლის კოდექსი)

1. თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად;

2. თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია:

3. თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად იგი აღიარებს დანაშაულს ან და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

4. თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია.

5. თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

6. პირობითი მსჯავრის დროს შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი.

* * *

**– 11 წლის წინ გამასამართლეს მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ვითვლები თუ არა ნასამართლობის მქონედ?**

– აღარ ითვლებით.

სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ", ქ-პუნქტის მიხედვით, ნასამართლობა გაქარწყლდება მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ.

* * *

**– შეიძლება თუ არა შეწყალების ნასამართლობის მოხსნა?**

– სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

**– რა შეიძლება განხორციელდეს ამნისტიის აქტით?**

– ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეეცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

ბანკი ქართუ
CARTU BANK

## სათავო ოფისი
ჭავჭავაძის გამზ. №39ა
0162, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
(+995 95) 92 55 92
ფაქსი: (+995 32) 291 22 79
ელ.ფოსტა: info@cartubank.ge

## ვაკის სერვისცენტრი
ი. აბაშიძის ქ. №24
0179, თბილისი
ტელ.: (+995 32) 225 06 14/15
ფაქსი: (+995 32) 225 06 15
ელ.ფოსტა: vake@cartubank.ge

## საბურთალოს სერვისცენტრი
პეკინის ქ. №14ბ
0171, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+995 32) 292 55 93
ელ.ფოსტა: saburtalo@cartubank.ge

## მთაწმინდის ფილიალი
ვეკუას ქ. №1, 0105, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
ფაქსი: (+995 32) 292 19 38
ელ.ფოსტა:
mtatsminda@cartubank.ge

## ისნის სერვისცენტრი
ქეთევან დედოფლის ქ. №50
0198, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+ 995 32) 224 11 34
ელ.ფოსტა: lilo@cartubank.ge

## ქუთაისის ფილიალი
ფალიაშვილის ქ. №4
4600, ქუთაისი
ტელ.: (+995 431) 25 65 65
ფაქსი: (+995 431) 25 65 60
ელ.ფოსტა: kutaisi@cartubank.ge

## ბათუმის ფილიალი
გრიბოედოვის ქ. №2
6000, ბათუმი
ტელ.: (+995 422) 27 59 00
ფაქსი: (+995 422) 27 65 04
ელ.ფოსტა: batumi@cartubank.ge

## გორის სერვისცენტრი
სტალინის გამზ. №10/14
1400, გორი
ტელ.: (995 470) 27 76 71
ფაქსი: (995 470) 27 76 71
ელ.ფოსტა: gori@cartubank.ge

## თელავის სერვისცენტრი
ჭავჭავაძის მოედანი
0022, თელავი
ტელ.: (995 450) 27 09 00
ფაქსი: (995 450) 27 09 01
ელ.ფოსტა: telavi@cartubank.ge

